



საქართველოს მთავრობის „დიplomatic და საზოგადოებრივი“

(ისტორია, თئორია, პრაქტიკა)

Scientific magazine  
“AUTHORITY AND SOCIETY”

(History, Theory, Practice)”

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО”  
(История, Теория, Практика)”

№ 4 (8)

2008



ფინანსურობის სამინისტროს  
სამსახურის შემსრულებელი

Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association


Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ  
ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

**UDC 378(479.22)(051.2)**

**ს. 402**



## **სარედაქციო კოლეგია:**

<b>შოთა დოლონაძე</b>	მთავარი რედაქტორი
<b>ოთარ ქოჩორაძე</b>	მთავარი რედაქტორის მოადგილე
<b>ოთარ ბალათურია</b>	პასუხისმგებელი მდივანი
<b>რუდიგერ ანდერსენი, ნანა ავალიანი, მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), გიორგი ბალათურია, ევგენი ბარათაშვილი, გახტანგ გურული, ჰარალდ ვერტცი, თეიმურაზ თოდუა, გენადი იაშვილი, როინ მეტრეველი, ქეთი ქოქრაშვილი, რუსულან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ია ხუბაშვილი</b>	



ქურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია  
ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ  
ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის  
შეხედულებებს.

### **მისამართი:**

**საქართველო, თბილისი 0175 ქოსტავას ქ. 77, VI კორპუსი VIII  
სართული ტელ. 36-45-14**

**77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia. Tel. [995 32] 36.45.14  
Mail: [DLPA@gtu.edu.ge](mailto:DLPA@gtu.edu.ge)**

გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია

ურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია მისამართზე:  
<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

## სარჩევი

<b>რედაქციისგან</b>		<b>4</b>
სახელმწიფო მართვის (Public Administration) მიმართულების საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია	.....	<b>4</b>

### თმორია

<b>სოფიო დოდონაძე, შოთა დოდონაძე</b>		<b>28</b>
გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე მოდელების გამოყენების თავისებურებები სახელმწიფო მართვაში.....	.....	<b>28</b>
<b>გიორგი ბადათურია, ოთარ ბადათურია</b>		
ეფექტური მენეჯმენტის პრინციპები პეტერ დრუკერის მიხედვით.....	.....	<b>54</b>
<b>ოთარ ბადათურია, ანი ულენტი</b>		
პოლიტიკური რეჟიმისა და კონომიკური კეთილდღეობის ურთიერთმიმართება.....	.....	<b>78</b>
<b>თემურ თოდეგა</b>		
საქართველოს სახელმწიფო მართვის პრობლემები და პერსპექტივები.....	.....	<b>92</b>

### 0სტრიტი

<b>თენგიზ გრიგოლია, მაია ამირგულაშვილი</b>		<b>104</b>
ადმისავლეთის ბლოკის დეზინტეგრაცია და „ხავერდოვანი რევოლუცია“ ევროპაში.....	.....	<b>104</b>
<b>თემურ თოდეგა, ლია ნებიურიძე</b>		
ძველი ქვეყნების სახელმწიფო მართვის ისტორიიდან.....	.....	<b>119</b>

### საზოგადოება

<b>ანა ვერულაშვილი</b>		<b>141</b>
სოციალური ფსიქოლოგიის როლი PR საქმიანობაში.....	.....	<b>141</b>
<b>სერგო ლომინაძე</b>		
საზოგადოებრივი აზრისა და მასების ქცევების ფორმათა ანალიზის მნიშვნელობა PR-სპეციალისტისათვის.....	.....	<b>153</b>

### მდგრადი მიმღება

<b>Тамара Беридзе, Лия Беридзе, Белла Годердзиშვili</b>		<b>161</b>
Оценки погрешностей характеристик финансовых потоков инвестиционных проектов. Критерии инвестиций .....	.....	<b>161</b>
<b>ტარიელ გიგაძე</b>		
არსებობის აგრეგირებული სარისხის აუდიტორული შეფასების მოდელი.....	.....	<b>172</b>
<b>მერაბ ტაბატაძე</b>		
პროგნოზების სისტემის სპეციფიკურობა სახელმწიფო მართვის ამოცანებში (საქართველოს რეინიგზის მაგალითზე) .....	.....	<b>183</b>

**დია დიპლომატიის ასოციაცია  
სახელმწიფო მართვის (Public Administration)  
მიმართულების საუნივერსიტეტო განათლების  
კონცევცია**

**სახელმწიფო მართვის სწავლების  
აუცილებლობა**

ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის საჭიროა ქვეყნის სახელმწიფო ეკონომიკის, სახელმწიფო მართვის სისტემის მოქნილი და ეფექტური ფუნქციონირება. ამ მიზნის რეალიზაცია შეუძლებელია სახელმწიფო მართვის თეორიისა და პრაქტიკის მეთოდების შესწავლის, ახალი მიღების განვითარების გარეშე.

თანამედროვე სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობაა გამართული, ეფექტური მოქმედი სახელმწიფო მართვის (Public Administration) სისტემისა და შესაბამისი სპეციალისტების არსებობა. როგორი უნდა იყოს გარდამავალი ეკონომიკისა და, შეიძლება ითქვას, გარდამავალი სახელმწიფო ებრძოლის მქონე ქვეყნების (ან, სხვანაირად, ე.წ. „ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყნების) საგანმანათლებლო სისტემა სახელმწიფო მართვის საკითხების სწავლების თვალსაზრისით? როგორ უნდა ვასწავლოთ საქართველოში სახელმწიფო მართვა და მასთან დაკავშირებული ისეთ დისციპლინები, როგორიცაა სახელმწიფო პოლიტიკა (State Policy), საჯარო პოლიტიკა (Public Policy), ექონომიკის მართვა (Business Administration), საზოგადოებრივი ურთიერთობები (Public Relations), სტრატეგიული დაგეგმვა (Strategic Planning), ადმინისტრირება (Administration), მენეჯმენტი (Management) და სხვ? ეს პრობლემა ეხება, აგრეთვე, სახელმწიფო და ეკონომიკური მართვის სისტემების ფორმირების საკითხებაც.

განსაკუთრებით მწვავეა ეს საკითხი სსრკ ყოფილი რესპუბლიკებისთვის (ბალტიის სახელმწიფოების გარდა), მათ შორის, საქართველოსთვის.

მართვასთან დაკავშირებული დისციპლინების სწავლებას საქართველოშიც სულ უფრო მეტი კურადღება ეთმობა, თუმცა, აქცენტი უფრო ბიზნესის მართვის საკითხებზეა და ერთგვარად

ჩრდილშია სახელმწიფო მართვის პრობლემატიკა. ბიზნესისა და სახელმწიფოს მართვა ერთი მთლიანის ორი ნაწილია, შეიძლება ითქვას – ერთი მედლის ორი მხარე. ერთმანეთის გარეშე, არც ერთი მათგანის სწავლება არ მოიტანს სასურველ შედეგებს, რადგანაც მათ შორის „სასიცოცხლოდ აუცილებელი“ კავშირია.

საზოგადოდ, უნდა განვასხვავოთ მართვის ობიექტების ხუთი ტიპი: ცოცხალი ორგანიზმები, ტექნიკური სისტემები, ეკონომიკური სისტემები, სახელმწიფო და საზოგადოება. აღსანიშნავია, რომ მართვის თეორია სრულყოფილად არის დამუშავებული ცოცხალი ორგანიზმებისა (მედიცინა) და ტექნიკური სისტემებისთვის (ავტომატური მართვის თეორია), თუმცა, ცხადია, რომ ეს მეთოდები კიდევ უფრო იხვეწება და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე სულ უფრო სრულყოფილი ხდება. შედარებით მაღალ დონეზეა აგრეთვე ეკონომიკური სისტემების მართვის თეორია. რაც შეეხება პოლიტიკურ სისტემებს აქ ერთგვარი ჩამორჩენაა, განსაკუთრებით პოსტსაბჭოოთა და საზოგადოდ, კომუნისტური ორიენტაციის ქვეყნებისთვის. პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების მართვისთვის აუცილებელია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური პროცესების მართვის ზოგადი კანონზომიერებების შესწავლა და მათი ერთობლივი გამოყენება. პოლიტიკური პროცესების სწორი მართვა ხელს უწყობს ეკონომიკური პროცესების უფექტიან მართვას და, პირიქით, ეკონომიკური პროცესების უფექტიანი მართვა ქმნის პოლიტიკური პროცესების, მათ შორის სახელმწიფოს წარმატებული მართვის წინაპირობებს. მაგრამ, თვით საუკეთესო წინაპირობების არსებობის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია მართვის დამაკამაყოფილებლად წარმართვა, მიუხედავად იმისა იქნება მართვის ობიექტი დიდი, საშუალო თუ მცირე ბიზნესი, ქვეყნის ეკონომიკა, სახელმწიფო, მისი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, საზოგადოება, თუ თეორიულად მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული და პრაქტიკულად რეალიზებული ასეთი ობიექტების მართვის პრინციპები.

გარდამავალი ეკონომიკისა და სახელმწიფოებრიობის ქმედებში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემები ძირითადად განპირობებულია მართვის თეორიის იგნორირებით.

სახელმწიფო მოხელეებს უწნდებათ ილუზია, რომ მათი ბრძანებები და განკარგულებები მაინც შესრულდება, მიუხედავად იმისა, იციან თუ არა მათ მართვის თეორია, ის ობიექტური კანონზომიერებები, რომლებითაც ხასიათდება მართვის პროცესი. ამის მიზანი ისიც არის, რომ ტექნიკური ან ეკონომიკური სისტემებისგან განსხვავებით არასწორი სახელმწიფო გადაწყვეტილებების უარყოფითი შედეგები სწრაფად არ ვლინდება. მაგრამ ამით საქმის არსი არ იცვლება. სახელმწიფო მართვა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ პირადი ინტიციით, არა სათანადოდ განათლებული და მომზადებული მოხელეების მიერ, მეცნიერული მეთოდების იგნორირებით, ადრე თუ გვიან კრახით დასრულდება, რასაც თვალსაჩინოდ ადასტურებს თანამედროვე პოლიტიკური პროცესები.

აქ საგულისხმოა გავიხსნოთ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში გამოთქმული მოსაზრება სახელმწიფოს მართვის ხელოვნების სწავლების აუცილებლობის შესახებ –

„ხისულებულება იმის ფიქრი, რომ კარგ მასწავლებელთა გარეშე ... სახელმწიფოს მეთაურობა, რაც ყოველ საქმეზე უდიადებია, ადამიანს თავისთავად მოხდის.“

და შემდეგ:

„საოცარია, რომ კითარასა თუ საღამერზე დაკვრის, ცხენზე ამხედვებისა თუ სხვა ამგვარ ხელოვნებაში კარგად დაოსცატების მსურველი, ცდილობებს განუწყვეტლივ ივარჯიშონ იმ საქმეში, რაშიაც წარმატების მოპოვება სწავლიათ და იწვრთნებიან არა განმარტოებით, არამედ საუკუთხო თხებატთა თანდასწრებით; ასრულებებს და ითმენებს ყველაფერს იმიტომ, რომ ამ თხებატთა აზრის გარეშე არაუკერი გააკეთონ, ვინაიდან სწავლო, სხვაგვარად სახელს ვერ მოიხვევენ; ზოგიერთები კი იმათვან, რომელთაც სურთ კარგი მჟერმეტყველი, და სახელმწიფო მოღვაწენი გახდებენ, ფიქრობენ, მომზადებისა და წერთნის გარეშე – თავისთავად და ანაზღაულად მიაღწევენ ამას.

სახელმწიფო მოღვაწის სიტყვაცა და საქმეც იმდენად ძნელია ზემოხსენებულ ხელოვნებებზე, რამდენადაც მეტი კაცი ეტანება მათ, მაგრამ წარმატებას მხოლოდ მცირეოდენი თუ აღწევენ. ცხადია, კინც სახელმწიფო მოღვაწეობისაკენ

მიისწავების, მეტი და უფრო მეტი მეცადინეობა სჭირდება, კიდრე სხვა ხელოვნებათა დაუფლების მსურველი.“

[იხ. ქსენოფონტი, „მოგონებები სოკრატეზე“, წიგნი IV, თავი II, მუხლი 2, 6-7]

სახელმწიფო მართვის სწავლების აუცილებლობა კარგად ესმოდა შარლ დე გოლს, დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული თანამედროვე საფრანგეთის აღორძინება. მან კარგად იცოდა, რომ XX საუკუნის საფრანგეთში არსებული გაუთავებელი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის, დაბოლოს, 1940 წლის კატასტროფის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არაეფექტურად მოქმედი სახელმწიფო აპარატი და სათანადოდ მომზადებულ სახელმწიფო მოხელეთა უქმარისობა იყო. სწორედ მიმომ, როდესაც გერმანელთა განდევნის შემდეგ დე გოლი საფრანგეთში დაბრუნდა (1944 წ.), ერთ-ერთი პირველი, რაც მან (მაშინ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თაგმჯდომარებრივი გააქცია — ეს იყო სპეციალური სასწავლებლის დარსება სახელმწიფო მართვის მოხელეთა მომზადების მიზნით.

### სახელმწიფოს მართვის სწავლების საფუძვლები

რა ძირითადი მოსაზრებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ სახელმწიფო მართვის სწავლების პროცესში? უმარტივესი მიდგომა იქნებოდა უბრალოდ გადმოგვედრ სწავლების ის სისტემები, რომლებმაც უკვე მრავალწლიანი პრაქტიკული აპრობაცია გაიარეს მსოფლიოს წარმატებულ ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველი ნაბიჯები სწორედ ამ მიმართულებით გადაიდგა კიდეც, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები დაეყრდნო, უპირატესად, ამერიკულ პროგრამებს და სახელმძღვანელოებს, რამაც, ფაქტობრივად, მთლიანად მოიცვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა. ამ მიდგომამ როგორც განათლების სფეროს, ისე სახელმწიფო მართვის სისტემას წარმატებაც მოუტანა და წარუმატებლობა. წარმატება იმ თვალსაზრისით, რომ თვით ახალმა მიდგომებმა მოიტანა პირველი უფეჩი, მაგრამ შემდეგ, სულ უფრო გართულებულ ვითარებაში, როდესაც ძველი კავშირები და ინსტიტუტები საბოლოოდ დაიშალა, ხოლო ახალი, არასაკმარისი პროფესიონალიზმისა და თანამდევი შეცდომების გამო, გერ დამკვიდრდა, თანდათან თვალსაჩინო გახდა, რომ

საგანმანათლებლო სისტემა ვერ ასრულებს ოვის ფუნქციას. შესაბამისად, სახელმწიფო და ეკონომიკური მართვის პროცესში მოსალოდნელი იყო სერიოზული შეფერხება, რაც პრაქტიკულად დაადასტურა კიდეც უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა.

თვით აშშ-ში, ისევე როგორც ევროპასა და აზიაში, ახალი მეთოდების ძიებაში არიან, ითვალისწინებენ სხვადასხვა სკოლების გამოცდილებას, აანალიზებენ დაშვებულ შეცდომებს და თანდათან აუმჯობესებენ სწავლების სისტემას. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი გავრცელებული შეცდომა გახსლავთ სახელმწიფო მართვის მეცნიერების მიერთვნება წმინდა პუმანიტარული სფეროსაღმი და, ამდენად, მათგმატიკური და ტექნიკური საბაზო განათლების საჭიროების, ხშირად, სრული უარყოფა.

სახელმწიფოებრივი მართვის თეორია დასაბამიდან ვითარდებოდა როგორც პოლიტიკურ მიძღვრებათა ერთ-ერთი მიმართულება, XIX საუკუნიდან კი უპყე დამოუკიდებელ სამეცნიერო მიმართულებად ჩამოყალიბდა. ამ დროს სახელმწიფოს შესწავლის მიზნით გერმანიაში შეიქმნა სამართლებრივი სკოლა, აშშ-ში კოლუმბიის კოლეჯში (შემდგომში Columbia University) პოლიტიკური მეცნიერებების სკოლა. შემდეგ მსგავსი სპეციალობები ევროპისა და აშშ-ის სხვა უნივერსიტეტებშიც გაიხსნა. აქ სახელმწიფო მართვის პრობლემები ისწავლებოდა პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთო კომპლექსში, თუმცა თანდათან იკვეთებოდა სპეციალურად სახელმწიფო მოხელეთა მომზადების აუცილებლობა, რასაც განაპირობებდა გართულებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მართვის სტრუქტურები. სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ მოხელეთა შრომის რეგულირების მიზნით შეიქმნა კანონმდებლობა სახელმწიფო სამსახურის შესახებ (ერთ-ერთი პირველი იყო 1883 წელს აშშ-ში მიღებულის „კანონი სახელმწიფოს სამსახურის შესახებ“). თანდათან გამოიკვეთა სპეციალურად სახელმწიფო მოხელეთა, ადმინისტრატორთა მომზადების აუცილებლობა.

XIX საუკუნის მიწურულს, პროფესორმა ვუდრო ვილსონმა, შემდგომში აშშ-ს 23-ე პრეზიდენტმა, დაიწყო სახელმწიფო მართვის პრობლემატიკის თეორიული კვლევა. მან შეიძუშავა „ადმინისტრაციული ეფექტიანობის მოდელი“,

სადაც განიხილა სახელმწიფო მართვაში ბიზნესის მართვის მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. ამავე საკითხებზე მუშაობდა ამერიკელი პოლიტოლოგი ფრენკ ჯონსონი გუდნაუ-ვილსონი და გუდნაუ ცდილობდნენ შეემუშავებინათ დემოკრატიული საზოგადოებისთვის მისაღები ბიუროკრატიის მოდელი, რომელიც ვილსონმა პრაქტიკულად განახორციელა კიდევ სახელმწიფო მოდგაწეობის დროს. შემდეგ სახელმწიფო მართვის ოეორია უკვე მეცნიერული მენეჯმენტის მიმართულებით განვითარდა, მართვის საკითხები განხილვა დაიწყო სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგიისგან დამოუკიდებლად.

ამრიგად, სახელმწიფო მართვის ოეორიაში ჩამოყალიბდა მართვის ისეთი სისტემა, რომელიც არ იყო დამოკიდებული პოლიტიკურ იდეოლოგიაზე. თეორიული მენეჯერული პრინციპების პრაქტიკულად გავრცელების მიზნით მალე (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული) აშშ-ში დაიწყო საქციალური ორგანიზაციების შექმნა. ეს იყო მუნიციპალური კალებების ბიუროები, რომლებმაც ამუშავებდნენ მენეჯმენტის წესებსა და პროცედურებს სახელმწიფო მართვის სტრუქტურებისთვის.

ვილსონისა და გუდნაუს იდეების შემდგომი განვითარება და სრულყოფა სახელმწიფო მართვის თანამედროვე, მენეჯერული მიმართულების სახით განხორციელდა გერმანელი სრული მიმართულებისა და ისტორიკოსის მაქს ვებერის მიერ. მან შეიმუშავა თეორია რაციონალური ბიუროკრატიის შესახებ. გერმანიის სახელმწიფო ბიუროკრატიის სისტემატიზებული ანალიზის საფუძველზე ვებერმა ახსნა ბიუროკრატია და პოლიტიკოსს შორის არსებული ძირითადი განსხვავებები. სახელმწიფოს ორგანიზაციის ყველაზე უფრო ეფექტური სისტემა, ვებერის აზრით, არის მკაცრ ბიუროკრატიულ პრინციპებზე აგებული სისტემა. ბიუროკრატიული სისტემის ეფექტურობა განპირობებულია მოხელეთა პროფესიონალიზმით, მათი მოვალეობების მკაფიო განსაზღვრით და დისციპლინის მკაცრი დაცვით და სხვ.

სახელმწიფო მართვის ოეორიისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარება ვილსონის, გუდნაუს და ვებერის იდეებს დაუკავშირდა. განმსაზღვრელი გახდა აღმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი მართვის აპარატის პოლიტიკისგან

გამიჯვნა და მეცნიერული მეთოდების გამოყენება მართვის აპარატის რეფორმირების დროს. ასეთი მოთხოვნებიდან გამომდინარე როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში თანდათან შეიქმნა სამეცნიერო ცენტრები სახელმწიფოებრივი მართვის პრობლემატიკის კვლევისა და სისტემური ანალიზის მიზნით. ამასთან, გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ სახელმწიფო მართვისა და საწარმოების მართვის პრინციპები ერთმანეთის მსგავსია, იმ ძირითადი განსხვავებით, რომ სახელმწიფო მართვის პროცესში წამყვანია პოლიტიკური მიზნები, სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელება, ხოლო საწარმოების მართვაში – კაონომიკური მიზნები, კომპანიის ფინანსური მოგება.

ამრიგად, სრულიად ბუნებრივია, რომ განვითარებულ ქვეყნებში, რომლებმაც პრაქტიკულად დაამტკიცეს სახელმწიფო და კონომიკური მართვის არსებული სისტემებისა და, მაშასადამე, შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემების ეფექტიანობა, მართვის ცნება ხშირად უკავშირდება ბიზნესის ცნებას. მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია მკაფიოდ გავმიჯნოთ ბიზნესისა და მართვის (მენეჯმენტისა და ადმინისტრირების) ცნებები იმისათვის, რათა ასევე გავმიჯნოთ განათლების შესაბამისი სისტემები.

ბიზნესმენი, მენეჯერი, ადმინისტრატორი სხვადასხვა ცნებებია. ბიზნესმენი კაპიტალის მფლობელია, იგი განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების პოლიტიკას, მას არ უკავია რაიმე მუდმივი თანამდებობა ორგანიზაციაში, მენეჯერს კი აუცილებლად აქვს რაიმე მუდმივი თანამდებობა. საქართველოში და გარდამავალი კონომიკისა და გარდამავალი სახელმწიფოებრიობის ქვეყნებში ბიზნესმენი და მენეჯერი ხშირად ერთი და იგივე პიროვნებაა, რაც სრულადაც არ უწყობს ხელს ბიზნესის წარმატებას.

ანალიზიურად, სახელმწიფო მართვის სისტემაში მენეჯერი, ადმინისტრატორი, არ არის პოლიტიკური ფიგურა, იგი არ იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, სახელმწიფო მოხელე არ არის (არ უნდა იყოს) პოლიტიკოსი და მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელობის განკარგულებებს ასრულებს. ამისათვის სახელმწიფო მართვის აპარატი (ბიუროკრატიული აპარატი) ზედმიწევნით კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო

მართვის პროცესის წარმართვის (ბიუროკრატიული პროცესის) წესებს.

ამასთან, ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ სახელმწიფო მართვის აპარატმა (ბიუროკრატიამ) შესაძლოა დაიწყოს საკუთარ და არა სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ზრუნვა. ამ დროს ბიუროკრატია ცდილობს მართვის ტექნიკის მონოპოლიზებას ისეთი ხერხების გამოყენებით, როგორიცაა ინფორმაციის „გასაიდუმლება, „სამსახურებრივი საიდუმლობის“ დაცვა და ა.შ. საზოგადოდ, როგორც მაქს ვებერი აღნიშნავდა, ბიუროკრატია ისწრაფვის გააფართოვოს თავისი გავლენის არეალი, გაცდეს საკუთარი უფლებამოვალეობების ფარგლებს, ასეთი ბიუროკრატია ხელმძღვანელობს ე.წ. „ძალაუფლების ინსტიქტით“. საქმის ეფექტიანი წარმართვისთვის ბიუროკრატიას უნდა ჰქონდეს გარკვეული დამოუკიდებლობა, მაგრამ „ზედმეტი“ დამოუკიდებლობის შემთხვევაში ბიუროკრატიას უწნდება სახელმწიფო ძალაუფლების მონოპოლიზების შესაძლებლობა, რასაც დამოუკიდებლად მოქმედი, ე.წ. ტოტალური ბიუროკრატია აუცილებლად ეცდება გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში მოსალოდნელია დიქტატორული რეჟიმის დამყარება. სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ამოცანა ის არის, რომ მკაფიოდ განუსაზღვროს სახელმწიფო მოხელეთა (ბიუროკრატიის) მოქმედების უფლებამოსილება და მკაცრად აკონტროლოს მის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების ეფექტიანობა და ხარისხი.

ამრიგად, სახელმწიფო მართვა არის მეცნიერების დამოუკიდებელი, დისკიპლინათაშორისი დარგი, რომელიც სერიოზულ შესწავლასა და თვისებას მოითხოვს. უფრო სწორი იქნება, თუ ამ დარგს კურთხებთ „მმართველობით აზროვნებას“, რომელიც თავის თავში აერთიანებს მეცნიერებას, გამოცდილებას, ნოუჰაუს, მმართველობით ხელოვნებას. მმართველობითი აზროვნებაზე გავლენას ახდენს მეცნიერების მიღწევა და მეცნიერული მეცნიერების ერთ-ერთი ამოცანა სწორებ იმაში მდგომარეობს, რომ ეფექტიანად გამოიყენოს ეს მიღწევები, რათა გადაიჭრას მთავარი პრობლემა – მიღებული იქნას სასურველი შედეგები მრავალი ადამიანებისა, რომლებიც ქმნიან

პროდუქციას, ახორციელებენ მომსახურებას და ამ პროცესში მრავალფეროვან რესურსებს იყენებენ, როგორც ბიზნესის, ეკონომიკის სფეროში ისე პოლიტიკური პროცესების მართვაში.

### **მართველობითი აზროვნების განვითარების**

#### **ტენდენციები**

კაცობრიობის ისტორიაში ჩამოყალიბდა მართვის ანუ ადამიანებზე ზემოქმედების სამი ძირითადი პრინციპი.

პირველი – ეს არის იერარქია, ორგანიზაცია, სადაც ზემოქმედების ძირითადი საშუალება გამოიხატება უფროსისადმი ხელქვეთის მორჩილებით.

მეორე არის კულტურა ანუ საზოგადოების, ორგანიზაციის, ჯგუფის მიერ გამომუშავებული და აღიარებული ღირებულებები, ქცევის ნორმები, შაბლონები, წესები, რიტუალები, რომლებიც აიძულებენ ადამიანს მოიქცეს ასე და არა სხვაგვარად.

მესამე არის თანასწორი პორიზონტალური ურთიერთობების ქსელი, რომელიც დამყარებულია პროდუქციისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვაზე, საკუთრებასთან დამოკიდებულებაზე (მაგალითად, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა), გამყიდველისა და მყიდველის ინტერესების წონასწორობაზე, რასაც, პოლიტიკური თვალსაზრისით, დემოკრატიული მართველობა შეესაბამება.

რეალურ სამეურნეო და სოციალურ სისტემებში ყველა ზემოაღნიშნული პრინციპი აუცილებლად არის წარმოდგენილი. საქმე ის არის, თუ რომელ მათგანს ენიჭება პრიორიტეტი, რომელი არის მთავარი იარაღი. სწორედ ეს განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზების არსეს.

ტრადიციული საბჭოთა საზოგადოების ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი სისტემის ხერხემალს მკაცრად ორგანიზებული იერარქია წარმოადგენდა, რასაც საყოველოთაო ხასიათი ჰქონდა. ამასთან ერთად, საბჭოთა მმართველობა აქტიურად იყენებდა კომუნისტურ იდეოლოგიაზე დამყარებულ ხისტ კულტურულ ურთიერთობებს, როგორც საზოგადოების წევრებზე ზემოქმედების მძლავრ იარაღს.

კომუნისტური სისტემის კრახის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი სისტემა გახლდათ. ამ შემთხვევაში მართვის ვერტიკალი

მიმართულია მკაცრად ზემოდან ქვემოთ და მოითხოვება მხოლოდ ბრძანების შესრულება. რამდენად სრულდება ეს ბრძანება, საჭიროა თუ არა მისი შესრულება და ა.შ. ეს, მართვის პირამიდის მწვერვალზე პრაქტიკულად არავის აინტერესებს, არ არსებობს ეფექტიანი მართვის მთავარი შემადგენელი ელემენტი - უკუკავშირი, ხელისუფლება ყრუა მოსახლეობისა და საზოგადოების მოთხოვნებისადმი და, როგორც შედეგი, არც ადრე მიღებული გადწყვეტილებები კონტროლდება, თუნდაც მცდარი და ქვეყნისათვის საზიანო. ასეთი მართვა ამართლებს გარკვეულ პირობებში, თუ ამავე დროს დაცულია მბრძანებლობითი სისტემის სხვა პირობები:

- შეუფერხებლად მოქმედებს სახელმწიფოებრივი იძულების მქანიზმები;
- დაცულია ავტორიტარულ (დიქტატორულ) ქვეყანაში მიღებული დირექტულებათა სისტემა, კანონიერების დარღვევა დაუნდობლად ისჯება;
- ეკონომიკური სისტემა - გარკვეული ხარისხით მაინც საბაზრო პრინციპებზეა დაფუძნებული და არა მთლიანად პარტიული სტრუქტურის (ხელისუფლების) ზეგავლენის ქვეშ მოქცეული.

მმართველობითი აზროვნების აღმასვლა უკავშირდება ტელერაიზმს და ეფუძნება დებულებას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ვმართოთ მეცნიერულად. ეს იდეა მაშინ სერიოზული აღმოჩენა იყო. მართლაც, საინჟინრო მეცნიერებათა იდეების საწარმოო სფეროში გადატანამ სულ მაღლ მოიტანა პირველი ეფექტი. შემდგენ უმნიშვნელოვანესი მიღწევა აღმოჩნდა ა. ფაიოლის მიერ ჩამოყალიბებული მართვის პრინციპები, რაც ორიენტირებული იყო, პირველ რიგში, ფორმალური ორგანიზაციული სტრუქტურებისა და სისტემების შექმნაზე. ეს გახდათ აღმინისტრირების მეცნიერების პირველი დამოუკიდებელი შედეგი.

მმართველობითი აზროვნების შემდგენ განვითარება უკავშირდება „ადამიანური ურთიერთობების“ სკოლის ჩამოყალიბებას. შემდეგ ეს მიმართულება გაგრძელდა ორგანიზაციის, როგორც სოციალური სისტემის, თეორიის განვითარებით. ფაქტობრივად, ეს თეორია წარმოადგენს ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის მიღწევების მართვაში გამოყენებას.

მორიგი მნიშვნელოვანი ნახტომი უკავშირდება გადაწყვეტილებათა მიღებაში რაოდენობრივი მეთოდების, მათემატიკისა და კომპიუტერების გამოყენებას. ამას მოჰყვა დიდი სისტემების თეორიისა და კიბერნეტიკის მეთოდების განვითარება ბიზნესისა და სახელმწიფო მართვის მიზნებისთვის. დაბოლოს, დადგინდა, რომ ორგანიზაცია – ეს არის დია სისტემა, რომელიც ცდილობს შეეგუოს რეალურად არსებულ მრავალფეროვან გარე და შიგა გარემოს, ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე მოვლენების მთავარი მიზეზები უნდა ვეძებოთ მის გარეთ, გათვალისწინებულ უნდა იქნას გარემოს ტიპები და მართვის სხვადასხვა ფორმები – ანუ მოხდა უნივერსალიზმის პრინციპებიდან „სიტუაციურ მიდგომაზე“ გადასვლა, გამოვლინდა „ორგანიზაციული კულტურის“ დიდი მნიშვნელობა. მენეჯმენტის მეცნიერებაში დღეს აიროვნები კულტურა მართვის ისეთივე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ითვლება, როგორც თვით ორგანიზაცია, მისი სტრუქტურა. მართლაც, უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ პროგრესული გარდაქმნების მთავარ პოტენციალსა და, ამავე დროს, მთავარ საფრთხეს ადამიანი წარმოადგენს (უფრო სწორად ადამიანის აზროვნება, მისი კულტურა, მათ შორის ორგანიზაციაში ქცევის კულტურული სტერეოტიპები).

**მმართველობითი აზროვნების მიღწევათა გამაერთიანებლად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო მართვის კიბერნეტიკული მოდელი, რომელიც აქტიურად ინერგება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების სპეციალობებზე.**

### სახელმწიფო მართვის თანამედროვე

#### ტენდენციები

უკანასკნელ წლებში პოლიტიკური პროცესებისა (სახელმწიფოს) და ბიზნესის მართვის მსოფლიო სისტემაში მრავალი ახალი ტენდენცია გამოვლინდა. მირითადად, ეს პროცესები ეხება როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანიზაციების, ისე ბიზნეს-კომპანიების ცვლადი გარემოსადმი ადაპტაციის გაღრმავებას, ცვლად კონკურენციულ გარემოში ორგანიზაციების განვითარების პერსპექტივული გეგმების შიდა ორგანიზაციული მექანიზმებისადმი შესამებას არჩეული სტრატეგიების რეალიზაციის მიზნით. დღეს,

კორპორაციული მართვისთვის კუცილებელი ხდება ისეთი ცნებები, როგორიცაა: Vision (ორგანიზაციების მომავლის ხედვა), Mission (ორგანიზაციების საქმიანობის მთავარი მიზანი, ზეამოცანა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის დანიშნულებას), Benchmarking (ორგანიზაციების ძირითადი ორიენტირები, რომლებიც წამყვანი სტრუქტურების მაჩვენებლის შესაძარია).

მეორე ტენდენცია უკავშირდება გლობალიზაციას, რამაც გააძლიერა სახელმწიფოსა და ბიზნესის მართვის საერთაშორისო ხასიათი. განვითარებული ქვეყნების უმცირესობა ერთიან პოლიტიკურ სივრცეს ქმნის, მათი ეპონომიკა და ხდება და ბაზარზე თავისუფლად აღწევს პრაქტიკულად ნებისმიერი საქონელი და მომსახურება, მიუხედავად მათი წარმოების ადგილისა, სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის არის საერთაშორისო კონკურენციის როლი, ფართოვდება წარმოებათა კოოპერაცია, იქმნება ტრანსნაციონალური კორპორაციები და ა.შ. რაც უმნიშვნელოვანებს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებს იწვევს. ეს ყოველივე მრავალ ახალ კითხვას უსვამს მართვის თეორიას და პრაქტიკას. მათ შორის უმთავრესია - რა არის საერთო და განსაკუთრებული მართვაში? როგორი კანონზომიერებები მოქმედებს? სახელმწიფოსა და ბიზნესის მართვის რომელი ფორმები და მეთოდებია უნივერსალური და რომელია სპეციფიკური და მოქმედებს მხოლოდ მოცემული ქვეყნების კონკრეტულ პირობებში? როგორ ვმართოთ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა? რაში მდგომარეობს მართვის ნაციონალური სტილისა და ორგანიზაციული ქცევის თავისებურებანი? რამდენად მნიშვნელოვანია ამ თავისებურებათა როლი სასურველი შედეგების მიღწევისთვის? როგორ უნდა მოახერხოს უცხოელმა ბიზნესმენმა თუ მენეჯერმა სწრაფად მოერგოს ნაციონალურ, ადგილობრივ გარემოს? და ა.შ.

მესამე თავისებურება უკავშირდება თანამედროვე სახელმწიფო და ეკონომიკური საქმიანობის მატერიალური და ტექნოლოგიური ბაზის მნიშვნელობის გაცნობიერებას, რაც წარსულისკენ ერთგვარი მობირუნება გახდა. ამ გარემოების განმსაზღვრელი გახდა, ერთი მხრივ, კომპიუტერული ტექნიკისა და კომპიუტერული ქსელების სულ უფრო მზარდი გამოყენება მართვაში, ორგანიზაციის მიზნების მიღწევაზე სამეცნიერო-

ტექნიკური პროგრესის გავლენის გაძლიერება, მწარმოებლობისა და ხარისხის როლის კიდევ უფრო ამაღლება კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნაში, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოებისა და ბიზნესის მართვის პროცესების, ბიზნესის ტექნილოგიის გარდაქმნის, უფრო რაციონალურად წარმართვის სურვილი. ფართოდ გავრცელდა ცნება „რეინჯინერინგი“, რაც მოიცავს ადნიშნული პროცესების რაციონალური გარდაქმნის მეთოდებისა და მიღომების ერთობლიობას. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ მმართველობით აზროვნებაში კვლავ ძლიერდება ტექნიკურატიზმის როლი, ოდონდ ამჟამად უფრო ღრმა და ჯანსაღ საფუძველზე.

პარალელურად ვითარდება მართვის დემოკრატიზაცია, რიგითი მუშაკების მონაწილეობა მართვაში. ეს იდეა XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაისახა და 50-60-იან წლებში ვითარდებოდა თეორიულად, თუმცა, მაშინ ეს მიღომა სერიოზულად ვერ დამკიდრდა. ამ იდეას სკეპტიკურად განსაკუთრებით აშშ-ში კეყრობოდნენ (ევროპისა და იაპონიისგან განსხვავებით). დღეს მართვის დემოკრატიზაცია, ისევე როგორც ბიზნესის ეთიკის მოთხოვნები, მთელ მსოფლიოში რეალობა ხდება. უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მომავალი ეკუთვნის მართვის დემოკრატიულ, ე.წ. „participation“-ულ (participation – მონაწილეობა) ფორმას.

### განათლების პრინციპები სახელმწიფო მართვის სფეროში

მართვის სფეროში დღისათვის მსოფლიოში არსებობს განათლების შემდეგი ძირითადი მოდელები – გერმანული (ტრადიციული), ამერიკული, იაპონური და შერეული.

ტრადიციული ანუ გერმანული მოდელი ძირითადად გავრცელებულია გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. გერმანული მოდელის მთავარი იდეა არის პროფესიონალი ხელმძღვანელის მომზადება. ამ მოდელის ფარგლებში იკვეთება, პირველ რიგში, უმაღლესი პროფესიული მომზადება, რაც საბაზისო ცოდნასა და სპეციალობას (საინჟინრო, ეკონომიკური, იურიდიული, სოციოლოგიური, საინჟინრო-ეკონომიკური) იძლევა და რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ორგანიზაციის

ტექნიკურ ან მმართველობით საქმიანობასთან. შემდეგია ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაც უკვე პრაქტიკული მუშაობის პროცესში მიმდინარეობს, როგორც წესი, კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი კურსების მქონეობით. ამ კურსებზე მსმენელები იძნენ მართვის საკუთალეულ, კონკრეტულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია მართვისა და სამეურნეო საქმიანობისთვის. შესაძლებელია, აგრეთვე, პროფესიული გადამზადება, როგორც ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების უფრო საფუძვლიანი ფორმა, რასაც შესაძლოა მოცყვეს ახალი საკუთალობის შეძენაც სახელმწიფო მართვის, ბიზნესის, მენეჯმენტისა ან მეწარმეობის სფეროში.

ამერიკული მოდელი დამყარებულია ე.წ. „პროფესიონალი“ მენეჯერის მომზადებაზე. ეს მოდელი გულისხმობს უმაღლესი პროფესიული განათლების მიღებას მენეჯმენტის დარგში უკვე არსებული ზოგადი უმაღლესი განათლების (ნებისმიერი დარგის ბაკალავრიატის ფარგლებში) ბაზაზე. ამასთან, ბაკალავრის პროფესიული დიპლომი შესაძლოა იყოს საინჟინრო, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული ან სხვ., რომელთაც შესაძლოა არავითარი კავშირი არ გააჩნდეს სახელმწიფო ან კომერციული ორგანიზაციების საქმიანობასთან. ამასთან ერთად, აშშ-ში არსებობს და დიდი პოპულარობითაც სარგებლოვებს „საქმიანი ადმინისტრირების ბაკალავრის“ (Bachelor of Public Administration, Bachelor of Business Administration) საკუთალობაც. მაგრამ, მაინც, როგორც წესი, ამერიკული მოდელის ფარგლებში, მენეჯმენტის დარგში უმაღლესი პროფესიული განათლების მიღებამდე მსურველმა უნდა დააგროვოს პრაქტიკული მუშაობის გარკვეული გამოცდილება, რათა „შიგნიდან“ გაიგოს რა არის მენეჯმენტი რეალურ ცხოვრებაში. მხოლოდ ამის შემდეგ ირჩევს ის მენეჯერის „პარიერას“ და კვლავ უბრუნდება უმაღლეს პროფესიულ განათლებას სერიოზული ცოდნის შესაძენად სწორედ მენეჯმენტის სფეროში, რაც მისთვის საბოლოოდ ხდება მთავარი პროფესია. ასეთი ტიპის განათლებას შექსაბამება არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული საქმიანი ადმინისტრირების მაგისტრის (Master of Public Administration MPA, Master of Business Administration MBA) ხარისხი, რაც ორგანიზაციის საერთო

მართვის სფეროს განეკუთვნება. ამ ხარისხს შეესაბამება, აგრეთვე, სპეციალიზებული მაგისტრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებში, სამართალში, ფინანსებში, მარკეტინგში, აუდიტში, საინფორმაციო სისტემებში და სხვ.

სამაგისტრო პროგრამებზე სწავლობენ, ძირითადად, 25-30 წლის ახალგაზრდები, რომელთაც, ბაკალავრის დიპლომთან ერთად, ორი-სამი წლის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება აქვთ. მაგისტრის ხარისხი, რომელსაც სწავლების შედეგად ახიჭებენ, არ ითვლება სამეცნიერო ხარისხად. ეს უფრო პროფესიონალური ხარისხია, რომელიც იმას ადასტურებს, რომ მის მფლობელს აქვს მენეჯმენტის სფეროში არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული ცოდნაც და გარკვეული უხარჩევებიც, რომლებიც მან შეიძინა მრავალი მმართველობითი სიტუაციის გარჩევის შედეგად, მმართველობით თამაშებში მონაწილეობით, დიდ ფირმებში და სახელმწიფო სტრუქტურებში სტაჟირებით, საზღვარგარეთ და ა.შ. წამყვან უნივერსიტეტებში ძირითადი არის პროგრამები. ეს პროგრამები გამოირჩევა სწავლების განსაკუთრებული ინტენსიურობით და კურსდამთავრებულთა მაღალი ხარისხით. პროფესიული მმართველის ან ბიზნესისა და მენეჯმენტის კარიერის მსურველებს აშშ-ში, განსაკუთრებით დიდ ფირმებში, სასურველია პქონდეთ მაგისტრის ხარისხი. ბოლო დროს ძლიერ გავრცელდა სამაგისტრო პროგრამების საღამოს სწავლების ფორმები უმაღლესი რანგის პრაქტიკოს-ხელმძღვანელებისთვის. მთლიანობაში მენეჯერის პროფესიულ ხარისხს ყოველწლიურად 80 ათასი ამერიკელი იღებს, რაც ამერიკის უნივერსიტეტების ყველა სპეციალობის მაგისტრთა 25%-ს შეადგენს.

ევროპაში ამერიკულ მოდელთან განსაკუთრებით ახლოს არის ბრიტანული მაგისტრატურა, თუმცა, აქც, სამაგისტრო პროგრამების ძირითადი ნაწილი წარმოებისგან მოუწვევბლად მოქმედებს.

ამ პრაქტიკის შესაბამისად გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში სახელმწიფო მოხელეთა ქართულ-ამერიკული სკოლა დაარსდა, რომელიც სახელმწიფო მართვის მაგისტრებს ამზადებდა. იმ პერიოდისათვის ეს გამართლებულიც იყო, რამდენადაც სახელმწიფო მართვის

სპეციალისტთა მწვავე დეფიციტის პირობებში, მოკლე ვადაში, საჭირო იყო პროფესიული ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადება იმ კონტიგენტიდან, რომელსაც უკვე ჰქონდა საბაზისო უმაღლესი განათლება და პრაქტიკული მუშაობის გარკვეული (არა ნაკლები 2 წელი) გამოცდილება.

შემდგომში გაზიარებული იქნა აშშ-სა და ევროპული ქვეყნების სხვა გამოცდილებაც სახელმწიფო მართვის სპეციალისტთა მომზადების საქმეში და საქართველოშიც 1995 წლიდან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ზოგიერთ სხვა უმაღლეს სახწავლებელში, ბაკალავრიატის დონეზე შემოღებული იქნა სახელმწიფო მართვის, სახელმწიფო პოლიტიკის, ქალაქის მენეჯერის სპეციალობები.

სამწუხაოდ, საქართველოს განათლების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის № 633 ბრძანებამ ეს საკითხი თავდაყირა დააყენა. ბრძანების დანართში „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალი“, არ ფიგურირებს ისეთი სპეციალობები, როგორიცაა სახელმწიფო მართვის მოხელე, ქალაქის მენეჯერი, სახელმწიფო პოლიტიკა და ა.შ. თუმცა საერთაშორისო კლასიფიკაციონში, რომელსაც აღნიშნული დანართი ეყრდნობა ეს და ანალოგიური სპეციალობები ცალკე ბლოკად შედის. რამდენადაც დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობა იყენებს შერეულ მოდელს.

ამ შემთხვევაში უმაღლესი განათლების გერმანული ტიპის ტრადიციული ევროპული სისტემა შეხამებულია ამერიკულ სისტემასთან. სწავლების ეს სისტემა ფართოდ არის გავრცელებული იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, ნიდერლანდებში, სადაც ასობით ასეთი მოდელის სკოლა ფუნქციონირებს.

განსაკუთრებით პოპულარულია სახელმწიფო მართვის სკოლები და ზოგადად, სპეციალობები აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში. მათი უმრავლესობა გაერთიანებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო მართვის ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელში (NISPA), რომელიც თავის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციებზე განიხილავს სახელმწიფო მართვის აქტუალურ პრობლემებს.

თანამდერვე განათლების სისტემის უმთავრესი ტენდენცია იმაშიც გლობალური, რომ სხვადასხვა ქვეყნებში

არსებული მმრთველობითი განათლების მეთოდები სულ უფრო უაღლოდება ერთმანეთს. მართვით დაკავებულ სპეციალისტთა პროფესია სულ უფრო ინტერნაციონალური ხდება. თითოეული ქვეყნის მართვის გამოცდილების გაზიარება მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ხელს უწყობს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას. სხვისი წარმატებისა თუ წარუმატებლობის ისტორია ხმირად მეტად თვალსაჩინოა და სასარგებლო საკუთარი საქმიანობის უშეცდომო (ან ნაკლებად სახიფათო) წარმართვისათვის.

და მაინც, თუ დაგაკვირდებით სახელმწიფო მართვისა და ეკონომიკური სისტემების (ბიზნესის) განვითარებას დღევანდელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში, ვნახავთ, რომ რეალურ მართვაში სათანადოდ მომზადებულ სპეციალისტს უმრავლეს შემთხვევაში, სათანადოდ არ ვაფასებთ. ჩვენში, როგორც წესი, გადამწყვეტია ხელმძღვანელის ფიგურა, ადამიანისა, რომელიც შესაძლოა მაინცდამაინც განათლებული არ იყოს (ან სულ არ ჰქონდეს სათანადო განათლება), არ გააჩნდეს ცოდნა მართვის მეთოდების შესახებ, მაგრამ თავისი პირადი თვისებების წყალობით, პიროვნეული (ზოგჯერ ავანტურისტის) ტალანტით, გამოცდილებით და ინტუიციით, რისკის უნარით აღწევდეს წარმატებებს. მეორე მხრივ, მრავალი, ერთ დროს წარმატებული ორგანიზაციის მარცხის მიზეზი არც თუ იშვიათად მისი ხელმძღვანელის არასაკმარისი ცოდნა ხდება. ტალანტისა და სამეცნიერო ცოდნის შეერთება იძლევა წარმატების მიღწევის გარანტირებულ შესაძლებლობას როგორც სახელმწიფო მართვაში ისე საბაზო ეკონომიკაში.

მართვის რეალური პრობლემები იშვიათად არის „ფუნქციური“ ანუ ეს პრობლემები არ ეხება სახელმწიფო თუ ეკონომიკური საქმიანობის მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეს, ვოქათ, მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობას, ან მხოლოდ ადმინისტრირებას, ფინანსებს ან მხოლოდ მარკეტინგს. ბიზნესის თვალსაზრისით კონკურენციულ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც ბიზნესის საკითხებს – ბაზრის მოთხოვნები, ფინანსები, ტექნოლოგიები, კადრების შერჩევა, მათი მოტივაცია, მარკეტინგი – კომპლექსურად წყვეტს, ერთდროულად და ერთმანეთთან მჯიდრო უთიერთკავშირში. სახელმწიფო მართვის თვალსაზრისით კი ის ორგანიზაცია

არის წარმატებული, რომელიც კომპლექსურად წავეტს როგორც ადმინისტრირების, ისე სიტყვის თვაისუფლების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, გადაწყვეტილებათა მიღების გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის და სხვა საკითხებს.

აქედან გამომდინარებს სხვადასხვა დისციპლინათაშორისი „ინტეგრირებული“ კურსების მნიშვნელობა, იზრდება ინტერესი სისტემური აზროვნებისადმი, მომავალ მენეჯერებს და ადმინისტრატორებს, სახელმწიფო მართვის მოხელეებს რეალური, საქმიანი პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტა უნდა შეეძლოთ.

განათლების მიღება მართვის სფეროში საჭიროა არა მხოლოდ კარიერის დასაწყისში, არამედ, პრაქტიკულად მთელი ცხოვრების განმავლობაში. ამიტომ იქმნება ახალი პროგრამები ე.წ. „უწვეტი სწავლება“ (განათლება მთელი ცხოვრების განმავლობაში), რაც, ახალი კურსების შემოქმედებითად შეწავლასთან ერთად, მენეჯერული ცოდნის პერიოდულად განახლებას ითვალისწინებს. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ თანამედროვე პირობებში ეფექტიანი მენეჯმენტის ინოვაციური მეთოდების შეწავლა შეუძლებელია მხოლოდ ტრადიციული (როგორც ფორმით, ისე შინაარსით) აკადემიური განათლების ფარგლებში, რა მაღალი დონისაც არ უნდა იყოს სწავლების ხარისხი. აუცილებელი არის არატრადიციული, აქტიური მეთოდების გამოყენება. ერთ-ერთი ასეთი, კარგად ცნობილი მეთოდი არის საქმიანი თამაშები, განსაკუთრებით კომპიუტერული იმიტაციური თამაშები, რომლებიც მრავალი წელია რაც გამოიყენება მსოფლიოს წამყვან მართვის სკოლებში, ფსიქოლოგიური ტრენინგები საქმიანი კომუნიკაციების უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად, მოლაპარაკების ხელოვნება და ა.შ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე გუნდურ მუშაობას და ლიდერის ტრენინგს, ფართოდ გამოიყენება ისეთი ფორმები, როგორიცაა „სწავლება მოქმედებით“ (Action Learning). ამ დროს სტუდენტი მუშაობს რაიმე კონკრეტული საქმიანი პრობლემის გადაწყვეტაზე, რომლის დროსაც ითვისებს სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო მეთოდებსა და იდეებს. ახალი, ინოვაციური მიდგომა არის, აგრეთვე, სასწავლო პროგრამები პროექტების სერიის ბაზაზე (Project-Based Management Education). ამას ემატება, აგრეთვე, სტაჟირება წამყვან კომპანიებში და

სახელმწიფო სკოლუქტურებში. შემდეგი ნახტომია მთელი ორგანიზაციის სწავლება (Learning Organization). ამ შემთხვევაში სწავლების ობიექტია არა ცალკეული ადამიანები ან ჯგუფები, არამედ მთელი ორგანიზაცია, როგორც აღმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი დაწესებულება, ისე კერძო ბიზნეს-კომპანია. ამ დროს ცდილობენ არა მხოლოდ კომპანიის გარდაქმნას, არამედ კომპანიის თვითგარდაქმნის უნარის შემუშავებას, რაც გულისხმობს გარე და შიდა პრობლემებზე დროულად რეაგირებისა და მათი რეალურად გადაწყვეტის უნარის გამომუშავებას მთელი ორგანიზაციის მიერ.

საგანმანათლებლო პროცესების რევოლუციური გარდაქმნა გამოიწვია ახალმა საინფორმაციო ტექნოლოგიების, გლობალური საინფორმაციო ქსელების, ინტერნეტის განვითარებამ, რამაც ეფექტიანი სწავლების ახალი შესაძლებლობა შექმნა, მათ შორის დისტანციური სწავლების შესაძლებლობა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰქონიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულებაზე პირველად საქართველოში დაინირგა დისტანციური სწავლების სისტემა, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებდა 2004 წლის განმავლობაში სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული მოხელეებისათვის. სამწესაროდ, დისტანციური სწავლების კურსების ფუნქციონირება სანმოკლე აღმოჩნდა, სახელმწიფო მოხელეთა კადრების სისტემატური ცვლილებებისა და სათანადო საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო.

მართვის სწავლების ტრადიციული (ძველი) მიდგომიდან ახალზე გადასვლა, პირველ რიგში, გამოიხატება „პასიურიდან“ (რაც მხოლოდ სასწავლო კურსის ათვისებით იფარგლება) „ინოვაციურ“ სწავლებაზე გადასვლით, სასწავლო კურსების პროგრამების მოქნილობით, მათში მრავალფეროვანი და ცვლადი რეალური სამყაროს ასახვის შესაძლებლობით, მოსწავლეზე (სტუდენტზე) უფრო აქტიური ზემოქმედებით და მათ მიერ ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავებით პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის დროს.

სწავლების ახალ ფორმების შემუშავებასთნ ერთად იცვლება ცოდნის ხარისხის კონტროლის სისტემაც. იცვლება, აგრეთვე, მოთხოვნები პედაგოგების მიმართ. ტრადიციულ სისტემაში კარგ პედაგოგად ითვლებოდა მაღალკვალიფიციური

პროფესორი, რომელსაც პქონდა მაღალი სამეცნიერო ხარისხი, იყო წიგნებისა და სამეცნიერო სტატიების ავტორი. ამ დროს სწავლება მიმდინარეობდა პროფესორიდან სტუდენტებისკენ ცოდნის გადაცემაში (ვუწოდოთ ასეთ მიდგომას „ცარიელი ჭურჭლის ავსების მეთოდი“). ინოვაციური სწავლება უკვე სხვა მიღებამ მოითხოვს. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მხოლოდ ცოდნის ავტონომიური წყარო კი არ არის, არამედ სასწავლო პროცესის მომწყობი (ე.წ. „ფასილიტატორი“ facilitator). მასწავლებლისგან მოითხოვება იყოს ერთგვარი „მოთამაშე მწვრთნელი“, ინსტრუქტორი და არა მხოლოდ დამრიგებელი, მენტორი. ამ დროს ცოდნის შეძენა, უნარ-ჩვევების გამომუშავება, მსოფლმხედელობის ჩამოყალიბება ხორციელდება სასწავლო ჯგუფებში თვით მსმენელთა ურთიერთქმედებით (ვუწოდოთ ასეთ მიღებას „ცოდნის ჩირადინის ანთება“). ასეთი მიღება განსაკუთრებით ნაყოფიერია პრაქტიკოს-მენეჯერთა განათლებისთვის.

### დასკნა

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებული პრობლემები ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო მართვის სათანადო მომზადებულ სპეციალისტთა უკმარისობით და, როგორც შედეგი, სახელმწიფო მართვის პროცესში სახელმწიფო მართვის თეორიის მეცნიერულად და პრაქტიკულად უკვე მრავალგზის დადასტურებული მიღწევებისა და ევექტიური სახელმწიფო მართვის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების ფაქტობრივი იგნორირებით.

ალასიკური უნივერსიტეტების დრო მიდის. სახელმძღვანელოებით სტუდენტი მხოლოდ სტუდენტურ ნაშრომს შექმნის. ამიტომ ზოგად თეორიულ განათლებასთან ერთად სტუდენტმა უნდა მიიღოს პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები ისე, რომ მან მოახერხოს არა მხოლოდ საქართველოს კომპანიებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებში მუშაობა, არამედ, მას უნდა პქონდეს საზღვარგარეთ სწავლისა და მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა. ასეთ შესაძლებლობებს განაპირობებს სწავლების ზემოაღნიშნული პრინციპებისა და მიღებობის დანერგვა საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში. ასეთი მიღება განსაკუთრებით ეფექტურია იქნება ისეთი სპეციალობებისთვის, რომლებიც დაფიციტურია არა მხოლოდ საქართველოში არამედ,

საზოგადოდ, პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების მართვის სფეროში.

პროფესიულ სახელმწიფო მოხელეთა გარეშე შეუძლებელია ეფექტური სახელმწიფო მართვის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით, პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობისთვის, მათ შორის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მეტად მწვავედ დეფიციტურია სახელმწიფო მართვის სპეციალისტი. ასეთი სპეციალისტების დეფიციტი სულ უფრო მეტად საგრძნობი ხდება, რასაც ნათლად ადასტურებს საქართველოს წინაშე არსებული სახელმწიფო მართვის მწვავე პრობლემები. ეს ყოველივე სერიოზულად ამჟარუსებს ქვეყნის რეფორმირების პროცესს, მის საყოველობრივო დემოკრატიზაციას და მსოფლიო ცივილიზებულ თანამეგობრობაში სრულუფლებიან ინტეგრაციას.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო მოხელეთა მომზადება უნდა დაეყრდნოს შემდეგ ფუნდამენტურ საფუძლებს

- სახელმწიფო მართვის საერთო საკითხების ცოდნას,
- ტექნიკურ, მათ შორის მათემატიკურ და კიბერნეტიკულ განათლებას,
- ჰუმანიტარულ, მათ შორის ისტორიულ-ფილოსოფიურ განათლებას.

დღევანდებლ საქართველოში, სახელმწიფო მართვის მოხელეთა ასეთი კომპლექსური მომზადება მიზანშეწონილია განხორციელდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

### Association of Open Diplomacy The University Education Concept for Public Administration Direction

#### **Summary**

It is shown in the concept, that it is possible and necessary to learn the art of public administration. This problem is especially sharply in the former Soviet republics, including in Georgia. Georgian educational system paid the certain attention to the problems of training to management; however the questions of state administration remain in a shade. Thus, it is obvious, that the main political and economic problems as Georgia and the countries so-called «young democracy» are connected with ignoring of the theory of management.

After finding of the state independence for overcoming of existing deficiency in the field of training to management as in Georgia so in the former Soviet republics everywhere began to use the American programs and manuals. This approach made certain success in the beginning however was gradually showed malignancy of the superficial reference to the American methods without their specificity. The most widespread error was reference of a science of the government to purely humanitarian area and, accordingly, refusal of necessity of technical and mathematical formation.

It is considered in article a way of development of managerial thinking from political doctrines to the management approach, prospect of development of principles of the public administration, existing models of training (traditional - German, American, mixed, Japanese), are defined concepts of the businessman, the manager, the administrator, a place of the civil servant in a management system, etc. As the uniting scientific approach of existing directions and achievements of managerial thinking the cybernetic approach is offered. This method is used for training of specialities of the public administration direction of humanitarian-social faculty of the Georgian technical university.

The era of classical universities leaves, using the textbooks students can prepare only student's works. Therefore, for training of students use of innovative methods is necessary. It is necessary «to learn students to study» agrees a principle of "Light a Flame" and not just «Filling of an Empty Vessel», the lecturer should become the organizer of educational process (facilitator), the trainer, and not just the instructor and the mentor.

On the basis of the analysis of the considered questions the conclusion about necessity of training to public administration art as independent, interdisciplinary science on the basis of fundamental bases is made, these are the general questions of the state management, a base technical education (including mathematical and cybernetic formation) and base arts education (including historic-philosophical formation). Such complex training to a public administration science is expedient for carrying out in Georgian Technical University because there is in existence the relevant basis of education.

**Key words.** Public Administration, State Policy, Public Policy, Business Administration, Public Relations, Strategic Planning, Administration, Management, the Objects of Management, Art of State Administration, Socrates, De Gaulle, Wilson, Goodnow, Weber, Tailorism, Fayol, Businessman, Manager, Administrator, Concepts of Management, Models of Education of Management, Bachelor of Public Administration, Bachelor of Business Administration, Master of Public Administration, Master of Business Administration, NISPA, Cybernetic Approach, Vision, Mission, Benchmarking, Action Learning, Permanent Education, Project-Based Management Education, Learning Organization, “Light a Flame”, «Filling of an Empty Vessel», Facilitator, Trainer

**Ассоциация Открытой Дипломатии  
Концепция университетского образования в области  
Государственного управления (Public Administration)**

**Резюме**

В концепции показано, что искусству Государственного управления можно и нужно учить. Эта проблема особенно остро стоит в бывших советских республиках, в т.ч. в Грузии. Проблемам обучения управлению в Грузии обращается определенное внимание, однако вопросы государственного управления остаются в тени. При этом, очевидно, что главные политические и экономические проблемы как Грузии, так и стран т.н. «молодой демократии» связаны с игнорированием теории управления.

После обретения государственной независимости для преодоления существующего дефицита в области обучения управлению как в Грузии, так в бывших советских республиках повсеместно стали использовать американские программы и учебные пособия. Этот подход в начале имел определенный успех, однако постепенно проявилось пагубность поверхностного обращения к американским методам без учета их специфики. Наиболее распространенной ошибкой явилось отнесение науки государственного управления к чисто гуманитарной области и, соответственно, отказ от необходимости технического и математического образования.

В концепции рассмотрены пути развития управленческого мышления от политических учений до менеджерского подхода, перспективы развития принципов государственного управления, существующих моделей обучения (традиционная - немецкая,

американская, смешанная, японская), определены понятия бизнесмена, менеджера, администратора, место государственного служащего в системе управления и др. Объединяющим научным подходом существующих направлений и достижений управленческого мышления предложен кибернетический подход, который и используется для обучения специальностей направления государственного управления гуманитарно-социального факультета Грузинского технического университета.

Эра классических университетов уходит, учебниками студенты смогут подготовить лишь студенческие работы. Поэтому, для обучения студентов необходимо использование инновационных методов, Студентов нужно «учить учиться» согласно принципа «зажигания факела» а не только «наполнения пустого сосуда», лектор должен стать устроителем учебного процесса (фасилитатором), тренером, а не только наставником и ментором.

На базе анализа рассмотренных вопросов сделано заключение о необходимости обучения искусству государственного управления как независимой, междисциплинарной науки на базе фундаментальных основ, это общие вопросы государственного управления, базовое техническое образование (в том числе математическое и кибернетическое образование) и базовое гуманитарное образование (в том числе историко-философское образование). Такое комплексное обучение науке государственного управления целесообразно осуществить в Грузинском техническом университете где существует соответствующая солидная база.

**Ключевые слова.** Государственное управление, управление государством, публичная политика, управление бизнесом, общественные связи (пиар), стратегическое планирование, менеджмент, объекты управления, искусство управлять государством, Сократ, Де Гольль, Вильсон, Гуднау, Вебер, Тейлоризм, Файол, бизнесмен, менеджер, администратор, принципы управления, модели образования в области управления, бакалавр государственного управления, бакалавр управления бизнесом, магистр государственного управления, магистр управления бизнесом, НИСПА, кибернетиченский подход, видение развития организации, миссия, ориентиры организации, непрерывное обучение, обучение действием, обучение на базе проектов, обучение организаций, «зажечь факел», «наполнение пустого сосуда», фасилитатор, тренер.

# Theoria

სოფიო დოდონაძე, შოთა დოდონაძე  
გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე  
მოდელების გამოყენების თავისებურებები  
სახელმწიფო მართვაში

ორგანიზაციის წარმატება, ხშირად არსებობაც კი ბევრად არის დამოკიდებული იმ მმართველობით გადაწყვეტილებებზე, რომელთა მიღება სხვადასხვა დონის ხელმძღვანელებს ყოველდღიურად უწევთ. რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილები, შექსაბამება თუ არა მოცემულ ვითარებასა და ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას, ამაზეა დამოკიდებული ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირება, მომუშავეთა განწყობა და კონფლიქტური სიტუაციების პრევენცია. მმართველი სუბიექტი გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლება დამოუკიდებლად მოქმედებდეს, უფრო ხშირად კი მართველ სუბიექტად, სხვადასხვა დონის არაერთი ხელმძღვანელი გვევლინება. იდენტიფიკაციისა და გადაწყვეტილების ძიების პროცესში ხშირად მოიცავს ბევრ ქვედანაყოფს, სტრუქტურულ ერთეულს, ასევე, აზრთა სხვადასხვაობას მოცემული ორგანიზაციის შიგნით და შესაძლებელია მის ფარგლებს გარეთაც. გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედებას ახდენს ორგანიზაციის შიდა სტრუქტურა, კადრების მომზადების დონე, გარეშე ფაქტორების სტაბილურობის დონე. ამდენად, გადაწყვეტილების მიღების პროცესი ღრმა და საფუძლიან ანალიზს მოითხოვს.

ვფიქრობთ, გადაწყვეტილების მიღების ეტაპები საინტერესოდ აქვს სქემაზეზორებული რუს მეცნიერ ე. ტოკარევას [10]. ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ მის მიერ შედგენილი სქემისათვის დაგვემატებინა უპუავშირის ხაზი, რასაც გადაწყვეტილების მიღების პროცესისათვის უმიზვნელოვანებს ელემენტად ვთვლით. უპუავშირის შესახებ დაწრილებით ქვემოთ შევწერდებით.


**I ეტაპი.** გადაწყვეტილების მზადება.  
ინფორმაციის მოპოვება არსებული სიტუაციის თაობაზე (1); მიზნების განსაზღვრა (2); შეფასებათა სისტემის

შემუშავება (3); სიტუაციის ანალიზი (4); სიტუაციის დიაგნოსტირება (5); სიტუაციის განვითარების პროგნოზის შემუშავება (6).

### II ეტაპი. გადაწყვეტილების შემუშავება.

გადაწყვეტილების ალტერნატიული ვარიანტების გენერირება (7); მმართველობითი ზემოქმედების ვარიანტების შემუშავება (8); სიტუაციის განვითარების სცენარების დამუშავება (9); მმართველობითი გადაწყვეტილების ძირითადი ვარიანტების საექსპერტო შეფასება (10); ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი შეფასება (11).

### III ეტაპი. გადაწყვეტილების მიღება (12)



## სქემა 1

### IV ეტაპი. მმართველობითი გადაწყვეტილების რეალიზაცია.

სამოქმედო გეგმის შემუშავება (13); გეგმის შესრულების კონტროლი (14); მმართველობითი ზემოქმედების შედეგების ანალიზი (15).

გასული, XX საუკუნე, განსაპუთრებით დატვირთული იყო მართვის ტექნოლოგებისა და მოდელების სფეროში მეცნიერული კვლევებითა და აღმოჩენებით. შესაბამისად ორაგანიზაციებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესისადმი

არაერთი მიღვომა და პარადიგმა ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, აქ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგჩერდეთ ოთხ გამორჩეულ მოდელზე, რამდენადაც ვთვლით, რომ ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში ამ მოდელების ცოდნა - მათი გამოყენების უფასების პირდაპირპროპორციული არ არის. ვფიქრობთ ამის მიზეზი აღნიშნული მოდელების ან ზერელე ცოდნაში ან, უფრო მეტად, არასწორ გაგებაში უნდა ვეძოთ.

ეს მოდელებია: მართვის ოეორია; კარნეგის მოდელი; მმართველობითი გადაწყვეტილებების ინკრემენტირების<sup>1</sup> პროცესის მოდელი და „სანაცვე ჭუთის“ მოდელი. მართვის ოეორია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების კარგი ინსტრუმენტია იმ შემთხვევაში, როდესაც პრობლემა ანალიზს ექვემდებარება და შესაძლებელია მოსალოდნელი ცვლილებების ინდენტიფიცირება და გაზომვა. მართვის ოეორიას დიდი წარმატებების პქონდა და აქვს მთელი რიგი სამსეფლო ამოცანების გადაწყვეტის პროცესში, აკი ამ ოეორის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, დასაბამი მეორე მსოფლიო ომის პერიოდს ემთხვევა. იმ დროს მატემატიკური და სტატისტიკური მეთოდები გამოიყენებოდა როგორი სტარტეგიული ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთა დაძლევა ერთი ადამიანისათვის შეუძლებელი იყო. შემდგომში ამ მიღვომებმა შეაღწიეს კოპორაციებისა და ბიზნესის სკოლებში. დღეს ბევრი კორპორაცია ფართოდ იყენებს ამ მოდელს. კომპიუტერული ქვედანაყოფები ამზადებენ რაოდენობრივ ინფორმაციებს ანალიზისათვის. მეცნიერული დაგეგმარების განყოფილებები იყენებენ მათემატიკურ მოდელებს მნიშვნელოვანი ცვლილების რაოდენობრივი შეფასებისა და შემდგომში გადაწყვეტილებების რაოდენობრივი ვარიანტების შემუშავებისათვის, ამასთან, ამა თუ იმ გადაწყვეტილების წარმატების ალბათობის დასადგენად. ასევე, ეს ქვედანაყოფები იყენებენ ისეთ ხერხებს, როგორიცაა წრფივი დაპროგრამება, ბაიესის სტატისტიკა,<sup>2</sup> (სტატისტიკური დასკვნა,

<sup>1</sup> ინკრემენტირება (incremental) – ინგლისურად ნიშნავს – თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მზარდი პროცესი.

<sup>2</sup> ბაიესის მიღვომის დასახელება აღნიშნავს ბაიესის ოეორემის ხშირ გამოყენებას დასკვნის პროცესში. ეს ოეორემა

რომელშიაც მტპიცება და/ან დაკვირვება იმისათვის გამოიყენება, რომ განახლებულ იქნეს, ან ახლად გამოიყვანოს იმის აღბათობა, რომ პიპოთეზა შეიძლება სწორი აღმოჩნდეს), ქსელური დაპროგრამება და კომპიუტერული მოდელირება.

მათემატიკური მოდელები შეიძლება შედგებოდეს ათასობით ცვლადისაგან და თითოეული მათგანი გარკვეულწილად ზემოქმედებას ახდენდეს საბოლოო შედეგზე. მნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ეს გავლენა უფრო და უფრო რთული და მრავალწახნაგოვანია ისეთ ერთეულებში, რომლებიც არამატერიალური სფეროს ორგანიზაციები და სახელმწიფო მართვის ორგანოებია.

მართვის თეორიის მეთოდები გამოიყენებოდა და გამოიყენება სხვადასხვა ამოცანის კორექტული გადაწყვეტისათვის, ასე მაგალითად: შესაფერისი ადგილის შესარჩევად საექლესიო თემის განლაგებისათვის, ახალი საქონლის პირველი პარტიის საცდელი მარკეტინგისათვის, ნავთობის ჭაბურღლილის ბურღვისათვის, ტელეკომუნიკაციური მომსახურეობის სისტემის რაიონიკალური გარდაქმინისათვის და ა.შ. სხვა ამოცანებიდან, რომელთა გადაწყვეტაში ხშირად გამოიყენება მართვის თეორიის მეთოდიკა აღსანიშნავია სხვადასხვა (აეროპორტების, სასწრაფო დახმარების ექიმების, სატელეფონო ოპერატორების, გადასხადების აკრეფის და სხვა) სამსახურების მუშაკთა სამუშაო გრაფიკების დამუშავების პროცესი. მართვის თეორიის დახმარებით შესაძლებელია სწორად იქნეს გადაწყვეტილი ისეთი ამოცანები, რომლებიც მრავალი მოცუმულობისაგან შედგება და მათი გადამუშავება ადამიანის გონების შესაძლებლობებს აღმატება. ეს სისტემა განსაკუთრებით წარმატებულია იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც ანალიზს ექვემდებარება, რომელთა ცვლადები შეიძლება გაიზომის და სტრუქტურულებულ იქნეს ლოგიკური მოქმედებების საშუალებით.

მართვის თეორიისათვის, ასევე მნიშვნელოვანი შენაძენია კიბერნეტიკული მიღგომის გამოყენება, რამაც

გამოყვანილ იქნა თომას ბაიესის (ინგლისელი მათემატიკოსი (1702-1761 წწ.) ნაშრომებიდან.]

განაპირობა სულ უფრო გართულებული საზოგადოებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტიანი მართვა და ორგანიზაცია. სახელმწიფო მართვის კიბერნეტიკული მოდელი დეტალურად აღწერილი აქვს თავის ნაშრომში პროფესორ გიორგი ბადათურიას. საინტერესოა მის მიერ შემოთავაზებული ალგორითმი. იგი მიიჩნევს, რომ

„სახელმწიფო მართვის ამოცანებში გადაწყვეტილების (კანონის, ბრძანებულების) მიღების ზოგადი ალგორითმი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. პრობლემის (ამოცანის) ჩამოყალიბება, მისი, როგორც მართვის ობიექტის ფორმალიზება;
2. მიზნის ფუნქციის დადგენა (მათ შორის შესაძლებელია იყოს ფარული მიზნები);
3. მიზნის მიღწევის შესამოწმებელი კრიტერიუმების ჩამოყალიბება;

4. იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენს პრობლემაზე და რომელთა გაზომვა ან შეფასება: ა) შესაძლებელია, ბ) შეუძლებელია;

5. გადაწყვეტილებების (კანონპროექტის) ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნის მიღწევას გარემოს ზემოქმედების გათვალისწინებით;

6. კანონპროექტის ანალიზი – იმიტაციური მოდელირების, საქმიანი თამაშების მეთოდების გამოყენებით;

7. კანონპროექტის საცდელი რეალიზაცია და მისი შედეგების შემოწმება უკუკავშირის გამოყენებით (მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით);

8. კანონპროექტის კორექტირება. კორექტირების პროცესში შესაძლებელია შეიცვალოს მართვის სქემის ყველა შემადგენელი ელემენტი მიზნების ჩათვლით;

9. გადაწყვეტილების საბოლოო რეალიზაცია (კანონის მიღება) მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკუკავშირით მიღებული შედეგები გვაჩვენებს, რომ დასახული ან კორექტირებული მიზანი მიღწევადია.“[5]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართვის სფეროში რთული კომპიუტერული ტექნოლოგიების, მათი პროგრამული უზრუნველყოფის საკითხები საშუალებას იძლევა გაფართოვდეს მართვის თეორიის გამოყენების არეალი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის გამოცდილება, რომელიც

საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მათ შორის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაინერგა.[2]

გაერო-ს განვითარების პროგრამის პროექტის „სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა დემოკრატიული მმართველობის განვითარებისათვის“ ფარგლებში განხორციელდა „საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამული და ადმინისტრაციული სისტემების მოდერნიზაციის“ პროექტი უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით.

პროექტის განხორციელების ძირითადი შედეგი ის არის რომ, დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ურველდღიურ და ოპერატიულ ადმინისტრირებაში დახმარების გასაწევად მინისტრი, მინისტრის მოადგილები და საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელები აღჭურვილი არიან კოორდინაციის ოპერატიული სისტემით, რომლითაც ისინი მუდმივ კავშირში იმყოფებიან საქართველოს საგარეო პოლიტიკური სამსახურის ყველა მათვის საჭირო მოხელესთან.

სისტემის მეშვეობით შესაძლებელია განცხადებათა და კორესპონდენციის მიღება-დაშუშავება, მითითებათა გაცემა, ღონისძიებათა დაგეგმვა, სპეციალური ერთობლივი მუშა ჯგუფების ორგანიზება და დავალებათა შესრულების კონტროლი, ასევე საჭირო გადაწყვეტილებების მიღება და შემსრულებლამდე ოპერატიულად დაყვანა.

ამასთან, მართვის თეორია უნაკლო როდია, მისი გამოყენების პროცესში ბევრ ორგანიზაციას, მათ შორის საბანკო სექტორში სერიოზული პრობლემები შეექმნა. ბოლო წლებში ბანკებმა დაიწყეს იმ თანხების ოპერირების ავტომატიზებული სისტემებით მომსახურეობა, რომელიც უშუალოდ სესხებთან არის დაკავშირებული. შესაბამისი სპეციალისტების აზრით ამ საქმეში ადამიანის ჩაურევლად მოქმედება პრაქტიკულად შეუძლებელია, რამდენადაც რაოდენობრივი ინფორმაცია, როგორც წესი დარიბია. არაფორმალური სიგნალები, რომლებიც გამოავლენენ არსებით პრობლემებს უშუალოდ მენეჯერების მიერ აღიქმება. უმრავლესი როგორი მათემატიკური ანალიზი აზრს კარგავს, თუ უმნიშვნელოვანესი ფაქტორები რაოდენობრივ შეფასებას არ ექვემდებარება და შესაბამისად გერ იქნება ჩართული მოდელში. ისეთი საკითხები, როგორიცაა კონკურენტების

რეაქცია, მომხმარებელთა გემოვნება მატერიალურ სფეროში, მოქალაქეთა განწყობა, მათი დამოკიდებულება გატარებულ რეფორმებთან და სხვა, წარმოადგენს არარაოდენობრივ მაჩვენებლებს. ასეთ შემთხვევებში მართვის ოეორიის მოდელის როლი იზღუდება და იგი მხოლოდ ავსებს მართვის სუბიექტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს. რაოდენობრივი მაჩვენებლები შეიძლება გადაეცეს მართვის სუბიექტებს განხილვისა და მათი არაფორმალური მოსაზრებების, შეხედულებებისა და ინტუიციის შესაბამისად შემდგომი ინტერპრეტირებისათვის. ამდენად, საბოლოო გადაწყვეტილები შეიძლება შეიცავდნენ, როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

### კარნეგის მოდელი

ეს მოდელი იმ უნივერსიტეტის სახელითაა ცნობილი (კარნეგი-მელონის უნივერსიტეტი), რომელთანაც მეტნაკლებად დაკავშირებულნი არიან მისი ავტორები: რიჩარდ კიერტი, ჯეიმს მარჩი და რობერტ საიმონი). მათ განსაზღვრულ გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრული რაციონალური მიღგომა, ასევე სიახლე შეიტანეს ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების საკითხში. ამ მეოთდის შემუშავებამდე ეკონომიკის კვლევები აგებული იყო ე. წ. ძაბრის პრინციპზე, თითქოს ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღებისთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია თავს იყრის მენეჯერთან და ის ხდებოდა არჩევანზე პასუხისმგებელი. კარნეგის მოდელის მიხედვით იგულისხმება, რომ ორგანიზაციის ღონებები გადაწყვეტილების მიღებაში, როგორც წესი არაერთი მენეჯერი მონაწილეობს და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ კოალიციურად. რაც ნიშნავს ალიანს რამდენიმე მენეჯერს შორის, რომლებსაც ერთნაირად წარმოუდგენიათ ორგანიზაციის მიზნები და პრიორიტეტები. ეს ალიანსი სხვადასხვა შემთხვევაში, განსხვავებული შემადგენლობის იქნება, მათ შორის აუცილებელი არ არის ისინი ორგანიზაციის შიგნით იყვნენ. შესაძლებელია ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული გარეთ არსებული ერთეულების მონაწილეობა (მაგ. მნიშვნელოვანი კლიენტები, ბანკის, პროფესიულების, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები).


მენეჯერთა კოალიციების ჩამოყალიბება გადაწყვეტილების მიღების მიზნით აუცილებელია ორი მიზეზით. პირველი – არც თუ იშვიათად, ორგანიზაციის მიზნები ზუსტად განსაზღვრული არ არის, შესაბამისად, ქვედანაყოფების ამოცანები ურთიერთსაწინააღმდეგოა. როდესაც მიზნები ბუნდოვანია და შეუსაბამო, მართვის სუბიექტების უძირო პრობლემების პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით ერთიან აზრამდე მისვლა. ამიტომაც ისინი აუცილებლად უნდა იკრიბებოდნენ და საზღვრავდნენ რომელი პრობლემაა უპირატესად გადასაწყვეტი. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული სუბიექტი ცდილობს იყოს რაციონალური, მაგრამ თავს ვერ დააღწევს ზემოაღნიშნულ ფაქტორებს. მართვის ცალკეულ სუბიექტებს არ აქვთ დრო და საშუალება და უმრავლეს შემთხვევაში კი სათანადო მომზადება გადასაწყვეტ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის გადასამუშავებლად. კოალიციის შიგნით კი მათ შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს შეხედულებები, მიიღონ კომპეტენტური კონსულტაციები. ამდენად, კოალიციის ჩამოყალიბება ხელს უწეობს ისეთი მართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებას, რომლებიც ყველა დაინტერესებულის მხარდაჭერით ისარგებლებას.

ამავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ თავის მხრივ კოალიციის ფორმირებას გადაწყვეტილების მიღებაზე გარკვეული ზემოქმედება ექნება. უნდა გვესმოდეს, რომ გადაწყვეტილებები უმთავრესად მიღებულ იქნება არა პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტისათვის, არამედ დასაკმაყოფილებლად. დაკმაყოფილება თავის მხრივ ნიშნავს იმას რომ ორგანიზაციის ერთგვარად დაკმაყოფილებს შედეგი და ის შეიძლება არც იყოს მაქსიმალური, ისეთი, რაც ერთდროულად რამდენიმე მიზნის შესრულებას უზრუნველყოფდა. ასეთი ვითარება იქმნება იმიტომ, რომ პრობლემის განხილვისას კოალიცია იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაზიარებულია მისი ყველა წევრის მიერ. მეორე მხრივ, მართვის სუბიექტებს აწუხებთ არსებითი პრობლემები და მათი სწრაფად გადაწყვეტის აუცილებლობა. ისინი პრობლემურ-ორიენტირებულ მიებაში არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მართვის სუბიექტები თავის გარემომცველ ვითარებაში ეძებენ არსებული პრობლემების

ნეიტრალური ზების გადაწყვეტილებებს. მართვის სუბიექტები არ ელიან, რომ მიიღებენ სრულყოფილ გადაწყვეტილებას იმ ვითარებაში, როდესაც სიტუაცია მნელად ექვემდებარება განსაზღვრას და აღსავსეა კონფლიქტებით.

ეს მნიშვნელოვნად განასხვავებს კარნეგის მოდელს მართვის ოეორიის მოდელისაგან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი დასაბუთებული გადაწყვეტილება შეიძლება გაანალიზებულ იქნეს. კარნეგის მოდელი კი ამტკიცებს, რომ სრულიად საკმარისია მოიძებნოს დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება და მართვის სუბიექტები, როგორც წესი, იდებენ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ზედაპირზეა. მესამე, დისკუსიები და კამათი მნიშვნელოვანია პრობლემის იდენტიფიკაციის სტადიაზე. მანამადე, ვიდრე კოალიციის წერები სრულად არ გაიაზრებენ პრობლემებს, არანაირი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. ქვემოთ მოვყავს კარნეგის მოდელის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების ამსახველი სქემა. (ქვ. იხ. სქემა)

კარნეგის მოდელი მიუთითებს, რომ შეთანხმება მართვის სხვადასხვა დონის სუბიექტთა კოალიციის შექმნის გზით, წარმოადგენს ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის ძირითად შემადგენელს.



ეს დებულება განსაკუთრებით სამართლიანია მართვის უმაღლესი დონისათვის. დისკუსიები და კამათი დიდ დროს მოითხოვს, ამდენად გადაწყვეტილების მიღების პროცედურები გამარტივებულია, შესაბამისად არჩეული ალტერნატივა პრობლემის გადაწყვეტის უფრო მეტად დამაკავოფილებელი ვარიანტია, ვიდრე ოპტიმალური. პროცედურები და წესები გამორიცხავენ კოალიციის განახლების აუცილებლობასა და კამათს ორგანიზაციის პოლიტიკის თაობაზე, მაშინ, როდესაც არაპროგრამირებული გადაწყვეტილებები მოითხოვს დისკუსიებსა და კონფლიქტების გადაწყვეტას.

### გადაწყვეტილების მიღების ინკრემენტალური პროცესი

ის, რომ ორგანიზებაში გადაწყვეტილების მიღების მთავარი არჩევანი, როგორც წესი, „მცირე“ არჩევანთაგან შედგება არის ერთეულთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც ჰქნის მიცბერგსა და მის კოლეგებს ეკუთვნით. ამდენად, ორგანიზაცია გადის გადაწყვეტილების მიღების პროცესის რამდენიმე საკვანძო წერტილზე და შესაძლებელია შეეჩეროს ამ გზაზე არსებულ ბარიერებს. პ. მინცბერგმა ამ ბარიერებს გადაწყვეტილებების წყვეტა უწოდა. წყვეტა შეიძლება ნიშნავდეს, რომ ორგანიზაცია უნდა დაუბრუნდეს წინა გადაწყვეტილებას და გაიმეოროს განვლილი ციკლი, ამასთან ეცადოს შეიტანოს სიახლე. გადაწყვეტილების ძიების ეს ციკლები ორგანიზაციის სწავლების საშუალებებია, ამდენად ორგანიზაცია იწყებს იმის გაებას თუ გადაწყვეტილების რომელი შესაძლებელი ვარიანტი იმუშავებს. დასაწესში დაგეგმილი მმართველობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია ძირებულად განსხვავებული აღმოჩნდეს საბოლოო გადაწყვეტილებისაგან.

გადაწყვეტილებების მიღების სტადიების, რომელიც პ. მინცბერგმა და მონრეალის უნივერსიტეტიდან მისმა კოლეგებმა აღმოაჩინეს და აღწერეს მოიცავს გადაწყვეტილების მიღების სამ ძირითად ფაზას: იდენტიფიკაცია; დამუშავება და არჩევანი.

იდენტიფიკაციის ფაზის საწყისია აღქმა, რომელიც იმას ნიშნავს, რომ მართვის ერთი ან რამდენიმე სუბიექტი იწყებს იმის გააზრებას, რომ არსებობს გადასჭრელი პრობლემა, რის თაობაზედაც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება.

პრობლემა მაშინ არსებობს, როდესაც იცვლება გარე გამადიზიანებელი გარემო, ან წარმოიშვება იმის განცდა, რომ ორგანიზაციაში რაღაც სათანადო დონეზე ვერ კეთდება. დასაწყისში მმართველი სუბიექტები უბრალოდ არსებულ მდგომარეობას ცნობად იღებენ და უკრადლებით უკრობიან. მალე ისინი რწმუნდებიან, რომ არსებობს გადასაჭრელი პრობლემა. შემდეგი ნაბიჯი დიაგნოსტირებაში მდგომარეობს. თუ ეს აუცილებელია, ხდება პრობლემის გარშემო არსებული სიტუაციის შესწავლა, რისთვისაც საჭირო ხდება დამატებითი ინფორმაციის მოპოვება. დიაგნოსტირება შეიძლება იყოს სისტემატური და არაფორმალური, ეს დამოკიდებულია პრობლემის სიმწვავეზე. პრობლემა თვით ახდენს ქმედების სტიმულირებას. საჭირო ხდება გადაუდებელი რეაქცია. ჩვეულებრივ, პრობლემა, რომელიც სიმწვავეს მოკლებული აღმოჩნდება უფრო სერიოზულ დიაგნოსტირებას საჭიროებს, რამდენადაც მისი წარმოშობის მიზეზები შესაძლებელია ზედაპირზე არ ჩანდეს, მაგრამ ორგანიზაციისათვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესისათვის საზიანო აღმოჩნდეს.

როდესაც დასრულდება იდენტიფიკაციის ფაზა და პრობლემა განსაზღვრულია უნდა იწყებოდეს დამუშავების ფაზა, რომლის დროსაც ხდება გადაწყვეტილების ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისით თრი ძირითადი მიმართულება გვესახება: 1. ახალი გადაწყვეტილების მიღების ალტერნატივის შესარჩევად გამოყენებულ იქნეს ის მზა პროცედურები, რომელიც მოცემულ ორგანიზაციას გააჩნია; 2. გადაწყვეტილების პროექტირება, ისეთი გადაწყვეტილების შემუშავება, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

ამდენად შეიძლება დაგასკვნათ, რომ ასეთი სახით გადაწყვეტილების შემუშავება ეს არის მოსინჯვისა და აგების ინკრემენტაციური პროცედურა, როგორც იტყვიან „აგურზე აგურის დადება“.

არჩევანის ფაზა იმ დროს დგება, როდესაც რამდენიმე გადაწყვეტილებიდან ერთადერთი შეირჩევა. სამწუხაოროდ აქ ყველაფერი ნათელი არ არის ხოლმე. მომხმარებელზე თრიექტირებული გადაწყვეტილების მიღებისას ხშირად იმ ვარიანტის შეფასება და შერჩევა ხდება, რომელიც უფრო

მეტად მისაღები ჩანს. ოდგან შეფასებისა და შერჩევისას შესაძლებელია სამი სხვადასხვა ხერხის გამოყენება შედეგი ყოველთვის ცალსახა არ არის.

გადაწყვეტილების შეფასებისა და შერჩევის ავტორიტეტული აზრის გამოთქმის ხერხი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო არჩევანი ერთ ადამიანზეა, რომლის არჩევანიც პირად გამოცდილებას ეყრდნობა. ალტერნატივის ანალიზის დროს შეფასება ხორციელდება უფრო სისტემატიურ საფუძველზე, მათ შორის მართვის თეორიის მეთოდების ჩართვით. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი მიღგომა უფრო მეტად ეფუქტურიანი უნდა იყოს. სამწუხაროდ, გადაწყვეტილებების მიღებისას უმრავლეს შემთხვევაში ზემოაღნიშნული მეთოდიკა არ გამოიყენება.

მოლაპარაკებების ფორმა იმ დროს გამოიყენება, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულია სუბიექტთა ჯგუფი. ამასთან, მოლაპარაკებების თოთოვეულ მონაწილეს თავისი ინტერესი ამოძრავებს და თუ ამ ინტერესების თანხვედრა არ მოხდა, შესაძლებელია კონფლიქტის წარმოშობა. განხილვა და მოლაპარაკებები მანმადგ გრძელდება, ვიდრე ფორმირებული არ იქნება კარნევალის მოდელში განხილული კოალიცია.

როდესაც ორგანიზაცია მივა საბოლოო გადაწყვეტილებამდე საჭიროა მისი სანქციონირება. ეს იმას ნიშავს, რომ გადაწყვეტილება უნდა დამტკიცდეს ყველა დონეზე. პრაქტიკულად ასეთი სანქციონირება შექანიკური პროცედურაა, რადგანაც პასუხისმგებლობა იმათ ეკისრებათ ვინც პრობლემის იდენტიფიცირება მოახდინა და გადაწყვეტილება მიიღო. გადაწყვეტილებები ყოველთვის არ არის უზადო, რამდენადაც მათი შედეგები არაპროგნოზირებადია, შესაბამისად ხდება მათი დაწუნებაც.

გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესი მოწესრიგებულად არ მიმდინარეობს ადქმიდან სანქციონირებისაკენ. წარმოიქმება მეორეხარისხოვანი პრობლემები, რომლებიც აიძულებენ სუბიექტს დაბრუნდეს უკან, ადრეულ სტადიაზე. ეს ე.წ. პროცესის წყვეტაა.

თუ მომხმარებელზე ორიენტირებული გადაწყვეტილება არადამაგმაყოფილებელია, ორგანიზაცია ვალდებული ხდება საწყისს დაუბრუნდეს და დაუფიქრდეს დირს კი პრობლემის ასეთი გადაწყვეტა. უკუკავშირის მარყუჟების წარმოქმნა

შეიძლება განპირობებული იქოს დროებითი პრობლემებით, პოლიტიკური მოვლენებით, უთანხმოებით მართვის სუბიექტთა შორის, მისაღები გადაწყვეტილების იდენტიფიცირების უუნარობით, მმართველობითი აპარატის რეორგანიზაციით, ან მოულოდნელად წარმოქმნილი ახალი ალტერნატივით.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი ეს დინამიური პროცესია, რომელმაც შეიძლება გაიაროს მრავალ ციკლზე, სანამ პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება. ყურადსაღებია ამ თვალსაზრისით ისიც, რომ გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილის მიღება გარკვეულ დროს მოითხოვს, დროის გასვლასთან ერთად იცვლება მთელი რიგი მოცემულობებისა. სახელმწიფოს დონზე კი შესაძლებელია დირქტულებათა გადაფასებაც კი მოხდეს.

### “სანაგვე ურნის” მოდელი

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ერთერთ უახლეს და საინტერესო მოდელს წარმოადგენს „სანაგვე ურნის“ მოდელი. მისი შედარება სხვა მოდელებთან შეუძლებელია, რამდენადაც მას საქმე აქვს ორგანიზაციის შიგნით არსებული გადაწყვეტილებების სისტემასთან ან მრავალრიცხოვან ნაკადებთან. ჩვენს მიერ ზემოთგანხილული მოდელები კი ორიგინტირებულია ცალკეული გადაწყვეტილების შემუშავებიზე. „სანაგვე ურნის“ მოდელი საშუალებას იძლევა მთლიანობაში ვითიქროთ ორგანიზაციაზე, ასევე იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღება მართვის სუბიექტების მიერ.

ორგანიზებული ანარქია - “სანაგვე ურნის“ მოდელი შემუშავებულ იქნა იმ მიზნით, რომ ახსნილიყო მართველობითი გადაწყვეტილებების სქემა იმ ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა განუსაზღვრელია. ამ მოდელის შექმნის სათავეებში იდგნენ მაიკლ კოენი, ჯეიმს მარჩი და ჯონ ოსლეინი, რომლებმაც უკიდურეს გაურკვევლობის პირობებს თრგანიზებული ანარქია უწოდეს. ორგანიზებული ანარქია არ ეფუძნება ძალაუფლების ნორმალურ ვერტიკალურ იერარქიას და გადაწყვეტილებების მიღების ბიუროკრატიულ წესებს. იგი სამი ნიშანოვისებით ხასიათდება:

1. უპირატესობათა პრობლემატიურობა. მიზნები, ამოცანები, აღტერნატივები და გადაწყვეტილებები ცუდად არის განსაზღვრული.
2. არაზუსტი ცუდად გასაგები ტექნოლოგია. როგორია გამოავლინო თრგანიზაციის შიდა მიზნობროვ-შედევრობრივი კავშირები. ხელმისაწვდომი არ არის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მრავალმხრივი ინფორმაცია.
3. კადრების დენადობა. ორგანიზაციაში აღინიშნება კადრების დენადობა. ამასთან ერთად მოსამსახურები ზედმეტად დატვირთული არიან და შეზრუდული დროში იმისათვის, რომ კონცენტრირება მოახდინონ ერთ და ერთადერთ პრობლემაზე და მის გადაჭრაზე. წებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა არასტაბილური და შეზღუდულია.

ორგანიზაციული ანარქია დამახასიათებელია ისეთი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ხშირი ცვალებადობითა და კოლეგიალური, არაბიუროკრატიული გარემოთი გამოირჩევიან. ასეთ ექსტრემალურ ორგანულ პირობებს მუდმივად ვერცერთი ორგანიზაცია ვერ აქმაყოფილებს, თუმცა თანამედროვე სახწავლო ორგანიზაციები და კამპანიები, რომლებიც ინტერნეტის საფუძველზე შექმნილი ასეთ მდგომარეობას მეტნაკლებად ხანგრძლივად ინარჩუნებენ. ბევრი ორგანიზაცია არც თუ იშვიათად ისეთ სიტუაციას ეხლება, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღება როგორ და განუსაზღვრელ პირობებში. „სანაგვე ურნის“ მოდელი სასარგებლობა ასეთი გადაწყვეტილებების მიღების სქემის გაგებისათვის.

„სანაგვე ურნის“ მოდელის უნიკალური თავისებურება მოვლენათა ნაკადებით ვლინდება. მართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ გამოიყერება, როგორც თანმიმდევრული ნაბიჯების წყობა, რომლის დასაწყისი პრობლემის იდენტიფიცირებაში, ხოლო დასკვნითი ეტაპი გადაწყვეტილებაში მდგომარეობს. პრაქტიკულად პრობლემის იდენტიფიკაცია და მისი გადაწყვეტა შეიძლება არ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული. გადაწყვეტილების სახე შესაძლებელია პქონდეს იქნეს რაიმე იდეას იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც არანაირი პრობლემა არ ჩანს. ხდება პირიქითაც, პრობლემა შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მან გადაწყვეტილების მიღების ინიცირება არ მოახდინოს. გადაწყვეტილებები წარმოადგენს ორგანიზაციის შიგნით

განვითარებული მოვლენების დამოუკიდებელი ნაკადების შედეგს. განასხვავებენ ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედების ქრონი მოვლენათა ნაკადის ოთხ სახეობას:

1. პრობლემები - მიმდინარე საქმიანობითა და შესრულებული სამუშაოთი დაუკმაყოფილებლობის მომენტები. ისინი წარმოადგენს სხვაობას სამუშაოს შესრულებისა სასურველ ხასიათსა და მიმდინარე საქმიანობას შორის. პრობლემები სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, ამის მიუხედავად ისინი განცალკევებული არიან გადაწყვეტილებებისაგან. პრობლემამ შეიძლება გამოიწვიოს, მაგრამ შეიძლება არც გამოიწვიოს გადაწყვეტილების მიღება. ასევე, შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, მაგრამ პრობლემა პრობლემად დარჩეს.
2. პოტენციალური გადაწყვეტილება - ვისიმე მიერ წარმოდგენილი იდეა, რომელიც მიღებულ იქნება შესასრულებლად. ასეთი ტიპის იდეები შეადგენენ ალტერნატიული გადაწყვეტილებების ნაკადს. იდეა შეიძლება ორგანიზაციაში ახლადმოსულ მუშაკს ან ძველ კადრს ეკუთხნოდეს. შესაძლებელია ისინი უბრალოდ გაიტაცოს იდეების გენერირებამ და ეცადონ გადაწყვეტილებებად მათ გაყვანას, ყველან მიუხედავად პრობლემების არ არსებობისა. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია პრობლემა მოძიებული ან ხელოვნურად იქნეს შექმნილი იდეიის გასამართლებლად.
3. გადაწყვეტილების მიღების მონაწილეები - მოსამსახურები, რომლებიც ორგანიზაციაში მოვიდნენ და მის სტრუქტურებში მოძრაობენ. ორგანიზაციაში ხორციელდება ადამიანების სამუშაოდ დაქირავება, მათ მიერ თანამდებობების ცვლა და სამუშაოდან დათხოვნა. მონაწილეები მნიშვნელოვნად განსხვავებული იდეების მატარებლები არიან, რამდენადაც სხვადასხვაგვარად აღიქვამენ პრობლემებს, აქვთ სხვადასხვა მომზადების დონე და პრაქტიკული გამოცდილება.
4. არჩევანისათვის სასურველი საშუალებები - როგორც წესი, ის შემთხვევებია, როდესაც ორგანიზაცია გადაწყვეტილებას იღებს. ისინი ჩნდება ხელშეკრულებების, ნორმატიული დოკუმენტების გაფორმების, პროდუქციის გამოშვებაზე

სანქციის გაცემის, მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის დროს. ასევე, ისინი ჩნდება მაშინაც, როდესაც სახეზეა მონაწილეოთა, პრობლემათა და გადაწყვეტილებათა „საჭირო ნაკრები“. პრობლემა წყდება მაშინ, როდესაც პრობლემები და შემოთავაზებული გადაწყვეტილებები თანხვედრაშია, სწორედ ეს არის არჩევანისათვის სასურველი საშუალებების ნათელი გამოვლინება.

„ოთხი ნაკადის“ კონცეფციის თანახმად ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების სქემა შემთხვევითი ხასიათისაა. ორგანიზაცია დაქსელილია პრობლემებით და შემოთავაზებული გადაწყვეტილებებით, მონაწილეებით და გადაწყვეტილებების შერჩევით ვარიანტებით. გარკვეული სახით ორგანიზაცია დიდი „სანაგვე ურნაა“, რომელშიაც ერთმანეთში არეულია ეს ნაკადები. თუ პრობლემა, გადაწყვეტა და მონაწილე შემთხვევით გადაიკვეთებიან ერთ წერტილში, შესაძლებელია პრობლემა მოგარდეს, მაგრამ თუ გადაწყვეტილება არ ესადაგება მოცემულ პრობლემას, ეს უკანასკნელი გადაუწყვეტი რჩება. ამდენად, თუ განვიხილავთ ორგანიზაციას მთლიანობაში დავინახავთ, რომ არსებობს პრობლემები, რომლებიც ვერ წყდება და არსებობს გადაწყვეტილებები, რომლებიც არ მუშაობს. გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება მოწესრიგებას და არ წარმოადგენს ლოგიკური თანმიმდევრულობის შედეგს. სირთულე იმაშია, რომ გადაწყვეტილებები, პრობლემები და შედეგები აბსროლუტურად განცალკევებულია. როდესაც ისინი იკვეთება, შესაძლებელი ხდება ზოგერთი პრობლემის გადაჭრა, მაგრამ რიგი პრობლემებისა კვლავ შეიძლება რჩებოდეს. „სანაგვე ურნის“ მოდელის შედეგები შეიძლება შემდეგი იყოს: გადაწყვეტილებები შესაძლებელია შემოთავაზებულ იქნება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც პრობლემა არ არსებობს. სხვა შემთხვევაში ალტერნატიული გადაწყვეტილებები შესაძლებელია ორიენტირებული იყოს კიდევ პრობლემებზე, მაგრამ დიდი ალბათობაა, რომ არ გადაწყვიტონ ისინი. ამიტომაც „სანაგვე ურნის“ მოდელის გამოყენება დიდ სივრცისილესა და ყურადღებას მოითხოვს, მონაწილენი შეიძლება თანდათან მიეჩიონ პრობლემებს და არ იზრუნონ მათი გადაჭრისათვის, აქ შესაძლებელია თავი იჩინოს უცოდინარობამ და გამოუცდელობამ.

სასურველია გადაწყვეტილების მიღების სისტემა ფუნქციონირებდეს სხვადასხვა მოდელების ერთობლივი გამოყენებით. ასე მაგალითად, „სანაგვე ურნის“ მიღომის კომპიუტერული მოდელირების შედევგად არც თუ იშვიათად მიუღწევიათ სასურველი შედევგაბისათვის. ხდებოდა გადაწყვეტილებების დაკავშირება შესაბამის პრობლემებთან და მონაწილეებთან, რაც ქმნიდა წარმატებული არჩევანის საშუალებას. რასაკვირველია იდეალური არაფერია, ამ შემთხვევაშიც ყველა პრობლემა ვერ წყდებოდა, მაგრამ ორგანიზაცია მიზანმიმართულად მიიწვედა წინ პრობლემების მინიმიზაციისაკენ.

### პრობლემის გადაწყვეტის განსაკუთრებული პირობები

თანამედროვე სივრცე მრავალფეროვანი და რთული აგებულებისაა. სწრაფად ცვლადი მოვლენები, ფართო კონკურენცია, ღირებულებათა გადაფასება და სხვა თავის დაღს ასვამს მართვის პროცესებს. გადაწყვეტილებების მიღების დროს ხშირად ადარ გვადგება ტრადიციული ანალიტიკური რაციონალური მოდელი. დრო და თანამედროვე გარემო მართვის სუბიექტებისაგან მოითხოვს გადაწყვეტილებების ექსტრემალურ გადებში მიღებას. შესაბამისად მათ უნდა აითვისონ ახალი ტექნოლოგიები და მეთოდები, ისწავლონ თავის და სხვის შეცდომებზე, თავიდან აიცილონ არადამატაყოფილებელი და არაეფექტიანი ქმედებები.

თანამედროვე მსოფლიოში განვითარებისა და ცვლილებების ტემპები ისეთი მაღალია, რომ დილით მიღებული, ერთი შეხედვით, ცინცხალი ინფორმაცია სამუშაო საათების დასასრულისათვის უკვე შეიძლება მოძველებული აღმოჩნდეს. ეს კარგად ჩანს საწარმოო სფეროს მაგალითზე, რომელზედაც ჩვენ აქ შევჩერდებით.

ახლახან ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, თუ წარმატებული კომპანიები როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს სწრაფად ცვლადი გარემოს პირობებში. განსაკუთრებული უურადრება დაეთმო იმას, რომ გარკვეულიყო გაურბიან თუ არა რაციონალურ მიღომებს და რჩებათ თუ არა დრო მიღებული გადაწყვეტილებების ინკრემენტირებულად

განხორციელებისათვის. წარმატებული და წარუმატებული გადაწყვეტილებების შედარების შედეგად დასკვნა შემდეგია:

ის მენეჯერები, რომლებიც წარმატებულ გადაწყვეტილებებს იღებენ, რეალურ დროში ადგვნებენ თვალყურს ინფორმაციას რათა განივითარონ ბიზნესის ინტეიტიური აღქმა და მუდმივად გრძნობდნენ დროის მაჯისცემას.

წარუმატებული კომპანიები როგორც წესი, უფრო მეტს ფიქრობენ მომავალ გაგმებზე და ინფორმაციებზე, მუშაობენ რა მომავალზე, გაუბედავ ნაბიჯებს დგამენ მიმდინარე მოვლენების აღქმისათვის.

წარმატებული კომპანიები უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებისას იმთავითვე იწყებდნენ მრავალი ალტერნატიული ვარიანტის განხილვას. მათი რეალიზება კი შესაძლებელია პარალელურად მიმდინარეობდეს, ვიდრე არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. კომპანიები, რომლებიც ნელა იღებდნენ გადაწყვეტილებებს, ფაქტობრივად ამჟამავრებდნენ მხოლოდ ერთ ალტერნატიულ ვარიანტს.

წარმატებული გადაწყვეტილებების მიმღები მენეჯერები ძირითადად ეყრდნობოდნენ 2-3 სერიოზულად მოაზროვნე და სანდო რეპუტაციის მქონე თანამშრომლების რჩევას.

გადაწყვეტილებების ნელი ტემპით მიმღები კი უუნარონი აღმოჩნდნენ შეექმნათ კოლექტივში ურთიერთნდობისა და შემოქმედებითი აზროვნების ატმოსფერო.

ოპერატიულად მოქმედი კომპანიები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ცდილობდნენ კონსესუსის მიღწევას. თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდებოდა მთავარი მენეჯერი თავის თავზე იღებდა გადაწყვეტილების მიღებას და კომპანია წინ მიიწვდა.

ერთ გებმანზე ყველას თაგმოყრის პრინციპი, ხშირად მეტ წინააღმდეგობას ქმნიდა, ვიდრე წარმატების გარანტიას.

სწორად გაკეთებული წარმატებული არჩევანი კარგად ესადაგებოდა სხვა გადაწყვეტილებებს და კომპანიის საერთო სტრატეგიულ მიზნებს. ნაკლებად წარმატებული არჩევანის დროს გადაწყვეტილებები განიხილებოდა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, შესაბამისად აბსტრაქტულად გამოიყურებოდა. როდესაც გარშემო ყველაფერი სწრაფად იცვლება, ნელა მიღებული გადაწყვეტილებები ისევე არაეფექტიანია, როგორც არასწორი გადაწყვეტილებები.

## შეცდომები მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან. ხშირად ეს შეცდომები ტიპიურიც კია, თუ ისინი მიიღება ექსტრემალურ ვითარებაში ან გაურკვევლობის მდგომარეობაში. მმართველი სუბიექტებს ხშირად არ ძალუდო განსაზღვრონ რომელი ალტერნატივა გადაწყვეტს პრობლემას. ასეთ ვითარებაში ორგანიზაცია იძულებული ხდება იმოქმედოს ცდისა და შეცდომების პრინციპით. თუ ალტერნატივა ჩაიფუშა, საჭიროა აქედან სათანადო დასკვნების გამოტანა და სხვა ალტერნატივის განხორციელების ცდა. თითოეული წარმატება იძლევა ახალ ცოდნასა და გამოცდილებას, ხშირად მწარეს, მაგრამ საბოლოო ჯამში სასარგებლოს საბოლოო შედეგისათვის. მმართველი სუბიექტის ქმედების არსი, შეცდომებისა და სარგებების მიუხედავად, პრობლემის გადაწყვეტის გზაზე მუდმივ სვლაში მდგომარეობს. „ქაოტორი მოძრაობა ჯობს, მოწესრიგებულ უმოქმედობას“. ორგანიზაცია და მართვის სუბიექტი გადაწყვეტილებების მიღების ხელოვნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაეუფლოს თუ გამოცდილებას შეიძნეს დაშვებული შეცდომებისა და მათი გამოსწორების ფასად. მართველ სუბიექტს, განსაკუთრებით მენეჯერს სტიმულს აძლევს ექსპერიმენტული ატმოსფერო, არაგრინიერებაც კი, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების შემოქმედებით პროცესს. იშვიათად როდი ხდება, რომ იდები, რომლებიც გონიერების ჩარჩოებში არ ჰტევა, ფანტასტიკის სფეროდან მოტანილად გვეჩვენება, სრულიად რეალური და წარმატებული აღმოჩნდება ხოლმე. კოლექტივში აზრის თავისუფალი გამოხატვის, ურთიერთპატივისცემისა და შემოქმედების რეალიზაციის ატმოსფერო ორგანიზაციაში მიღებული გადაწყვეტილებების წარმატების საწინდარია.

ხელმძღვანელისათვის განსაკუთრებით საშიშია იმ კურსისადმი ჯიუტი ერთგულება, რომელიც ჩავარდნებით ხასიათდება. ასეთი რამ იშვიათად როდი ხდება. უმთავრესი მიზეზი იმ პასუხისმგებლობაშია, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებს ეკისრება. ამ პასუხისმგებლობის გამო ზოგიერთი ხელმძღვანელი შეგნებულად აყალბებს ინფორმაციებს, ცდილობს მიჩქმალოს პრობლემები და წარუმატებლობა.

საბოლოო ჯამში ორგანიზაცია დგება გამოუსწორებელი მარცხის წინაშე. ანალოგიური შედეგი დგება მაშინაც, როდესაც ცალკეული ხელმძღვანელი მხარს უჭერს წარუმატებელი გადაწყვეტილებასა და მის რეალიზაციას, რათა პატივმოყვარეობის გამო, იჩენს სიმტკიცეს და შეუპოვრობას, უფროთხილდება თავის, როგორც ლიდერის ავტორიტეტს.

გადაწყვეტილების მიღების პროცესისათვის სარგებლის მომტანი კი მხოლოდ შეცდომების დროული აღიარება და მათ საფუძველზე გაკვეთილების გამოტანა შეიძლება იყოს. თანმიმდევრულობა და მიზანდასახულობა კარგია მხოლოდ წარმატებული წინსვლის დროს; როგორც კი ჩავარდნის ნიშნები გამოჩნდება საჭიროა დროული რეაგირება და ხშირად არჩეულ კურსზე უარის თქმა. აქ აღწერილი მოდელებისა და სხვა არაერთი საინტერესო მოდელისა თუ მეთოდის დახმარებით ნებისმიერ ორგანიზაციაში შესაძლებელია წარმატებული ორგანიზაციული საქმიანობა, სწორი, გამართული და ეფექტის მომტანი გადაწყვეტილების შემზავება და მიღება. იგნორირებული არ უნდა იქნეს მართვის მეცნიერების მიერ მიკვლეული პრინციპები და დებულებები. ჯერ კიდევ გასული საუკუნისა და მართვის მეცნიერების გარიერაჟზე ერთ-ერთი წარმატებული მენეჯერი ანრი ფაიოლი ურჩევდა კოლგებს მუდმივად ემუშავათ თავის თავზე, ეზრუნათ თვითგანათლებაზე, ყოფილიყვნენ მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების საქმის კურსში, პატივმოყვარეობის დათრგუნვის გზით საშუალება შეექმნათ ქვეშევლობებისათვის ინიციატივის გამოვლენისა და თავისი პოტენციალის რეალიზებისათვის.

### ლიტერატურა:

#### References

1. saxelmwifo marTvis srulyofis sakiTxebi (meToduri saxelmZRvanelo), Tb., 2000. (Georgian)
2. sagareo saqmeTa saministros programuli da administraciuli sistemebis modernizacia, Tbilisi, 1999. (Georgian)
3. doRonaZe S. saxelmwifo marT vis Teoriis sakiTxebi, Tbilisi, "cismami" 2007. (Georgian)

4. balceroviCi leSek “Tavisufleba da ganviTareba saxelmwifos gardamaval periodSi”, Sps “pds”, Tbilisi 2005. (Georgian)
5. baRaTuria g. strategiuli dagegmva. meTodologiuri safuZvlebi. Tbilisi, stu. 2006 (Georgian)
6. galdaVa z. menejmentis safuZvlebi: (marTvis xelovneba, samewarmino saqmianoba) – Tb.: Tbil. un-tis gam-ba, 1991. (Georgian)
7. qouli j.a. menejmenti: Teoria da praqtika, Tbilisi, saganm., mTargmn., da sagamomc. centri, 2002. (Georgian)
8. Daft R.L. Menejment – Spb. 2000. (Russian)
9. Daft R.L. Teoria organizacii “Jiuniti”, 2006. (Russian)
10. Tokareva E.N. Podhod k probleme upravlenia organizaciei. Ekonomika I upravlenie 2007, №4. (Russian)

**Sophia Dogonadze  
Shota Dogonadze**

**Application Peculiarities of Update Models of Decision Making in Governing Process**

**Summary**

The article touches upon the application peculiarities of update models of managerial decision making in public administration. It should be noted that the organization efficiency on the hole depends on the manager's upright decision. The managerial decisions are influenced by a number of internal and external factors. The feedback of the process is of paramount importance with the final result. The work presents the typical scheme of decision making and discusses its different stages.

The four types of decisions are singled out: approach on the basis of the management theory, Carnegie's model, model of incremental process in managerial decision making, “«recycle bin model»”. All the above mentioned types are discussed thoroughly in the article.

The approach on the basis of management theory is analogous of rational approach applied by the manager while decision making. It must be noted that management theory as a science emerged during the World War II. At

that time mathematical and statistic methods were used to deal with the wide range of military and urgent tasks which used to be beyond the human capacity.

Managerial theory turned out to be effective in solving numerous military tasks. . This approach penetrated into corporations and business schools, working on the significant methodology. Management theory – can be instrumental in managerial decision making in organizations were problems could be tackled with analytical and rational methods. Mathematical models can have important impact on the final result. Management theory enables us to solve different problems having numerous vivid mathematical variables that are beyond human capacity.

The article analyzes the achievements in the field of management theory explored and implemented at the humanitarian-social faculty of Georgian Technical University and at the Ministry of Foreign Affairs of Georgia.

While discussing Carnegie's model, it should be noted that coming in accordance by means of formulating coalition of management subjects is the integral part of the managerial decision making process in organizations. It can be appropriate for the top level of managerial subjects in organizations. Discussions and arguments are time consuming, that's why the procedures leading to decision making are simplified and the opted alternative is more or less satisfactory rather than optimal, while dealing with problems. When the problems are programmed the organization will attend to the already applied procedures and standard action programs. Regulations and procedures exclude the necessity of coalition updating and conducting disputes on the organization. On the contrary non- programmed decisions require discussions and settlements of conflicts.

While discussing the model of instrumental process in decision making Henry Mintzberg's scheme is used. The scheme focuses on the action structural sequence unlike the Carnegie's model dealing with social and political factors. The article points out to the fact that the research of Mintzberg and his colleagues lies in reaching the main decisions of organization consists of the series of 'minor' options. But the final decision could essentially differ from the planned beforehand.

The «recycle bin model» is one of the update and interesting examples in the elaborating the management decisions in organizations. We could exclude the possibility of comparing this model with above- discussed ones, as the «recycle bin model» has to do with the system and chain of numerous decisions within the organization, while Carnegie's model and incremental model focus on the single- sided decisions. The «recycle bin model» enables us to observe the organization the whole and the decisions applied by subjects of organization management more or less frequently.

In conclusion the article touches upon the special preconditions and typical mistakes of decision making, the article is summarized by A.Fayol, the famous managers slogan implying the idea that managers should follow the latest scientific achievements and listen to the colleagues.

**Keywords:**

Public Administration, state governing, managerial decisions, strategic planning, management, subjects and objects of administration, art of public administration, management theory, Carnegie's model, model of incremental process in decision making, «recycle bin model», A. Fayol, H. Mintzberg, businessman, manager, administrator, Administration principles, cybernetic approach, mathematical models, mission, humanitarian-social Faculty of Georgian Technical University, Ministry of Foreign Affairs of Georgia.

**Reviewer** - Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University

**Догонадзе София Шотаевна  
Догонадзе Шота Акакиевич**  
**Особенности использования современных моделей принятия  
управленческих решений в государственном управлении**

**Резюме**

В статье дан анализ особенностям использования современных моделей принятия управленческих решений в государственном

управлении. Отмечено, что жизнедеятельность организаций во многом, в некоторых случаях всецело, зависит от верности принятого руководителями решения.

На процессы принятия управленческих решений влияют многие факторы, как внутренние, так и внешняя среда. Особое значение имеет, так же обратная связь, которая способствует выверению решения с конечным результатом. В работе приводится типичная схема принятия решения и рассмотрены его этапы.

Из множества типов принятия решения выбраны четыре типа решений: подход на основе теории управления, модель Карнеги, модель инкрементального процесса принятия управленческого решения, модель “мусорного ящика”. Все четыре типа рассмотрены детально.

Подход на основе теории управления является аналогом рационального подхода, используемого менеджерами при принятии управленческих решений. Известно, что теория управления как отдельная наука возникла во время Второй мировой войны. В то время математические и статистические методы применялись для решения неотложных крупномасштабных военных задач, решить которые было не под силу одному человеку.

Теория управления имела успех при решении многих военных задач. Этот подход к принятию решений проник в корпорации и школы бизнеса, где изучались и разрабатывались необходимые методики. Теория управления - отличный инструмент для принятия управленческих решений в организации тогда, когда проблемы поддаются анализу и переменные могут быть идентифицированы и измерены. Математические модели могут содержать тысячу и более переменных, и каждая из них определенным образом оказывается на конечном результате. С помощью теории управления можно быстро и правильно решать задачи, имеющие большое количество явно выраженных переменных, которые человек просто не в состоянии переработать в голове.

В статье проанализированы те достижения в области использования теории управления, которые были достигнуты в научном плане на Гуманитарно-социальном факультете Грузинского технического университета и в практическом плане в Министерстве иностранных дел Грузии. При этом указываются и на те изъяны, которые присущи этому типу управленческих решений.

При рассмотрении модели Карнеги указывается, что достижение соглашения посредством создания коалиции субъектов управления является основной частью процесса принятия управлеченческого решения в организации. Особенно это справедливо в отношении высшего уровня управлеченческого субъекта организации. Дискуссии и споры требуют больших затрат времени, поэтому процедуры поиска решений обычно упрощены, и выбранная альтернатива скорее является наиболее удовлетворительным, а не оптимальным решением проблемы. Когда проблемы являются программированными, организация будет полагаться на ранее используемые процедуры и стандартные программы действий. Правила и процедуры исключают потребность обновления коалиции и ведения споров о политике организации. Напротив непрограммированные решения требуют дискуссий и разрешения конфликтов.

При рассмотрении модели инкрементального процесса принятия решений использована схема Генри Минцберга. Схема в большей степени акцентирует внимание не на политических и социальных факторах, описанных в модели Карнеги, а на структурной последовательности действий, предпринятых на протяжении всего процесса — с момента обнаружения проблемы до момента ее решения. Статья указывает, что одним из открытий исследования Г. Минцберга и его коллег было то, что главный выбор в организации, приводящий к основному решению, обычно состоит из серии “мелких” выборов. Так, многие управлеченческие решения, принимаемые в организации, представляют собой скорее серию “откусываний” небольших кусков, чем один большой кусок. Вместе с тем, окончательное решение может существенно отличаться от того, которое планировалось изначально.

Модель же мусорного ящика представляет собой один из новейших и наиболее интересных примеров разработки управлеченческих решений в организациях. Она напрямую не сравнивается с другими, описанными ранее моделями, поскольку модель мусорного ящика имеет дело с системой или потоком многочисленных решений внутри организации, в то время как модели Карнеги и инкрементальная модель фокусируются на принятии одиночного решения. Модель мусорного ящика помогает размышлять об организации в целом и о решениях, наиболее часто принимаемых субъектами управления организаций.

В заключении в статье рассмотрены особые условия при принятии решений, типичные ошибки при принятии решений и др. Статья завершается с призывом известного менеджера, одного из основателя Административного менеджмента А.Файоля к управленцам всегда следить за научными достижениями в области науки управления и внимательно прислушиваться к мнению коллег и окружающих.

**Ключевые слова.** Государственное управление, управление государством, управленческие решения, стратегическое планирование, менеджмент, субъекты и объекты управления, искусство управлять государством, теория управления, модель Карнеги, модель инкрементального процесса принятия решений, модель “мусорного ящика”, А. Файлол, Г. Минцберг, бизнесмен, менеджер, администратор, принципы управления, кибернетиченский подход, математические модели, миссия. Гуманитарно-социальный факультет Грузинского технического университета, Министерство иностранных дел Грузии.

**Рецензент** - профессор Георгий Багатурия, Грузинский технический университет

**გიორგი ბალათურია, ოთარ ბალათურია  
ეფეშტიანი მეცნიერების პრინციპები  
პეტერ დრუკერის მიხედვით**

მენეჯმენტის განვითარებაში სრულიად განსაკუთრებული როლი ეკუთვნის პეტერ დრუკერს (Peter Ferdinand Drucker 1909-2005) – ავსტრიული წარმოშობის ამერიკელ ეკონომისტს, პუბლიცისტს, პედაგოგს. დრუკერი არის XX საუკუნის მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორეტიკოსი, რომელმაც, ფაქტობრივად, შექმნა მენეჯმენტი, როგორც საქმიანობის სფერო. ისინი ვინც მართვის სფეროში მოღვაწეობენ, დრუკერს მენეჯმენტის მამა-დამაარსებელს (founding father) უწოდებენ, უფრო ხშირად კი – მოციქულს, პატრიარქს, წინასწარმეტყველს, მენეჯმენტის დიად და ჯადოსნურ თეორეტიკოსს. ძნელია იმის თქმა, თუ კონკრეტულად რა წვლილი შეიტანა დრუკერმა მენეჯმენტში, ვინაიდან, როგორც საყოველთაოდ არის აღიარებული, დრუკერი თავად არის მენეჯმენტი, მან შექმნა მენეჯმენტი თავიდან ბოლომდე – მენეჯმენტის ენა, ცნებები, სიმბოლოები. ჩამოაყალიბა „გლობალური ბაზის“ თეორია, „ინფორმაციული მუშავის“ კონცეფცია. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მსოფლიოს წამყვანი კონცერნები არსებობენ „დრუკერის მიხედვით“. დრუკერს სჯერდა, რომ შესაძლებელია ეკონომიკური პროგრესის მიღწევა და სოციალური პარმონიის დამყარება.

1939 წლიდან სიკვდილამდე დრუკერმა გამოაქვენა 39 წიგნი მენეჯმენტის შესახებ და ასობით სტატია ურნალებში The Wall Street Journal da Harvard Business Review. 1950-1971 წწ.-ში დრუკერი ასწავლიდა მენეჯმენტს ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, 1971 წ.-დან სიცოცხლის ბოლომდე – კლერმონტის უნივერსიტეტში. დრუკერის მიერ ფორმულირებული იდეები შემდეგ მენეჯმენტის პოსტულატები ხდებოდა. მართლაც, თითქმის არ არსებობს მეცნიერების მიმართულება მართვის შესახებ, რომელიც დრუკერის იდეებს არ ჟერდნობა. ამ თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ დრუკერმა მენეჯმენტის ფილოსოფია შექმნა. მართვისადმი მეცნიერული მიდგომა პირველად ფრედერიკ ტეილორმა შეიმუშავა, მაგრამ მისი კონცეფცია მთლიანად მექანისტურია და, რეალურად,

დრუკერის მიერ ჩამოყალიბებული მენეჯმენტის დებულებათა პერძო შემთხვევას წარმოადგენს (შედარებისთვის – ისევევ, როგორც ნიუტონის ფიზიკა წარმოადგენს აინშტაინის მიერ ჩამოყალიბებული ფიზიკის კერძო შემთხვევას).

მენეჯმენტის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლებისთვის მწერლი ხასიათის მიცემა დრუკერმა დაიწყო 1944 წელს, როდესაც ის მიიწვიეს General Motors-ში კორპორაციის მმართველი რგოლის კვლევის ჩასტარებლად. ამავე დროს ის მუშაობდა კონსულტანტად კომპანიებში General Electric, Sears, Roebuck & Co. კვლევების საფუძველზე მან გამოაქვევნა ფუნდამენტული ნაშრომები „პორპორაციის კონცეფცია“ (1946) (*Concept of the Corporation*) და „მენეჯმენტის პრაქტიკა“ (*The Practice of Management*) რომელიც 1954 წელს გამოიცა ამერიკაში და მას შემდეგ, თითქმის ყოველ წელს, ახალი გამოცემა გამოდის. ეს უკანასკნელი გახდა დრუკერის ყველაზე უფრო ცნობილი ნაშრომი, რომელმაც სამუდამოდ დააკავშირა მისი სახელი „მენეჯმენტის“ ცნებასთან.

დრუკერი წერს: „რაც უფრო მეტს ვმუშაობდი წარმატებულ და კალიფიცირებულ მენეჯერებთან, უფასებიანად მოქმედი საწარმოების მმართველებთან, მით უფრო ნათელი ხდებოდა ჩემთვის, რომ უნდა არსებობდეს მენეჯმენტის მეცნიერება. ჩემთვის ნათელი ხდებოდა აგრეთვე, რომ შესაძლებელია მენეჯმენტის ხელოვნების შესწავლა და, უფრო მეტიც, შესაძლებელია შეასწავლო ეს ხელოვნება სხვებს. მაგრამ ისიც ცხადი გახსლდათ, რომ მაშინ მენეჯმენტის არაფითარი მეცნიერება არ არსებობდა, გაქონდა მხოლოდ სხვადასხვა სახალისო ისტორია ხელმძღვანელთა პრაქტიკიდან. არცერთი მცდელობაც კი არ არსებობდა, რომელშიც შესწავლილი და გაანალიზებული იქნებოდა მენეჯმენტი, როგორც საქმიანობის დამოუკიდებელი სახეობა ვალდებულებათა საკუთარი არეალით. ამიტომ არაფერი დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ თავად შემექმნა მენეჯმენტის მეცნიერება, რაც გავაკვთე კიდეც ამ წიგნის [„მენეჯმენტის პრაქტიკა“] დაწერით“.

XX საუკუნის 40-იანი წლების შუა პერიოდიდან მსოფლიოს ყველა წამყვანი კონცერნი მუშაობს „დრუკერის მიხედვით“. მრავალი დიდი კომპანიის ხელმძღვანელი უყვებოდა მოგვიანებით დრუკერს, თუ როგორ კითხულობდნენ

„მენეჯმენტის პრაქტიკას“ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ხელახლა კითხულობენ ახლა და კვლავ პოულობენ ახალი იდეებს, რომლებიც ეხმარება მათ „გაიგონ წარმოქმნილი პრობლემების არსი და დაინახონ ამ პრობლემების გადაჭრის ახალი შესაძლებლობები“. დრუერის აზრით წიგნის აქტუალურობა იმით აიხსნება, რომ იქ თაგმოყრილია „უნივერსალური შესაძლებლობების, უნივერსალური სტრატეგიების, უნივერსალური გამოცდილებისა და უნივერსალური პრობლემების მაგალითები“. ფაქტობრივად ეს წიგნი უბრალოდ ფუნდამენტურ ცოდნას წარმოადგენს, რომელიც არ ძველდება, ხოლო სიახლე ყოველი ახალი წაკითხვის დროს იმით აიხსნება, რომ მკითხველმა კიდევ უფრო მეტის გაგება შეძლო და აღწერილი მოვლენები უფრო ღრმად და დაწვრილებით დაინახა.

მნელი დასაჯერებელია, მაგრამ იყო დრო, როდესაც მენეჯერის პროფესია არ ითვლებოდა მნიშვნელოვნად, არც მენეჯერებს ესმოდათ კარგად თავისი მუშაობის არსი. სწორედ დრუერმა მოახდინა მენეჯერის ფუნქციის სისტემატიზება და პირველმა განაცხადა, რომ საწარმოს ყველაზე უფრო ძირიფასი რესურსი არის მენეჯერი – ბიზნესის ელიტა, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს საწარმოს საქმიანობაში.

ეკონომიკისა და მენეჯმენტისადმი ფუნდამენტური, სისტემური მიდგომა პირველად დრუერმა 1939 წელს ჩამოყალიბა წიგნში „ეკონომიკური ადამიანის დასასრული“ *The End of Economic Man: The Origins of Totalitarianism* (1939), რომელიც შემდეგ 20-ჯერ გამოიცა. წიგნში ჩამოყალიბებული მიდგომა ადამიანისადმი, როგორც ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სუბიექტისადმი, იმ დროს ნამდვილად რევოლუციური და გამაოგნებელი გახდდათ, ვინაიდან ეს იყო კონკრეტული აუგავებისა და სწორედ „ეკონომიკური ადამიანის“ ყოვლისშემძლეობის, ინდუსტრიალიზაციისა და ტეილორის იდეების ფართოდ გამოყენების სანა (რაც დრუერმა საბჭოთა კავშირშიც იხილა, სადაც ის იმყოფებოდა, როგორც უერნალისტი). მოგვიანებით, 1987 წელს, დრუერი წერდა „ჩემი წიგნების, ლექციებისა თუ კონსულტაციების შინაარსი განისაზღვრება იმ წანამდგარით, რომ თანამედროვე საწარმო თუ ორგანიზაცია – უპირველეს ყოვლისა არის ადამიანური, სოციალური ორგანიზაცია. და მენეჯმენტს, როგორც

მეცნიერებას და პრაქტიკას, საქმე აქვს ადამიანურ და სოციალურ ღირებულებებთან“. სწორედ მთავარი ადამიანური ფასეულობების საფუძველზე ჩამოაყალიბა დრუკერმა მენეჯმენტის ჰეშმარიტი არსი: მართვა არის არა გარე იმპულსებზე პასიური რეაქცია კომპანიის გადარჩენის მიზნით, არამედ განვითარება საწარმოს მიზნების ჩამოყალიბებისა და მიღწევის გზით. მენეჯმენტის ამოცანაა – ენერგიის გაზრდა ორგანიზაციაში. ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება გახდა დღეს პრაქტიკული კონცეფცია „მართვა მიზნების მიხედვით“ (Management by Objectives, MBO). MBO-მ კარდინალურად შეცვალა მენეჯმენტის ლოგიკა. 50-იან წლებში მენეჯერები კონცენტრირებულნი იყვნენ ფუნქციებსა და პროცესებზე, ხოლო დრუკერი კი ამტკიცებდა, რომ მართვა უნდა დავიწყოთ მიზნების ჩამოყალიბებით და მხოლოდ შემდეგ უნდა გადავიდეთ ფუნქციების, ურთიერთქმედებებისა და პროცესების ფორმირებაზე. 1954 წელს დრუკერი, როდესაც მან MBO-სისტემა დაამუშავა, წერდა: „ბიზნესის ძირულ სფეროებში მიზნობრივი მაჩვენებელები წარმოადგენს მართვის პულტს (ხელსაწყოთა პანელს), რომელიც აუცილებელია საქმიანი საწარმოს პილოტისთვის“. 90-იან წლებში კი მართვის სფეროს აღიარებული ავტორიტეტები, კაპლანი და ნორტონი, წერდნენ „მენეჯერებს, როგორც პილოტებს, ესაჭიროებათ აპარატურა, რომლებიც თვალყურს აღევნებენ შიდა და გარე ფაქტორების სიმრავლეს“. როგორც ვხედავთ, მათ, 40 წლის შემდეგ, ფაქტორებიგად, გაიმეორეს დრუკერის აზრი. სინამდვილეში, MBO-ს არსი იმდენად ფაქტორებისთვის თვალყურის დევნება კი არ არის, რამდენადაც ორგანიზაციის ყველა თანამშრომლის – როგორც ხელმძღვანელთა, ისე რიგითი მუშაკების – სრული მონაწილეობა ორგანიზაციის მიზნების დამუშავებაში და ყველა მათგანის პასუხისმგებლობა დასახული მიზნების მიღწევაში.

ადამიანის როლი ორგანიზაციაში დრუკერმა სრულად შეგვინდება ინფორმაციულ გპოქაში ჩამოაყალიბა. ინფორმაციული ეპოქა ხასიათდება „ცოდნის საზოგადოებით“, ამ დროს წამყვანი ხდება „ინტელექტუალური მუშაკი“ (knowledge worker – ეს ტერმინი დრუკერმა ჯერ კიდევ 1959 წელს შემოიტანა), იცვლება ურთიერთობა პიროვნებასა და კომპანიას შორის. თანამედროვე ორგანიზაციებში ადამიანი ორგანიზაციისთვის

უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ორგანიზაცია – ადამიანისთვის. ღრუჟერის აზრით თანამედროვე ადამიანის მთავარი მოთხოვნილება, მისია არის საკუთარი თავის მართვა, ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ ის აკეთოს, რასაც ეუბნებიან (*Managing Oneself, Harvard Business Review, March-April 1999*). საკუთარი ადგილის პოზის პროცესში „ცოდნის ეკონომიკის“ მუშაკებისთვის ერთადერთი კრიტერიუმი უნდა იყოს საკუთარი ფასეულობა. ამავე დროს, მათ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა ორგანიზაციაში არსებულ ურთიერთობებზე, ვინაიდან თანამედროვე ორგანიზაციები „ნდობას და ურთიერთობაგებას“ ეყრდნობა. აქედან გამომდინარეობს დრუკერის მიერ გამოავლენილი ფუნდამენტური ცვლილება – ორგანიზაციებში ადრე არსებული იერარქიული დამოკიდებულება უფროსებსა და ხელქვეითებს შორის იცვლება თანამშრომლობითი დამოკიდებულებით. ცოდნის ეპოქაში იცვლება ინფორმაციული ნაკადების ინტენსიურობა და მიმართულებები, შესაბამისად უნდა შეიცვალოს ორგანიზაციის სტრუქტურა. ჯერ კიდევ „მენეჯმენტის პრაქტიკაში“ დრუკერი აღნიშნავდა, რომ ორგანიზაციის სტრუქტურა უნდა იყოს მაქსიმალურად პორიზონტალური, ხოლო გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს მაქსიმალურად დაბალ დონეზე. ნაცვლად ტერმინისა „ორგასტრუქტურა“, იგი იყენებს ტერმინებს „დეცენტრალიზაცია“, „ფუნქციონალური დეცენტრალიზაცია“ და ა.შ. ერთ-ერთ ბოლო წიგნში „მენეჯმენტის ამოცანები XXI საუკუნეში“ (*Management Challenges for the 21st century* (1999) დრუკერი განმარტავს, რომ სტრუქტურა იმდენი უნდა იყოს, რამდენიც არის ბიზნეს-პროექტი და ადამიანი: „უკვე ასი წელია ვეძებით კერძანის სწორად ორგანიზების ერთადერთ შესაძლებლობას დაწყებული ჯ.მორგანითა და ჯ.როკფელერით აშშ-ში, გ.სიმენსით – გერმანიაში, ა.ფაიოლით – საფრანგეთში და ა.სლოუნით – General Motors-ში და დამთავრებული ჩვენი აღტაცებით მუშაობის ორგანიზაციის გუნდური მეთოდით. დღეს ასეთი რამ უბრალოდ შეუძლებელია. იარსებებს სხვადასხვა „ორგანიზაცია“, რომლებიც ერთმანეთისგან დაახლოებით ისევე განსხვავდება, როგორც სხვადასხვა შენობები განსხვავდება ერთი-მეორისგან – ნავთობ-გადამზუშავებული ქარხანა, ტაბარი და საცხოვრებელი სახლი. ნებისმიერი ორგანიზაცია (და არა მხოლოდ კომერციული)

განვითარებულ ქვეყნებში უნდა შეიქმნას კონკრეტული ამოცანისთვის, დროისა და ადგილისთვის (ან პულტურისთვის).”

დღუკერის აზრით აუცილებელი ხდება ახალი, „მეწარმეთა საზოგადოების“ შექმნა. ამ საზოგადოების ცხოვრების წესი უნდა გახდეს მენეჯერთა ინოვაციური საქმიანობა – ეს არის ორგანიზაციისა და განვითარების ძირითადი საშუალება ცოდნის ეკონომიკაში. ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყოს სამი ინოვაციური პრინციპის დაცვა. ეს არის პროდუქციის მუდმივი სრულყოფა, ცოდნის გამოყენება განვითარებისთვის და სისტემური ინოვაციური საქმიანობა (*Innovation and Entrepreneurship: Practice and Principles* (1985). ამასთან ინოვაცია განიხილება როგორც არა მხოლოდ ტექნიკური საქმიანობა, არამედ როგორც შიდა საფირმო და სოციალური „მეწარმებია“. დღუკერის აზრით, იაპონიის წარმატება განპირობებულია სწორედ სოციალური ინოვაციით, კერძოდ ისეთი ინსტიტუტების განვითარებით, როგორიც არის უმაღლესი და საშუალო განათლება, შრომითი ხელშეკრულებები. ამავე დროს, განსაკუთრებული პათოსიც არ არის საჭირო ინოვაციებთან დაკავშირებით, ვინაიდან, დრუკერის აზრით, წარმატებულ ინოვაციათა უმეტესობა დამყარებულია არა უნიკალურ აღმოჩენებსა და უცნობ ფაქტებზე, არამედ უკვე ცნობილ მოვლენებზე, მაგალითად, მოსახლეობის ასაკობრივი შემდგენლობის, მრეწველობისა და ბაზრის სტრუქტურის ცვლილებაზე და ა.შ. ამავე დროს, როგორც დრუკერი თვლიდა, ნოვაციონობის სწავლაც ძალიან ადგილია. მენეჯერი, რომელიც ფლობს ინოვაციის ხელოვნებას ხდება „მენეჯერი-მეწარმე“, რომელსაც ძალუძს მოახდინოს „რევოლუცია მართვაში“ – ეს არის კიდევ ერთი ახალი მოვლენა ცოდნის ეკონომიკაში – ბიზნესის ხარისხობრივი, ნახტომისებრი ცვლილება, ოდონდ ისტორიული რევოლუციებისგან განსხვავებით ეს არის რევოლუცია ნგრევის გარეშე.

დრუკერის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება არის სხვათა შემოქმედებითი საქმიანობის სტიმულირება. მაგალითად, მას არ დაუმუშავებია ორგანიზაციათა სასიცოცხლო ციკლის თვეორია, მაგრამ მაგალითებით (Sears, Roebuck & Co. უნივერმაღლთა ქსელის მაგალითი) აჩვენა, რომ ორგანიზაციამ

შეიძლება იარსებოს ძლიერ დიდხანს, ასობით წელიც კი, თუ კი განვითარების პროცესში იმუშავებს ახალ ბიზნეს-იდეაზე ან მნიშვნელოვნად გარდაქმნის არსებულ ბიზნეს-იდეას (საზოგადოდ ცნობილია, რომ თანამედროვე კომპანიების საშუალო ასაკი 35-40 წელია). ასევე, ლიდერობის შესახებ მას არ ჩამოჟუალიბებია რაიმე ფორმალური თეორია, მაგრამ მაგალითებით აჩვენებდა ლიდერობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დრუკელებული სტერეოტიპებისგან განსხვავებით მკვეთრად მიჯნავს, თითქმის უპირისპირებს ერთმანეთს ხელმძღვანელის პარიზმასა და მის ეფექტიანობას – „დიდი მენეჯერები შეიძლება იყვნენ ქარიზმატულები ან უსახონი, უხერხი ან ძუნწები, ემოციურები ან დინჯები, მათ მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ – ისინი ეფექტიანად მუშაობენ“.

დრუკერი გახლდათ არასტანდარტული იდეების გენერატორი, იგი თაგა კი არ გახვევთ რაიმე სიბრძნეს, როგორც ერთგვარი მწიგნობარი ბრძენი, არამედ გესაუბრებათ და იწვევს თქვენი აზრების სტილულიორებას. დრუკერი წერდა მარტივად და ნათელი ენით, იუმორით და მეტაფორებითაც კი, რაც კიდევ უფრო გასაგებს ხდის მის იდეებს. აი მაგალითად, საშუალო მენეჯერთა ფენის მეტისმეტად გამსხვილებას იგი ადარებდა ქრის დაგროვებას ადამიანის წელის მიდამოებში, ხოლო კარგ მანერებს – ორგანიზაციის საცხებ მასალას, რაც აადვილებს მის მუშაობას. თავის შესახებ კი ასე ამბობდა: „მე უფრო „ინსულტარები“ ვარ, ვიდრე კონსულტარები. მე ფულს ადამიანთა ლანდღვაში მიხდიან“.

უკანასკნელ დროს მენეჯმენტის პატრიარქი სულ უფრო მეტ ურადღებას უთმობდა მომავლის პრობლემებს. XXI საუკუნის მთავარ პრობლემებად იგი თვლიდა შობადობის შემცირებას განვითარებულ ქვეწებში („განვითარებული ქავენები იწყებენ კოლექტიურ თვითმკვლელობას“), ცვლილებებს შემოსავლების განაწილებაში, მზარდ შეუსაბამობას კონომიკურ გლობალიზაციასა და პოლიტიკურ გათიშულობას შორის, ცვლილებებს ეფექტიანობის განსაზღვრაში, კონკურენციის გლობალიზაციას. როგორც მსოფლიოს წამყვანი მენეჯერები, თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები თვლიან, დრუკერთან ერთად, ფაქტობრივად,

დასრულდა მენეჯმენტის თეორიული განვითარება, ახლა იმის დროა, რომ დაწვრილებით გადავამუშავოთ არსებული თეორიული მასალა და პრაქტიკული რჩევები, გადავიდეთ მართვის სპეციალიზაციაზე. მეორე მხრივ, დრუკერის წამატებას განაპირობებდა მისი კლასიკური განათლება და თანამედროვე ციფრიზაციის ისტორიის კარგი ცოდნა, მას შეეძლო ზუსტად ეჭინასწარმეტყველა მენეჯმენტის განვითარების ახალი ტენდენციები, რადგანც კარგად გრძნოდა მისი განვითარების შინაგან ლოგიკას.

თავის დროზე, 30-იანი წლების შუა პერიოდში დრუკერმა, მაშინ წარმატებულმა საინგენიერიკო ბანკირმა, დატოვა ბანკი და გადავიდა ბიზნესის სრულიად ახალ – მართვის კონსალტინგის სფეროში.. ამ ცვლილების მოტივაცია გახლდათ ბანკში მუშაობის შეუსაბამობა მის ცხოვრებისეულ ღირებულებებთან – „ჩემი ფასეულობა არის ადამიანი. აზრს ვერ ვხედავდი იმაში, რომ ვყოფილიყავი ყველაზე მდიდარი ადამიანი სასაფლაოზე“.

### დრუკერის ზოგიერთი პრაქტიკული მოსაზრება ეფექტიანი მენეჯმენტის პრინციპების შესახებ

#### მენეჯმენტი და მენეჯერი

- **მენეჯმენტი** არის ისეთი ინტეგრირებული დისციპლინა, რომელიც მოიცავს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ადამიანთა ქცევას, საზოგადოებრივ წევბას და ინტელექტუალურ მოთხოვნებს, რომელსაც კვებავს ეკონომიკა, ფინანსები, მათემატიკა, პოლიტიკური თეორია, ისტორია და ფილოსოფია. მოკლედ, რომ ვთქვათ, მენეჯმენტი არის ლიბერალური ხელოვნება.
- **მენეჯმენტი** გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე წოდებისა და პრივილეგიის გამოყენება, გაცილებით მეტი – ვიდრე „საქმეების კეთება“. მენეჯმენტი ეხება ადამიანებს და მათ ცხოვრებას.
- **უგარგისი მენეჯმენტი.** თუ კორპორაციაში გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის მენეჯერს, რომელიც არავის წინაშე არ არის პასუხისმგებელი და რომელსაც არავინ აკონტროლებს, მაშინ ასეთი მმართველობა არის დაუსაბუთებელი,

- უსამართლო, უკონტროლო და უპასუხისმგებლო [რომელიც აუცილებლად კრახით დამთავრდება].
- **მენეჯერის ამოცანა** არის გახადოს ადამიანები ეფექტურიანები, ხოლო მათი სისუსტე – უმნიშვნელო. ეს მთლიანად ეხება როგორც მენეჯერის ბოსს (ბოსი – boss, აშშ-ში პატრონი, მეპატრონე, მეწარმე, მფლობელი, უფროსი), ისე მის ხელშეკვეთებს.
  - **მენეჯერის დამოკიდებულება** თანამშრომლისადმი. ის, ვინც აქცენტს უფრო თანამშრომელთა სუსტ მხარეებზე ამახვილებს და არა მათ ძლიერ მხარეებზე, არასდროს არ უნდა დაინიშნოს მენეჯერის თანამდებობაზე.
  - **მენეჯერი** აყალიბებს მიზნებს, მენეჯერი აორგანიზებს, მენეჯერი ასაბუთებს და ურთიერთობს, მენეჯერი ავახებს სათანადო კრიტერიუმის ჩამოყალიბებით, მენეჯერი ანგიოთარებს ადამიანებს.
  - **ტოპ-მენეჯმენტს** ესაჭიროება ისეთი ადამიანები, როგორიცაა „ფიქრის ადამიანი“, „მოქმედების ადამიანი“, „ხალხის ადამიანი“, „მოწინავე ადამიანი“. (ინგლისურად – the "thought man" ...the "action man" ...the "people man" ...the "front man"). ეს ოთხივე თვისება თითქმის არადროს არ გგხვდება ერთ პიროვნებაში. ერთ ადამიანზე დამოკიდებული ტოპ-მენეჯმენტი არის ბიზნესის განუვითარებლობის მთავარი მიზეზი.
  - **საკუთარი თავის შეცნობა.** ჩვენ იშვითად ვიცით თუ რა გვაკლია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რას წარმოვადგენთ, რა უნდა ვისწავლოთ სრული მოგების მისაღებად ჩვენი ძლიერი თვისებების წყალობით, რა არის ჩვენი სისუსტე, რა ფასეულობები გვაქვს. საკუთარ თავს ძალიან კარგად უნდა ვიცნობდეთ: „კარგად ვმუშაობ ამ ხალხთან თუ მარტო ვარ?“ (ეს აზრი შეიძლება შევადაროთ სოკრატეს დიალოგს ევთიმედესთან დელფოს ტაძარზე ამოკვეთილი წარწერის შესახებ – „შეიცან თავი შენი“).
  - **მენეჯერი** აკეთებს საქმეებს კარგად (Doing the things right). **ლიდერი** აკეთებს კარგ საქმეებს (Doing the right things).

### ურთიერთობა ხელმძღვანელთან

- **ხელქვეთის საქმე** არ არის თავისი ბოსის გარდაქმნა ან აღზრდა, არც მისი ბიზნესის სკოლებსა და მენეჯმენტის

წიგნებში ჩამოყალიბებული იდეალური ბოსის ტიპისადმი მისადაგება. სპეციფიკური ტიპის ბოსი მან უნდა წარმოადგინოს როგორც უნიკალური ინდივიდუალობის ქრონი ადამიანი.

- **თქვენი ბოსი ყოველთვის საქმის კურსში უნდა იყოს.** მას უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ თქვას „მე ვიცი რის გაკეთებას ცდილობს ენი (ან ჯონი)“.
- **არასდროს არ დაუშვათ ბოსის დაუფასებლობა.** იგი შეიძლება უწიგნური ან სულელი მოგეწვენოთ. მაგრამ არავითარი რისკი არ არის უფროსის გადაჭარბებით შეფასებაში. თუ თქვენ მას არ აფასებთ ის ან აღშფოთდება ან უჭვი შეეპარება თქვენს გონიერივ მონაცემებსა და ცოდნაში.
- **წელიწადში ერთხელ ჰკითხეთ თქვენს ბოსს:** „რას ვაკეთებთ მე ან ჩემი თანამშრომლები ისეთს, რაც თქვენ გეხმარებათ (ან ხელს გიშლით) საქმის კეთებაში?“

### **ურთიერთობა თანამშრომლებთან**

- **თანამშრომელთა პატივისცემა.** დრუკერს სჯეროდა, რომ ემპანიის მუშაკები წარმოადგენენ მის აქტივებს და არა პასივებს. დრუკერის აზრით, მცოდნე თანამრომლები თანამედროვე კომპანიების არსებითი ინგრედიენტებია.
- **განათლებულ ადამიანებთან** მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის მათი მოქმედების სტიმულირება. ადამიანთა უმეტესობა უკულის გადახდით არ კმაყოფილდება, ჩვენ აგრეთვე გვრძნობთ, რომ მუშაობა გვჭირდება. სწორედ ამიტომ არსებობს უხელფასო თანამშრომლობა და მოხალისეთა უზარმაზარი რაოდენობა. ასეთი მოთხოვნილება არ ქრება. ბიზნესი არ აპირებს სუსტების წამოყენებას, მთავრობას კი არ შეუძლია.
- **თანამშრომლის პიროვნული თვისებები.** დამქირავებელს არაფერი ესაქმება თანამშრომლის პიროვნებასთან. დასაქმება არის გარკვეული კონტრაქტი, რომლითაც განსაზღვრულია გარკვეული სამუშაო. უფრო მეტის მოთხოვნის ნებისმიერი მცდელობა არის უზურპაცია. ეს არის როგორც ამორალური საქციელი, ისე ადამიანის კერძო ცხოვრებაში უკანონო შეჭრა. ეს არის

ძალაუფლების გადამეტება. თანამშრომელი არ არის ვალდებული იყოს „ლოიალური“, „უკარდეს“ [უფროსი] ან „პატივისცემის გრძნობით“ იყოს გამსჭვალული ვინმესაღმი. ის ვალდებულია აკეთოს თავისი საქმე და არა სხვა რამე.

- **მორალი ორგანიზაციაში** იმას არ ნიშნავს, რომ „ადამიანები ერთად ცხოვობენ“. საჭიროა სამუშაოს შესრულება და არა დამორჩილება.
- **საწარმოს ხედგა.** მუშაკი საწარმოს უნდა ხედავდეს მთლიანობაში, როგორც მენეჯერი. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაინახავს იგი თავის ნაწილს, საიდანაც იგი მთლიანობას მიაღწევს. ასეთი „ხედგა“ ინფორმირების საკითხი არ არის სასწავლო კურსების, საწარმოს დათვალიერების ან სხვა მსგავსი მოქმედების საშუალებით. საჭიროა მთლიანობის ნამდვილი გამოცდილება ინდივიდუალური მუშაობით.
- **ორგანიზაცია „აგად“ არის,** როდესაც მისი თანამშრომლებისთვის წახალისება უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე სამუშაოს შესრულება, როდესაც ისინი უფრო შეცდომებისთვის თავის არიდებას ცდილობენ, ვიდრე გარისკვას, როდესაც აქცენტი აკოდება უფრო მათი სუსტი მხარეების ნეიტრალიზებაზე და არა ძლიერი მხარეების კიდევ უფრო გაძლიერებაზე, როდესაც ადამიანური ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე სამუშაოს შესრულება და მიღწევები. როდესაც კომპანიაში მაღალფარდოვნად საუბრობენ საქმეების შესახებ, მაშინ იქ უკვე ციებ-ცხელებაა დაწყებული (ეს უკანასკნელი წინადადება ინგლისურად ასე ურერს “The moment people talk of “implementing” instead of “doing,” and of “finalizing” instead of “finishing,” the organization is already running a fever”)

### მართვის ორგანიზაცია

- **კომპანიის უპირველესი პასუხისმგებლობა** არის კლიენტების შექმნა და მისი მომსახურება. მოგება არის არა მთავარი მიზანი, არამედ, უფრო, მნიშვნელოვანი პირობა კომპანიის ხანგრძლივი არსებობისთვის.
- **დაცვენტრალიზაცია და გამარტივება.** ბრძანებებისა და კონტროლის სისტემა დრუკერს უკარგისად მიაჩნდა. მისი აზრით კომპანია ყველაზე უკეთ მაშინ მუშაობს, როდესაც

- ის დეცენტრალიზებულია. დრუკერის მიხედვით კორპორაციებს ახასიათებთ ტენდენცია აწარმოონ მეტისმეტად დიდი რაოდენობის პროდუქცია, დაიქირავონ თანამშრომლები, რომლებიც მათ არ სჭირდებათ (მაშინ, როდესაც უკეთესი იქნებოდა აუტსორსინგი ანუ ამა თუ იმ საქმის სხვა კომპანიებთან პარტნიორობით გაკეთება), განახორციელონ ექსპანსია ეკონომიკურ სექტორში, რაც თავიდან უნდა იქნას აცილებული.
- არასწორია ბიზნესის მართვა მრავალი მოთხოვნისა და მიზნის გათვალისწინებით, იმის მაგიერ, რომ დაუმორჩილო კომპანია ერთადერთ ღირებულებას.
  - ნებისმიერი მარცხის მიზეზი არის დაუფიქრებელი მოქმედება.
  - შეცდომების დაშვება. რამდენადაც კარგია მუშაკი, იმდენად მეტ შეცდომას დაუშვებს იმ ახალ საქმეებში, რომელთა შესრულებასაც შეეცდება. მე არასდროს არ დავაწინაურებდი კაცს მაღალ თანამდებობაზე ვისაც არასდროს დაუშვია შეცდომები, მათ შორის დიდი შეცდომები, ვინაიდან იგი საშუალო დონის არის.
  - პასუხისმგებლობა. მნიშვნელობა არა აქვს თანამშრომლის სურვილს აიღოს თუ არა პასუხისმგებლობა..., ორგანიზაციაში უნდა მოითხოვოს მისგან პასუხისმგებლობის ადგება.
  - იდეები ერთგვარად ახალშობილებს ჰგავს. ისინი იბადებიან პატარები, უმწიფარნი, უფორმოები. ისინი უფრო დაპირებებს წარმოადგენენ, ვიდრე დასრულებულ მოსაზრებას (პროექტს). ინვაციურ კომპანიაში უფროსი არ იტყვის „ეს არის წყეული, სულელური იდეა“. ამის მაგივრად ის იკითხავს „რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს ემბრიონალური, ნედლი, სულელური იდეა გარდაიქმნას რაღაც ისეთში, რაც ჩვენ ახალ შესაძლებლობებს მოგვცემს?“
  - რისკი და ინოვაცია. ნებისმიერო ეკონომიკური საქმიანობა უკვე თავისთავად შეიცავს „დიდ რისკს“. მაგრამ გუშინდელის შენარჩუნება, ინოვაციების გარეშე, უფრო დიდ რისკს შეიცავს ვიდრე ხვალინდელი დღის შექმნა.
  - „დაგეგმილი უარის“ მოთხოვნილება. კომპანიებსა და მთავრობებს აქვთ ბუნებრივი ადამიანური ტენდენცია

- ჩაეტანა „უჭინდელ წარმატებებს“ იმის მაგივრად, რომ დაინახონ – ისინი უკვე უსარგებლოა.
- **შრომის ნაყოფიერებისა და ეფექტიანობის მთავარი სტიმული** უფრო მეტად არის არა ფინანსური, არამედ სოციალური და მორალური ხასიათის.
  - **დამოკიდებულება ეკონომიკური თეორიისადმი**  
დრუკერს ახასიათებდა დრმა სკეპტიციზმი მაკროეკონომიკური თეორიების მიმართ. დრუკერი ამტკიცებდა, რომ არცერთი სკოლის ეკონომისტებს არ ძალუდო ახსნან თანამედროვე ეკონომიკური სისტემების არსებითი ასპექტები. დრუკერი წერდა „მე და ეკონომისტები მხოლოდ ერთ რამეში ვეთანხმებით ერთმანეთს – მე არ ვარ ეკონომისტი.“
  - **საგნების თუ ადამიანთა ქცევა** [ქეინსის (John Maynard Keynes) სემინარზე დასწრების შემდგა] უკცერად აღმოვაჩინე, რომ კეინსი და უკელი მის საუკეთესო ეკონომისტ სტუდენტებს აინტერესებდა მოხმარების საგნების ქცევა, მაშინ როდესაც მე ადამიანთა ქცევა მაინტერესებს.
  - **[ეკონომიკური დეპრესიის შენელების მიზნით სამთავრობო ხარჯების გაწევის კეინსის რეკომენდაციების შესახებ]** ეს პგავდა ექიმს, რომელიც გეუბნება, რომ დვიძლის კიბო გაქვს, რასაც ოპერაცია ვერ უშეველის, მაგრამ გადარჩები თუ ჩვიდმეტი წლის ლამაზმანთან დაწვები.

### ცოდნა

- **ცოდნა,** რომელიც უფრო მეტად გახდა კონკრეტული რესურსი და არა ზოგადი სიმდიდრე, არის ის, რაც ჩვენ საზოგადოებას „ქმნის „პოსტ-კაპიტალისტურ“ საზოგადოებად.
- **განათლებული ადამიანი.** თუ კი ფეოდალური რაინდი კველაზე უფრო გამოკვეთილად წარმოადგენდა აღრევული შეასასეულებების საზოგადოებას, ხოლო „ბურჟუა“ – კაპიტალიზმს, განათლებული ადამიანი წარმოადგენს პოსტ-კაპიტალისტურ საზოგადოებას, სადაც განათლება ცენტრალური რესურსი გახდა.
- **საინფორმაციო რეგოლუცია.** თითქმის უკელი დარწმუნებულია, რომ რაკი ეს პროცესი არნახული სისწავით მიმდინარეობს, ამიტომ მის მიერ გამოწვეული

ეფექტი ადრეულ რევოლუციებთან შედარებით გაცილებით უფრო რაღიკალური იქნება. ეს დიდი შეცდომაა. როგორც თავისი სისწრაფით, ისე ზემოქმედების ძალით ინფორმაციული რევოლუცია უცნაურად გვაგონებს ორ წინამორბედ რევოლუციებს. პირველმა სამრეწველო რევოლუციამ, რომელიც უკავშირდება ჯემს უატის მიერ 1770-იან წლებში ორთქლის ძრავის გამოგონებას, არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები რკინიგზის გამოგონებამდე 1829 წ.-ს. ზუსტად ასევე, კომპიუტერის გამოგონებას 1940-იანი წლების შუა პერიოდში მხოლოდ 40 წლის შემდეგ, 1990-იან წლებში ინტერნეტის გავრცელების შედეგად, მოჰყვა საინფორმაციო რევოლუციით გამოწვეული დიდი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები... ანალოგიურად, საინფორმაციო რევოლუციის საზოგადოებაზე ზემოქმედების მთავარი შედეგები ჯერ კიდევ მომავალშია.

**ცოდნის ეკონომიკა** მძიმე ტგირთად დააწვება მუშათა ცოდნას. განსაკუთრებული სისწრაფით გაიზრდება „ცოდნის ტექნოლოგების“ დონე, ესენია: კომპიუტერების ტექნიკური პერსონალი, პროგრამისტები, ანალიტიკოსები კლინიკურ ლაბორატორიებში, ტექნოლოგები წარმოებაში, იურისტების ასისტენტები. მათი ანაზღაურება, როგორც წესი, ტრადიციულად გაგებული კვალიფიცირებული მუშების ხელფასზე ნაკლებია, მაგრამ ისინი თავის თავს „პროფესიონალებად“ თვლიან. ისევე, როგორც საწარმოთა არაკვალიფიცირებული მუშახელი წარმოადგენდა დომინირებულ სოციალურ და პოლიტიკურ ძალას მე-20 საუკუნეში, ასევე, ცოდნის ტექნოლოგების ფენა, ალბათ, გახდება დომინირებული სოციალური – და, შესაძლოა, პოლიტიკური – ძალა მომავალ ათწლეულში (2001 წ.).

### საზოგადოება

**საზოგადოების საჭიროება.** კარიერის დასაწყისში დრუკერმა იწინასწარმეტყველა „ეკონომიკური ადამიანის დასასრული“ და „მეწარმეთა საზოგადოების“ შექმნა, სადაც დაქმაყოფილებული იქნებოდა ადამიანთა სოციალური მოთხოვნილებები. მოგვიანებით მან აღიარა, რომ „მეწარმეთა საზოგადოება“ ვერასოდეს შეიქმნებოდა

და ივარაუდა, რომ არასამთავრობო სექტორში მოხალისეთა მოსვლა გახდებოდა ჯანსაღი საზოგადოების შექმნის საფუძველი. ასეთ საზოგადოებაში ადამიანები იპოვიდნენ საკუთრების აზრს და სამოქალაქო დირსებას.

- **ყელა ადრინდელი პლურალისტული საზოგადოება ანადგურებდა თავის თავს, რადგანაც საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე არავინ ზრუნავდა. იქმნებოდა უამრავი საზოგადოება, მაგრამ არ ხდებოდა მათი მხარდაჭერა, ემაჟოფილდებოდნენ მხოლოდ მათი შექმნით.**
- **ადამიანებს ესაჭიროებათ საზოგადოება. თუ კონსტრუქციული მიზნების მქონე საზოგადოება არ არსებობს, მაშინ იქმნება დამანახრეველი, სასტიკი და მომაკვდინებელი საზოგადოებები... მხოლოდ სოციალურ სექტორს, ანუ არასამთავრობო, არაკომერციულ საზოგადოებებს შეუძლიათ შექმნან ის რაც გვჭირდება – საზოგადოება მოქალაქეებისთვის. უპირველეს ყოვლისა XI საუკუნეს ესაჭიროება სწრაფად მზარდი არაკომერციული სოციალური სექტორი, რომელიც ახალ დომინანტურ სოციალურ გარემოში სათანადო საზოგადოებას ჩამოყალიბებს.**
- **ვერცერთი საზოგადოება ვერ იმოქმედებს როგორც საზოგადოება თუ კი იგი საზოგადოების ინდივიდუალურ წევრებს სოციალურ სტატუსს და ფუნქციას არ აძლევს და თუ სოციალური გადაწყვეტილებები უსამართლოა.**
- **ბიზნესის პოლიტიკა**
- **პოლიტიკა. სულ უფრო და უფრო მეტად პოლიტიკა ეხება არა „მას ვინც იცის რა, როდის, როგორ“ არამედ უასეულობებს, ამასთან ყველა მათგანი აბსოლუტური მნიშვნელობისაა... პოლიტიკა არის საქმიანობა „სიცოცხლის უფლების“ შესახებ... გარემოს შესახებ, ადამიანთა თანასწორობის შესახებ. არცერთი ეს პრობლემა არ არის ეკონომიკური ხასიათის. ყველა მათგანი არსებითად მორალური კატეგორიებია.**
- **თავისუფალი მეწარმეობა არ უნდა განისაზღვროს როგორც კარგი საქმე ბიზნესისთვის, იგი კარგი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.**
- **სულიერი დირექტულებები. ადამიანებს სჭირდებათ სულიერი დირექტულებების დაბრუნება, რადგანაც მათი გადარჩენა**

- თანამედროვე ვითარებაში შესაძლებელია მხოლოდ იმის დადასტურებით, რომ ადამიანი არა მხოლოდ ბიოლოგიური ან ფსიქოლოგიური არსებაა, არამედ, აგრეთვე, სულიერი არსება, რომელიც შეიქმნა და არსებობს მისი შემქმნელის მიზნებისთვის და მას (უფალს) ეკუთვნის.
- „**მთავრობის ავადმყოფობა**“. ხშირად მთავრობას არ შეუძლია ან არ სურს ახალი მომსახურების გაწევა, რომელიც ხალხს სჭირდება (თუმცა ეს გარემოება დემოკრატიის ბუნებრივი თვისება არ არის).
  - **სოციალური ეკოლოგისტისთვის** ენა არ არის „კომუნიკაციის“ საშუალება. ის არ არის არც „შეტყობინება“. ის არის სუბსტანცია. ის არის ცემენტი, რომელიც კაცობრიობას ერთმანეთთან აკავშირებს. სოციალური ეკოლოგისტებს არ ესაჭიროებათ იყვნენ „დიდი“ მწერლები, მაგრამ ისინი უნდა იყვნენ თავაზიანი, მზრუნველი მწერლები.
  - **კომუნიზმი არის ბოროტება.** მისი მამოძრავებელი ძალებია შურისა და სიძულვილის სასიკვდილო ცოდვები.
  - **განათლების სისტემა**
    - **ტრადიციული უნივერსიტეტები** აღარ იქნება. ტრადიციული საუნივერსიტეტო ქალაქებსა და ტრადიციულ საკლასო ოთახებს მომავალი არ აქვს. ძალიან სწრაფად მზარდია დისტანციური განათლება. დაახლოებით 30 წელიწადში საუნივერსიტეტო ქალაქები რელიგიიად იქცევა. ეს ისეთივე დიდი ცვლილებაა, როგორც გახლდათ პირველი ნაბეჭდი წიგნის გაჩენა. გაცნობიერებული გაქვთ, რომ უმაღლესი განათლების დირებულება ისეთივე სისწრაფით გაიზარდა, როგორც ჯანმრთელობის დაცვის დირებულება? საშუალო კლასის ოჯახისთვის სპეციალური (კოლეჯის) განათლება ისეთივე აუცილებლობა ხდება, როგორც სამედიცინო მომსახურება – ამის გარეშე ბავშვებს არა აქვთ მომავალი. ასეთი უმართავი ხარჯები განათლების ხარისხის ხელშესახები გაუმჯობესების გარეშე იმას ნიშნავს, რომ ეს სისტემა არასაიმედო ხდება. უმაღლესი განათლება დრმა კრიზისშია (Forbes 1997 წ 10 მარტი).
    - **უწყვეტი განათლება.** ჩემი აზრით მრეწველობის განვითარებადი დარგი როგორც ამერიკაში, ისე მოედ მსოფლიოში მაღლე იქნება მოზრდილთა შემდგომი

განათლება. მომავლის განათლებული პიროვნება – ეს არის ისეთი ადამიანი, ვინც გრძნობს სწავლის გაგრძელების აუცილებლობას. ეს ახალი განსაზღვრებაა და იგი ჟეცვლის იმ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ.

- **სტუდენტი და სახელმძღვანელო.** სახელმძღვანელოებით სტუდენტი მხოლოდ სტუდენტურ ნაშრომს მოამზდებს. ერთადერთი, რაც შეიძლება შეფასდეს, ეს არის ის თუ რამდენად კარგად სწავლობს იგი და არა ის თუ რამდენად კარგად შეასრულებს საქმეს. ერთადერთი, რისი ჩვენებაც მას შეუძლია, მხოლოდ დაპირებებია.

### ეფექტიანი ხელმძღვანელის 8<sup>1/2</sup> წესი

1. ეფექტიანი ხელმძღვანელი კითხულობს: რა არის გასაკეთებელი? ეს წესი არც ისეთი ტრივიალურია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვნოს. აქ აქცენტირებულია სიტყვა „კითხულობს“. ხელმძღვანელმა წინასწარ უნდა იცოდეს (უნდა იფიქროს, რომ იცის) რა არის გასაკეთებელი.

2. ეფექტიანი ხელმძღვანელი კითხულობს თუ რა უნდა გაკეთდეს საწარმოს ინტერესებისთვის. პირველი და მეორე წესი ორგანიზაციის ხელმძღვანელს მართვისთვის საჭირო აუცილებელი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

შემდეგი ოთხი წესი მიღებული ინფორმაციის ეფექტიან მოქმედებაში გარდაქმნის შესაძლებლობას იძლევა, რადგანაც, ხელმძღვანელი, ჟპირველეს ყოვლისა, მოქმედების ადამიანია.

3. ეფექტიანი ხელმძღვანელი ამზადებს მოქმედების დაწვრილებით გეგმას.

4. ეფექტიანი ხელმძღვანელი პასუხისმგებლობას იღებს მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

5. ეფექტიანი ხელმძღვანელი კომუნიკაციის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას იღებს.

6. ეფექტიანი ხელმძღვანელის ძალისხმევა მიმართულია შესაძლებლობებზე და არა პრიბლებებზე.

შემდეგი ორი წესი ეხება იმას თუ როგორ შეიქმნას ორგანიზაციაში პასუხისმგებლობისა და ანგარიშგების გრძნობა. ეფექტიანი ხელმძღვანელი გრძნობს, რომ ძალაუფლება მას მხოლოდ მანამდე აქვს, სანამ ორგანიზაცია ენდობა (იხ. აგრეთვ კონფუცი).

7. ეფექტიანი ხელმძღვანელი ნაყოფიერ შეხვედრებს მართავს.

8. ეფექტიანი ხელმძღვანელი ფიქრობს და ამბობს „ჩვენ“ და არა „მე“.

შემდეგი ქმედება დრუკერს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ მას იგი წესის რანგში აყავს.

– ეფექტიანი ხელმძღვანელი ჯერ ისმენს და შემდეგ ლაპარაკობს.

### ლიტერატურა:

#### References

The main works of P.Drucker

1. The End of Economic Man: The Origins of Totalitarianism (1939).
2. The Future of Industrial Man (1942).
3. Concept of the Corporation (1945).
4. The New Society (1950).
5. The Practice of Management (1954).
6. Innovation and Entrepreneurship: Practice and Principles (1985).
7. Managing the Non-Profit Organization: Practices and Principles (1990).
8. The Post-Capitalist Society (1993).
9. Managing in a Time of Great Change (1995).
10. Peter Drucker on the Profession of Management (1998).
11. Managing Oneself, Harvard Business Review, March-April (1999).
12. Management Challenges for the 21st Century (1999).
13. The Essential Drucker: The Best of Sixty Years of Peter Drucker's Essential Writings on Management (2001).
14. The Effective Executive Revised (2002).
15. Managing in the Next Society (2002).
16. The Effective Executive in Action (2005).

### Giorgi Bagaturia, Otar Bagaturia The Effective Management Maxims According to Peter Drucker

#### Summary

Peter Ferdinand Drucker was a well-known business thinker, writer, management consultant, and self-described “social ecologist.” Widely

considered to be the father of “modern management,” his 39 books and countless scholarly and popular articles explored how humans are organized across all sectors of society - in business, government and the nonprofit world. Drucker’s books have been translated into more than thirty languages. He also wrote for the Wall Street Journal, the Harvard Business Review, The Economist, etc. His writings have predicted many of the major developments of the late twentieth century. Among his early influences was the Austrian economist J.Schumpeter, who impressed upon Drucker the importance of innovation and entrepreneurship. Drucker also was influenced, in a much different way, by J.M.Keynes, whom he heard lecture in 1934 in Cambridge. Drucker wrote “I suddenly realized that Keynes and all the brilliant economic students in the room were interested in the behavior of commodities, while I was interested in the behavior of people.” Indeed, over his life, Drucker’s writings would be marked by a clear focus on relationships among human beings, as opposed to the number crunching. His books were filled with lessons on how organizations can bring out the best in people, and how workers can find a sense of community and dignity in a modern society organized around large institutions.

Since 1942, when Drucker began to investigate the activity of General Motors, during his life he worked with many major corporations and served as a consultant for various government agencies and non-profit organizations. Drucker was interested in the growing effect of people who worked with their minds rather than their hands. He was intrigued by employees who knew more about certain subjects than their bosses or colleagues and yet had to cooperate with others in a large organization. Drucker taught that management is “a liberal art,” and he infused his management advice with interdisciplinary lessons from history, sociology, psychology, philosophy, culture and religion. He also believed strongly that all institutions, including those in the private sector, have a responsibility to the whole society. Drucker wrote “The fact is that in modern society there is no other leadership group but managers. If the managers of our major institutions, and especially of business, do not take responsibility for the common good, no one else can or will.”

Several ideas run through most of Drucker’s writings:

- Decentralization and simplification. Drucker discounted the command and control model and asserted that companies work best when they are decentralized. According to Drucker, corporations tend to produce too many products, hire employees

they don't need (when a better solution would be outsourcing), and expand into economic sectors that they should avoid.

- A profound skepticism of macroeconomic theory. Drucker contended that economists of all schools fail to explain significant aspects of modern economies.
- Respect of the worker. Drucker believed that employees are assets and not liabilities. He taught that knowledge workers are the essential ingredients of the modern economy.
- The need for "planned abandonment." Businesses and governments have a natural human tendency to cling to "yesterday's successes" rather than seeing when they are no longer useful.
- A belief that taking action without thinking is the cause of every failure.
- The need for community. Early in his career, Drucker predicted the "end of economic man" and advocated the creation of a "plant community" where individuals' social needs could be met. He later acknowledged that the plant community never materialized, and by the 1980s, suggested that volunteering in the non-profit sector was the key to fostering a healthy society where people found a sense of belonging and civic pride.
- The need to manage business by balancing a variety of needs and goals, rather than subordinating an institution to a single value. This idea forms the keynote of his concept of Management by Objectives .
- A company's primary responsibility is to serve its customers. Profit is not the primary goal, but rather an essential condition for the company's continued existence.

There are some quotes of Drucker

- "In fact, that management has a need for advanced education - as well as for systematic manager development - means only that management today has become an institution of our society."
- "The best way to predict the future is to create it."
- "Management is doing things right; leadership is doing the right things."
- "What's measured improves."
- "Company cultures are like country cultures. Never try to change one. Try, instead, to work with what you've got."
- "Efficiency is doing better what is already being done. "

- “Follow effective action with quiet reflection. From the quiet reflection will come even more effective action.”
- “People who don't take risks generally make about two big mistakes a year. People who do take risks generally make about two big mistakes a year.”
- “The most important thing in communication is hearing what isn't said.”
- “The purpose of business is to create and keep a customer.”
- “There is nothing so useless as doing efficiently that which should not be done at all.”
- “When a subject becomes totally obsolete we make it a required course.”
- “Rank does not confer privilege or give power. It imposes responsibility.”

**Key words.** P.Drucker, “modern management,” J.Schumpeter, J.M.Keynes, behavior of commodities, behavior of people, growing effect of people, management as “a liberal art”, interdisciplinary lessons, a responsibility to the whole society, leadership, decentralization, simplification, a profound skepticism of macroeconomic theory, respect of the worker, "planned abandonment," the need for community, "end of economic man," a "plant community", Management by Objectives, the purpose of business, to create and keep a customer, to serve the customers, efficiency, responsibility.

**Reviewer –** PhD Teimuraz Gorshkov, the head of Marketing Center of “Georgian railway” Ltd.

### **Багатурия Георгий Шотаевич, Багатурия Отар Георгиевич Петер Друкер о принципах эффективного менеджмента**

#### **Резюме**

В статье рассмотрена деятельность Петера Друкера, выдающегося теоретика и практика современного менеджмента, автора множества книг по менеджменту, консультанта деловых и правительственные кругов по вопросам управления. Широко известный как отец “современного менеджмента,” его 39 книг и множество академических и популярных статьи показали, как люди организованы в бизнесе, правительстве и некоммерческом мире.

Книги Друкера были переведены на более чем тридцать языков. Он также писал статьи для ведущих финансовых изданий. Он предсказал многое из главных событий конца двадцатого столетия. Среди его ранних учителей был австрийский экономист Дж.Шумпетер, который внушил Друкеру важность новаций и предпринимательства. На Друкера также повлиял, но в отрицательном смысле Дж.М.Кейнс. Посетивший его лекцию в 1934 в Кембридже. Друкер написал: “я внезапно понял, что Кейнс и все его блестящие студенты экономисты заинтересовались поведением предметов потребления, в то время как я заинтересовался поведением людей”. Действительно, все труды Друкера были отмечены ясным вниманием на отношениях среди людей, в противоположность сухим расчетам. Его книги были заполнены уроками о том, как лучше организовать людей и компании, как рабочие могут найти смысл и достоинства сообщества в современном мире.

С 1942, когда Друкер начал исследовать деятельность “Дженерал Моторс”, его жизнь была связана работами со многими ведущими корпорациями мира, он служил также консультантом для различных правительственные учреждений и некоммерческих организаций. Друкер интересовался растущей эффективностью людей, которые работали больше головой, а не руками, служащими, которые знали больше об определенных предметах, чем их руководители или коллеги и все же должны были сотрудничать с другими в большой организации. Друкер учил, что управление – «либеральное искусство» и он добавлял своим советам междисциплинарные уроки из истории, социологии, психологии, философии, культуры и религии. Он также полагал, что у всех учреждений, включая частные компании, ответственны перед всем обществом. Друкер писал: “факт то, что в современном обществе нет никакой другой группы лидеров, кроме менеджеров. Если менеджеры наших ведущих учреждений, и особенно бизнес-компаний, не возьмут ответственность за общественную пользу, то никто другой не сможет сделать это”.

Основные идеи Друкера, которые он всегда отмечал:

- Децентрализация и упрощение. Друкер утверждал, что компании работают лучше всего, когда они децентрализованы. Согласно Друкера, корпорации имеют тенденцию производить слишком много продуктов, нанимать служащих, в которых они не нуждаются (когда лучшее

решение произвело бы на стороне), и расширяться в экономические сектора, которых они должны избежать.

- Глубокий скептицизм макроэкономической теории. Друкер утверждал, что экономисты не в состоянии объяснить существенные аспекты современных экономических систем.
- Уважение рабочего. Друкер полагал, что служащие - активы компании, а не пассивы. Он учил, что рабочие знания - существенные компоненты современной экономики.
- У фирм и правительства есть естественная человеческая тенденция цепляться "за вчерашние успехи" вместо того, чтобы видеть, что они больше не полезны.
- Причина любой неудачи – необдуманные действие.
- Потребность в обществе. В начале карьеры Друкер предсказал "конец экономического человека" и создание "сообщества предпринимателей", где общественные потребности людей могли быть удовлетворены. Он позже признал, что сообщество предпринимателей невозможно осуществить, и позже (к 1980), предположил, что предложение в некоммерческом секторе было ключом к созданию здорового общества, где люди нашли смысл принадлежности к гражданскому обществу.
- Потребность управлять бизнесом, уравновешивая множество потребностей и целей, вместо того, чтобы подчинить учреждение единственной ценности. Эта идея формирует Управление по Целям.
- Первичная ответственность компании состоит в том, чтобы обслужить своих клиентов. Прибыль не первичная цель, а скорее существенное условие для длительного существования компании.

В статье приводятся высказывания Друкера, характеризующие его подход к проблеме менеджмента,

- "Фактически, у менеджмента есть потребность в высшем образовании - так же как в систематическом развитии менеджеров. Это означает только то, что менеджмент сегодня стал учреждением нашего общества".
- "Лучший способ предсказать будущее состоит в том, чтобы создать его".

- "Менеджмент делает вещи правильно; лидерство делает правильные вещи".
- "Что измерено, улучшается".
- "Культуры компании походят на культуры страны. Никогда не попытайтесь изменить ее. Попробуйте, вместо этого, работать с тем, что Вы имеете".
- "Эффективность добивается большего успеха даже там, что уже сделано".
- "Действуйте тихо, но эффективно. Тихим действием достигается еще большая эффективность".
- "Люди, которые не рисуют вообще, делают приблизительно две больших ошибки в год. Люди, которые действительно рисуют вообще, делают приблизительно две больших ошибки в год".
- "Самая важная вещь в коммуникации слышит то, что не сказано".
- "Цель бизнеса состоит в том, чтобы создать и держать клиента".
- "Нет ничего столь бесполезного как эффективное выполнение того, что не должно быть сделано вообще".
- "Когда предмет становится полностью устаревшим, мы делаем его необходимым".
- "Должность не дает привилегию или власть. Она налагает ответственность".
- 

**Ключевые слова.** П.Друкер, «современный менеджмент», Дж.Шумпетер, Дж.М.Кейнс, поведение предметов потребления, поведение людей, растущая эффективность людей, управление – «либеральное искусство», междисциплинарные уроки, ответственность перед всем обществом, лидерство, децентрализация, упрощение, глубокий скептицизм макроэкономической теории, уважение рабочего, «вчерашние успехи», потребность в обществе, «конец экономического человека», «сообщества предпринимателей», Управление по Целям, цель бизнеса, создать и держать клиента, обслуживание своих клиентов, эффективность, ответственность.

**Рецензент.** Доктор технических наук, начальник центра маркетинга ООО «Грузинская железная дорога» Теймураз Горшков.

## ოთარ ბადათურია, ანი ქლენტი კოლიტიკური რეზიმისა და ეკონომიკური პათოლოგიურის შრთიერთმიმართება

სახელმწიფოსა თუ საზოგადოებაში თავისუფლების ხარისხისა და სამეწარმეო საქმიანობის აქტივობასა და შესაბამისად ეკონომიკური კეთილდღეობის ურთიერთმიმართებაზე არაერთქმის თქმულა, მაგრამ საერთო აზრის კრისტალიზაციამდე ჯერ შორია, თუმცა არსებობს ერთი დაკვირვება, რომლის მიხედვითაც მდიდარი, წარმატებული, დემოკრატიული სახელმწიფოები ნაკლებად ერევიან ეკონომიკურ და სამეწარმო საქმიანობაში. ჩნდება კითხვა, სახელმწიფოები ნაკლებად ერევიან ეკონომიკურ და სამეწარმო საქმიანობაში იმიტომ რომ მდიდრები არიან, თუ მდიდრები არიან იმიტომ რომ ნაკლებად ერევიან?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან უკელა სახელმწიფოს თავისი ტაქტიკა და სტრატეგია აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის და არ არსებობს რადაც ერთი დადგენილი ქვეყნის აყვავების გეგმა. სხავადასხვა სახელმწიფოებმა მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება მიმართონ განსხვავებულ რეფორმებს, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების განსხვავებულ რეჟიმს და ეს განაპირობებდეს მათი ეკონომიკური ზრდის ტემპის მატებას ან კლებას.

ჩვენ დროში სახელმწიფოთა უმრავლესობა დეკლარირების დონეზე დემოკრატიისკენ მისწრაფვის, თუმცა ხშირ შემთხვევაში დეკლარირებულ დემოკრატიას რეალურ დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს გარდა გაცხადებულ კურსში სიტყვა “დემოკრატიისა”, ასე მაგალითად ჩინეთის ან მიოუმეტეს ჩრდილოეთ კორეის “სახალხო დემოკრატია”, “მსოფლიოში უკელაზე დემოკრატიული ჯამახირი” ლიბიაში, “სუვერენული დემოკრატია” რუსეთში თუ “შუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების დემოკრატია” საბჭოთა კავშირში, ან “ისლამური დემოკრატია” ირანში, ამ რეჟიმებისათვის საერთოა ის რომ უკელა მათგანი თავს არა თუ დემოკრატიად აცხადებს, არამედ უკელაზე სრულფასოვანი და ნამდვილი დემოკრატიის (ასე ვთქვათ უკელაზე დემოკრატიული დემოკრატიის)

პრეტენზიაც აქვს. რეალურად დემოკრატიული სახელმწიფოები იშვიათად ირჩევენ სიტყვა “დემოკრატიის” შემცველ სახელებს, ეს დაახლოვებით იგივეა ვინმებ რომ საკუთარი თავი შემდეგნაირად გაგაცნო - პატიოსანი ადამიანი სახელი გარი, ან არაკორუმპირებული მინისტრი ესა და ეს, რა თქმა უნდა მსგავს სიტუაციაში ნორმალურ ადამიანთა უმეტესობას სრულიად საპირისპირო შთაბეჭდილება შეექმნება, თანაც სავსებით საფუძვლიანად მთუმეტეს თუ აღნიშნულ პატიოსნებას ან არაკორუმპირებულობას დამატებითი მახასიათებლით გავაძლიერებთ, მაგალითად “თავისებურად პატიოსანი” ან “სპეციფიურად არაკორუმპირებული”, არა იმიტომ რომ ადამიანი შეუძლებელია პატიოსანი იყოს, ან მინისტრი A PRIORY კორუმპირებულია, არამედ იმიტომ რომ, ეს ჩვეულებრივი, სტანდარტული, სავალდებულო მოთხოვნაა და ამ მოთხოვნისადმი შესაბამისობა თავისთვად იგულისხმება. ძალაუწებურად ილიასეული “კაცური კაცის” კრიტიკა გვაგონდება. ასევეა დემოკრატიასთან მიმართებაშიც. ა.შ.შ-ს, გაერთიანებულ სამეცნის, საფრანგეთის რესპუბლიკას არ ჭირდება ერქვას “დემოკრატიული” ვინაიდან იგი თავისთვად დემოკრატიულია, ხოლო არადემოკრატიულ ქვეყნებს კი მხოლოდ ჰქიიათ “დემოკრატიული”, შედარებისთვის კაპიტალისტურ-დემოკრატიული დასავლეთ გერმანია Bundes Deutsche Republik (გერმანის ფედერაციული რესპუბლიკა) და კომუნისტური Demokratische Deutsche Republik (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). რაც შეეხება პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმის ბიზნესთან და ქვეყნის კეთილდღეობასთან მიმართებას, როგორც უკვე აღინიშნა, სიმდიდრე, კაპიტალიზმი, დემოკრატია და ინოვაციები ძირითადად ერთად გვხვდება. ლიბერალების აზრით დემოკრატია განაპირობებს კეთილდღეობას, ანტი ლიბერალების აზრით კი კეთილდღეობა - დემოკრატიას. კონსერვატორებს მიაჩნიათ რომ ერთი მეორეს არ განაპირობებს, მაგრამ დემოკრატია შესაძლებელია მხოლოდ იქ სადაც საზოგადოების კეთილდღეობის დონე საქმაოდ მაღალია და ამდენად ჯერ ეკონომიკა უნდა ავალორძინოთ და შემდეგ გზა მივცეთ დემოკრატიას. მემარცხენებს, მარქსისტებს ანუ სოციალისტებს მიაჩნიათ რომ, განვითარება ანტიგონისტური კლასების დაპირისპირების შედეგია, ამავე დროს ეკონომიკა

ბაზისია, ხოლო პოლიტიკა ზედნაშენი, შესაბამისად ექონომიკური განვითარების კვალდაკვალ ხედგა ფორმაციების შეცვლა (თუნდაც რევოლუციის გზით), მათი შეხედულებით საზოგადოებრივი კეთილდღეობა მხოლოდ სახალხო დემოკრატიისა და პროგრესული მწარმოებელი კლასის ანუ პროლეტარიატის დიქტატურის მეშვეობით მიიღწევა. არსებობენ სხვებიც, რომელთაც მიაჩნიათ რომ დემოკრატია და კეთილდღეობა ერთმანეთთან კავშირში არაა. ზოგადად ამ შეხედულებათა თუნდაც ზედაპირული ანალიზისათვის აუცილებელია ისტორიული პროცესის განვითარებას გადავავლოთ თვალი.

ობიექტური ისტორია დაახლოვებით შემდეგნაირად გამოიყურება: ოქესანების, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების, რეფორმაციის და განმანათლებლობის შედეგად თუ უბრალოდ დაახლოვებით იმავე პერიოდში დაწყებულმა პროცესებმა მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე და განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნეებში რამდენიმე მრვლენის პარალელურ წარმოშობასა და განვითარებას მისცა ბიძგი: მედიცინის განვითარებას მოჰყვა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, ნაოსნობის განვითარებას – ვაჭრობის აყვავება, ტექნიკის განვითარებას – სამრეწველო რევოლუცია, ბეჭდვას – საზოგადოებაში განათლების დონის ზრდა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის დახვეწას – მომსახურების განვითარება, ეპიდემიებს – პიგიენის განვითარება, ყოველივე ამან სიციალური თანაცხოვრების ორგანიზების ტრანსფორმაციის ორ პარალელურ ნაკადში მოიყარა თავი: კერძო საკუთრებასა და ინიციატივაზე დაფუძნებულ, ეკონომიკურ ლიბერალიზმში, რომელსაც კაპიტალიზმი ეწოდება და ძალაუფლების დანაწილება–შეზღუდვაზე, ადამიანის უფლებებზე, თავისუფლებებსა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ ლიბერალიზმში, რომელსაც დემოკრატია ეწოდება. შედეგად აღმოჩნდა რომ, ქვეყნები რომლებშიც დემოკრატიაა მთლიანობაშიც უფრო მდიდრები არიან და საზოგადოების ცალკეული წევრებიც უკეთ ცხოვრობენ და პირიქით, იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოება მთლიანობაში უფრო მდიდარია და ცალკეული ადამიანებიც უკეთ ცხოვრობენ, ანუ რომლებშიც სახეზეა განვითარებული კაპიტალიზმი, განვითარებულია ასევე დემოკრატია. ერთი შეხედვით

ქველაფერი ნათელია, მაგრამ სწორედ აქ იწყება დისკუსია: მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს რომ დემოკრატიამ განაპირობა კაპიტალიზმი, ნაწილი თვლის რომ პირიქით, კაპიტალიზმა განაპირობა დემოკრატია, ხოლო ზოგის აზრით კი დემოკრატია და კაპიტალიზმი ცხოვრების მაღალი სტანდარტებითურთ დაახლოვებით ერთსა და იმავე პერიოდში ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, სრულიად განსხვავებული მიზეზებით წარმოშვა და განსხვავებული ფაქტორების გავლენით განვითარდა, მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა, რელიგიური, კულტურული, რასობრივი, პიროვნული, გენეტიკური, ალბათური და სხვა სუბიექტური ფაქტორებით ამა თუ იმ ქვეყნის ცალკე ეკონომიკის ან პოლიტიკის სფეროში ამა თუ იმ მიმართულებით მიღწეული წარმატებების ახსნის მცდელობა.

გრცელ დისკუსიაში ჩაღრმავების გარეშე შეიძლება მხოლოდ ფაპტის კონსტატაცია მოვახდინოთ: სადაც დემოკრატიაა მირითადად ეკონომიკური ზრდის ტემპიც იქ უფრო მაღალია, რამდენიმე გამონაკლისის გარდა სადაც ავტორიტარული რეჟიმის პირობებში კაპიტალიზმი თითქოს დინამიურად ვითარდება, მაგრამ აქაც ორი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებაა აუცილებელი:

პირველი ისაა რომ, აღნიშნული ავტორიტარული რეჟიმები კაპიტალიზმის განვითარებისათვის დემოკრატიულ რეჟიმებში შექმნილი და დამუშავებული ინსტრუმენტით მექანიკურად (თუმცა ზოგან საქმაოდ წარმატებულად) სარგებლობენ, რაც იმას მიუთითებს რომ მათ არ შესწევთ რეალურად ახალი ინტელექტუალური პროდუქტის ან განსხვავებული ეკონომიკური მოდელის შექმნის უნარი, თანაც მათი განვითარება განპირობებულია ერთი მხრივ დასავლერი ტექნოლოგიებითა და კაპიტალით (რომელიც დემოკრატიული რეჟიმის ქვექნებშია შექმნილი), ხოლო მეორე მხრივ ავტორიტარული რეჟიმის ქვექნებში რესურსის, მათ შორის ადამიანურის, სიიაფით, რაც გამოწვეულია ცხოვრების დაბალი დონით;

მეორე კი ისაა რომ ამგვარი რეჟიმების დემოკრატიზაციის თანავე ეკონომიკური ზრდის ტემპი მატულობს, მიუხედავდ იმისა რომ ცელილებები მხოლოდ პოლიტიკურ სფეროს შექმნა, ხოლო ეკონომიკურს კი არ

შეხებია. თვალსაჩინოებისათვის მაგალითის მოყვანაც შეიძლება:

ჩილეში სალვადორ ალიენდეს სოციალისტურ ექსპრომენტს ეკონომიკის ზრდის ტემპის შემცირება მოჰყვა და ნელვან ზღვარს მიუახლოვდა, მემარჯვენე დიქტატორის, აუგუსტო პინოჩეტის მაცრი, ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ეკონომიკური ზრდა ორნახვარ-ხუთ პროცენტს შეადგენდა, ხოლო პინოჩეტის ძალაუფლებიდან წასვლისა და დემოკრატიის დამყარების შემდეგ ჩილეს ეკონომიკის ზრდის ტემპი ხუთ პროცენტამდე მხოლოდ ეკონომიკური კრიზისების პიგზე ყოფნის დროს ეცემა და უკვე მეოთხედი საუკუნეა ძირითადად საგრძნობლად აღმატება პინოჩეტისეულ მაქსიმუმს. მსაგავსი ფაქტების მოყვანა შეიძლება არგენტინის, ესპანეთის, პორტუგალიის, ტაივანის, სამხრეთ კორეისა და სხვათა მაგალითზე.

მაშა ასე, სადაც დემოკრატიაა იქ ჩნდება და დინამიურად ვითარდება კაპიტალიზმი, ხოლო სადაც დემოკრატია არ არის იქ კაპიტალიზმი შესაზღვრა ვითარდებოდეს, ოფონდ დემოკრატიულ ქავენებში შექმნილი მეთოდებით, და თანაც განვითარება დემოკრატიაზე გადასვლისთანავე ჩქარდება. თავად ის ფაქტი რომ, პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა ავტორიტარულიდან დემოკრატიულზე, ეკონომიკურ სფეროზე ხელშეკრულად, იწვევს ამ უკანასკნელის (ეკონომიკური სფეროს) განვითარების დაჩქარებას, შეტყველებს ეკონომიკის განვითარებისათვის დემოკრატიის მნიშვნელობაზე, ამდენად დემოკრატიისა და კაპიტალიზმის პოზიციური ურთიერთდამოკიდებულება ნათელი უნდა იყოს და ეჭვს არ უნდა ბადებდეს.

არის კიდევ რამდენიმე ასკექტი, მათ შორის ერთერთი მნიშვნელოვანია “პოტენციალთა სხვაობა”, მაგრამ ვიდრე ამ უკანასკნელს განვმარტავდეთ მცირე ჩართვის სახით შემოგთავაზებთ ერთ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ბუნების, განსაკუთრებით კი ფიზიკის კანონები უნივერსალურია, როგორც საკუთრივ ბუნებისათვის, ასევე ტექნიკური და სოციალური სისტემებისათვის, მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესისათვის, უნდა აღინიშნოს ასევე რომ, განსხვავებით სახელმწიფო კანონმდებლობისაგან, სადაც კანონები ადამიანების მიერაა შექმნილი და სუბიექტურია,

ზოგან მოქმედებს ზოგან არა, იცვლება, შეიძლება იქოს კარგი, ცუდი ან უმაქნისი, შესაბამისად არაა სრულფასოვანი და უნივერსალური, ბუნების კანონები ადამიანის მიერ შექმნილი არაა, არაა დამოკიდებული მის ნებასა და გარემოებებზე, ამდენად ობიექტურია და უნივერსალური, მაშ ასე “პოტენციალთა სხვაობას” ფიზიკაში ემყარება თერმოდინამიკისა და ელექტროდინამიკის კანონები, თერმოდინამიკის კანონის მიხედვით თუ იზოლირებულ სისტემაში ორი განსხვავებული ტემპერატურას, ანუ განსხვავებული სითბური პოტენციალის სხეულია, მაშინ უფრო თბილი, ანუ უფრო აქტიური, ანუ უფრო მაღალი პოტენციალის მქონე სხეულიდან ხდება სითბოს გადადინება უფრო ცივი, ანუ უფრო პასიური, ანუ უფრო დაბალი პოტენციალის სხეულისკენ, და ეს პროცესი გრძელდაბა მანამ სანამ მათი ტემპერატურა, ანუ სითბური პოტენციალი არ გათანაბრდება, ამის შემდგომ წყდება სითბოს მოძრაობა. თუ ამგვარ ჩაკეტილ სისტემად მოვიაზრებთ მთელ სამყაროს ან თუნდაც რომელიმე გალაქტიკას, ან მაგალითად მზის სისტემას, მივიღებთ შემდეგ სურათს: როდესაც მზე გამოიმუშავებს და ამოწურავს საწვავის მარაგს, ანუ როდესაც სისტემაში შეწყდება სითბოს შემოდინება, იგი თავიდან პვლავაც სისტემას ყველაზე თბილი ობიექტი იქნება, მაგრამ დროთა განმავლობაში მოხდება სითბოს გათანაბრება სისტემას შემადგენელ ელემენტებს შორის, რის შემდეგაც დადგება სითბური სიკვდილი. იგივე ითქმის ელექტროდინამიკაზე, თუ იზოლირებულ სისტემაში ორი სხეულია რომელთაგან ერთს მაღალი ელექტრული პოტენციალი აქვს ხოლო მეორეს დაბალი, წარმოიქმნება ელექტრო-მაგნიტური ველი და მოხდება ელექტრო-მაგნიტური ენერგიის გადაცემა მაღალი პოტენციალის სახეულიდან დაბალი პოტენციალის სხეულისკენ, ანუ წარმოიშვება ელექტროდენი, როდესაც პოტენციალები გათანაბრდება დადგება ელექტრო-მაგნიტური სიკვდილი. ამდენად პოტენციალთა სხვაობა განაპირობებებს დინამიკასა და განვითარებას, ანუ სიცოცხლეს.

ანალოგიურად მაღალი პოტენციალის ქვეყნები ავრცელებენ თავის გავლენას დაბალი პოტენციალის ქმარებზე, სადაც მეტია კაპიტალი იგი გადაედინება იქით სადაც იგი ნაკლებია, სადაც მეტია მუშახელი იგი მიედინება

იქით სადაც მუშახელია ნაკლები, და ა.შ. უფრო მეტიც იგივე კანონი მოქმედებს საზოგადოების შიგნითაც: ფული მიედინება მდიდრებიდან დარიბებისკენ ხოლო მომსახურება მომსახურეთაგან მომხმარებლისკენ. როდესაც ყველა ქვეყნის პოტენციალი გათანაბრდება, ან ყველაზე მაღალი პოტენციალის ქვეყნა თავის გავლენას განავრცობს გლობალური მასშტაბით მთელს მსოფლიოზე, ბოლოს და ბოლოს ცხოვრების დონე გათანაბრდება მთლიანად დედამიწაზე, და როდესაც მთელი ფული თანაბრად გადანაწილდება, მიიღწევა ცხოვრების ერთნაირი დონე არა მსოფლი ქვეყნებს შორის არამედ ქვეყნებს შიგნითაც, მოხდება პოტენციალთა გათანაბრება და განვითარება შეწყდება, დაგდება სოციალური სიკვდილი. საბეჭნიეროდ სოციალური სისტემები როგორიცაა უკრონმიკა, ბიზნესი თუ სახელმწიფო (თუნდაც მთელს დედამიწაზე ერთი სახელმწიფო არსებობდეს), არაა ჩაკეტილი სისტემები და ხდება დამატებითი პოტენციალების გაჩენა, ადამიანები იგონებენ ახალ და ახალ მომსახურებას, უფრო მეტიც ისინი კვლავ და კვლავ იბადებიან და რაც არ უნდა გადავანაწილოთ დღეს, ხვალ დაიბადებიან სხვები ვისაც განაწილებაში მონაწილეობა არ მიუღიაო და და შესაბამისად პოტენციალთა სხვაობა შენარჩუნებული იქნება.

სამწუხაროდ პოტენციალთა სხვაობა ყველაზე თვალსაჩინოდ გამოიხატება მატერიალურ კეთილდღეობაში და ყოველთვის იქნება საფუძველი სხვადასხვა გამოინაბრებლურ-ეგალიტარული იდეებისათვის. სწორედ აქ იმაღება საფრთხე, ვიდრე არსებობენ მდიდრები და დარიბები, იარსებებენ კეთილი ადამიანები, რომელთაც ამ უსამართლობის აღმოფხვრა ენდომებათ, კაცობრიობამ რამდენიმე მსგავსი ექსპერიმენტი შევე იხილა, მათ შორის დღეისათვის ყველაზე თვალსაჩინო და ჯერაც დაუსრულებელი კუბა და ჩრდილოეთ კორეა.

მაგრამ თუ ყოველივე ზემოსხენებული მართალია, რატომ არაა ნათელი ყველასათვის და კვლავაც რატომ აქვს ადგილი დისკუსიებსა და ექსპერიმენტებს? აქ სამი ასპექტი უნდა გამოვყოთ: ჯერ ერთი დისკუსია მიმართულია მმართველობითი ტაქტიკის საკითხებზე, ხოლო ექსპერიმენტები კი ძირითადად ლოკალური ხასიათის საკითხებს გადაჭრაზე, ასე ვთქვათ ტაქტიკაზე, აღიარებული სტრატეგიის ფარგლებში, მაზნების მიღწევის ეფექტიანობის გაზრდისათვის; მეორეც ესაა

ადამიანებისათვის, განსაკუთრებით ინტელიგენციისა და სტუდენტობისათვის დამახასიათებელი უტოპიზმის ზღვარს მიახლოვებული იდეალიზმი, მათ თანასწორობა ესმით არა როგორც უფლებებისა და შესაძლებლობების არამედ როგორც სოციალური და მატერიალური მდგრამარეობის ერთნაირობა და არ სურთ გაიგონ მატერიალური არათანაბრობის ბუნებრივობა, მათი აზრით ადამიანებს ერთნაირად აქვთ უფლება იცხოვრონ ბედნიერად (ბედნიერებას კი მატერიალური კრიტერიუმით საზღვრავენ), დამოუკიდებლად ნიჭიერებისა, განათლებისა, შრომისმოვარეობისა და იღბლიანობისგან, და ვერ ხვდებიან რომ, მათი იდეების რეალიზება უნიჭო, გაუნათლებელი და ზარმაცი უშუშევრების ნიჭიერ განათლებულ და შშრომელ ადმიანებთან მატერიალურ გათანაბრებას გამოიწვევს, რაც არამარნია ვინმეს სამართლიანად მოეხვენოს; მესამე კი ბანალური და სუბიექტურია, ძალაუფლების მქონე ხალხს, განსაკუთრებით ავტორიტარულ ქვეყნებში სურთ ადამიანის აქტივობასა და კეთილდღეობაზე კონტროლი რათა უზრუნველყონ, მათი მორჩილება და ამდენად თავისი როგორც პოლიტიკური ისე მატერიალური მიზნების რეალიზება; სამივეს მნიშვნელოვანწილად ერთვის ბანალური არაპროფესიონალური რეჟიმებისთვისაა დამახასიათებელი.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასაექტი. გასაგებია რომ, დემოკრატია და ეკონომიკური კეთილდღეობა ძირითადად ერთად გვხვდება, მაგრამ ისმის კითხვა რატომ? რა ლოგიკური საფუძველი აქვს ამგვარ თანხვედრას? და აქაც პრინციპში ყველაფერი საკმაოდ მარტივადაა. სადაც პოლიტიკური თავისუფლებაა იქვეა სოციალური თავისუფლება ვინაიდან რაკი სახელმწიფო საზოგადოების ცალკეულ წევრებს კუდში არ დასდევს და ათავისუფლებს პერსონალური მეურვეობისგან, იგი ასევე პასუხისმგებლობას იხსნის მის ცხოვრებაზე, და ამდენად ადამიანი თავისუფლება ხელდებისაგან, იგი თავად არის პასუხისმგებელი თავის თავზე, არავინ ეუბნება რა გააპეთოს, შესაბამისად კერძო ინიციატივისათვის გზა სხინდია. ადამიანები, განსაკუთრებით კი ინიციატივიანი ადამიანები, ფიქრობენ იმაზე თუ როგორ შეცვალონ არათუ მხოლოდ თავისი ცხოვრება, არამედ გარემო და საზოგადოება უკეთესობისკენ, ამდენად რაკი ინიციატივა შეუზღუდავია

ბიზნესების რაოდენობა იზრდება არა ბაზრის ერთ რომელიმე სეგმენტში ახალი მონაწილეების შესვლით, არა არსებული კეთილდღეობის გადანაწილებით, არამედ ბაზრის ახალი სეგმენტების შექმნით, ახალი პროდუქტებისა თუ მომსახურების მომხმარებელთათვის შეთავაზების მეშვეობით, ამდენად იქმნება ახალი მომხმარებელი ახალი მომსახურებისა თუ პროდუქტებისათვის, იქმნება ახალი, დამატებითი კეთილდღეობა, ადამიანები მდიდრდებიან არა სხვისოვის რაიმეს წართმევის, არამედ რაიმეს მიცემის გზით. მოკლედ ამბგარად ბიზნესი მზარდი ტემპით ვითარდება და ამოძრავებს, აღიძებს, აცოცხლებს ეკონომიკას და მთლიანად სოციალურ სისტემას. ამ დისტერალური შეხედულების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სერ უინსტონ ჩერჩილის გამოხატვამის თავისუფალ პერიფრაზს – ზოგს ბიზნესი მიაჩნია ცოფიანი ძაღლების ხროვად, რომლებიც უნდა დავხოცოთ (მემარცხენები), ზოგს მეწველ ძროხად, რომელიც უნდა ვწველოთ (კონსერვატორები), სინამდვილეში კი ესაა ლოკომოტივი რომელსაც საზოგადოება და ქვეყანა მომავლისა და კეთილდღეობისკენ მიყავს (ლიბერალები)

### ლიტერატურა:

#### References

1. Blanchard O. Macroeconomics. 2<sup>nd</sup> edition. Prentice Hall. 2000
2. Sacks J.D. and Larrain F.B. Macroeconomics in the Global Economy. Hemel Hempstead. Harvester Wheatsheaf. 1993
3. Mankiw N.G. Macroeconomics. 4<sup>th</sup> edition. Worth. 1999
4. Macroeconomics. Study Guide. University of London. 2001

**Otar Bagaturia, Ani Zhgenti**

**The relationship between the political regime and economical welfare.**

#### Summary

According to modern researches rich successful democratic countries have less interference in countries' enterprise activity. There comes a question:

Countries interfere less in the system because they're rich or they're rich because they interfere less?

There is sharp discussion about above-mentioned subject not only between various ideological systems as liberalism, Marxism, conservatism, neo-liberalism, neo-conservatism, social-democratism and others but inside each of ideological systems. There is no wonder about it, if a certain answer existed – united model of economical welfare would be approved by every country. But that's only at the first sight. Actually in countries of liberal economics discussion and political struggles are held about tactical field, as for strategy basically the agreement is reached. Countries of non-liberal economics are also characterized with authoritarian government regime and for them economics are less important; most attention is paid to political strength, the target of which is maintaining power and control on every social field and welfare of individuals, including enterprising activities. Although, on the level of declaration, every authoritarian regime calls itself as a “democracy” regime with certain definitions. E.g. “Sovereign Democracy”, “National Democracy” etc. Even more - claims about advantage of its democracy to western bourgeoisie democracy. Searching for a special way especially characterizes it If we overview historical process, we'll see that Renaissance, global geographic discoveries, reformation, enlightenment, medicine, hygiene, struggling for rights, trading, producing, science and technique were developing simultaneously in Europe, thus determined creating capitalism, colonial empires and eventually western bourgeoisie liberal democracy and capitalism therefore liberal economics. It's hard to say if one was determined by another, it's not evident at the first sight and discussion is held exactly about this subject.

It is possible to say without proper analyze of common discussion: Where democracy exists, basic economical growth level is at high rate. Including several exceptions where during some authoritarian regimes capitalism develops but its essential to take two important notifies into account. First one: developing capitalism during mentioned regimes are determined with western technologies and capital and also with cheapness of local resources including workers that is determined with low level of life conditions. And second one: rate of economical growth is increased during process of democratization of such regimes despite the fact that changes covered only political field and not economical. For example, in Chile social experiment of Salvador Aliende was followed by reducing rate of economical growth

and approached threshold of zero. During regime of right-wing dictator Augusto Pinochet economical growth was 2.5-5% and after changing regime of Pinochet and founding democracy mark of economical growth was dropping to 5% only during peaks of economical crises and it has been above maximum of the regime of Pinochet for past 25 years. Such facts can be brought using examples of Argentina Spain Portugal Taiwan South. Korea and others.

Therefore, where democracy exists capitalism develops dynamically as well and where democracy doesn't exist, its development is prevented, but while passing to democracy the process becomes faster. This point to the meaning of democracy in developing economics.

One of the most important aspects is “difference between potentials”. As in physics, in economics it moves and causes development, while its absence causes stagnation but differently from physics it's impossible to eradicate it in economics. There are some other equalizer-egalitarian ideas. Till the rich and the poor people exists kind people will exist as well who will have a desire to eradicate this unjustness. Mankind witnessed several such experiments, most evident and yet unfinished examples are Cuba and Northern Korea.

In democratic society initiative is unlimited. Number of businesses is growing not by entering new participants in certain segments of market, not by distribution of welfare but by creating of new segments of the market, by introducing new products and services to customers. People get rich not by taking away something from others but by giving something to other people. The free citation of words of Sir Winston Churchill illustrates these liberal views: “Some consider business pack of rabies dogs that we have to kill (the left-winged) and some consider it a milk cow from which we have to receive milk (conservatives) but actually it's a locomotive that leads society and country to future and welfare (liberals).

**Key words.** Intervention by government into enterprise activity, ideological system, liberal economics, non-liberal economics, authoritarian regime, democracy, rate of economical growth, development of capitalism, cheapness of local resources, Chile, Aliende, Pinochet, “difference between potentials”, movement, stagnation, equalizer-egalitarian ideas Cuba,

Northern Korea, initiative, creating of new segments of the market, Churchill, rabies dogs, milk cow, locomotive.

**Reviewer** – professor Guram Jolia, Georgian Technical University

**Багатурия Отар Георгиевич, Жгенти Ани Антоновна  
Взаимосвязь политического режима и экономического  
благосостояния**

**Резюме**

Согласно существующему наблюдению, богатые, успешные, демократические страны меньше вмешиваются в экономическую и предпринимательскую деятельность. Возникает вопрос: Государства меньше вмешиваются в экономическую и предпринимательскую деятельность, поскольку они богаты, или они богаты поскольку меньше вмешиваются.

В связи с обозначенным постулатом существует дискуссия не только между представителями разных идеологических систем, таких как либерализм и Марксизм, консерватизм и неолиберализм, неоконсерватизм и социал-демократия и др., но и внутри каждой из них. В этом нет ничего удивительного, в действительности, если бы существовали однозначные ответы, единая модель экономического благоденствия давно была бы принята во всех странах. Хотя это лишь на первый взгляд, на самом деле в странах либеральной экономики дискуссия и политическая борьба ведется по вопросам тактики, а в вопросе стратегии в целом существует согласие. В странах нелиберальной экономики к тому же господствуют авторитарные режимы для которых экономика второстепенна. В этих странах главное политическое господство, цель которого удержание власти и контроль над всеми сферами социальной жизни, в том числе над предпринимательской деятельностью и благосостоянием отдельных индивидов. Хотя они позиционируют как «демократии», но при этом уточняют свою особенность, как например «суворенная», «народная» и пр. При этом они подчеркивают свое превосходство над западной

буржуазной демократией, для них также свойственен поиск особого пути.

Оглядываясь на исторический процесс, мы видим что Ренессанс, Великие Географические Открытия, Реформация, Просвещение, медицина, гигиена, борьба за права, торговля, промышленность, наука и техника развивались в Европе параллельно друг другу, вследствие чего и возникли капитализм, колониальные империи, западная буржуазная либеральная демократия и либеральная экономика. Трудно сказать было ли одно вызвано другим или наоборот, и если да то, что было вызвано чем, об этом и ведется дискуссия.

Не углубляясь в обширную дискуссию, возможна лишь констатация факта: там, где развита демократия, темп экономического роста обычно выше, за исключением некоторых случаев, где экономика развивалась динамично при авторитарных режимах, но тут необходимо учесть два очень важных аспекта:

Во-первых, при авторитарных режимах развитие капитализма обусловлено иностранными, западными технологиями и капиталом, при дешевизне местных ресурсов, в том числе человеческих, что подтверждается низким уровнем жизни;

Во-вторых, при демократизации обозначенных авторитарных режимов, темп экономического роста возрастает, хотя изменения коснулись только политической сферы, экономической же не касались.

Примером вышеизложенного является Чили: при левом эксперименте Сальвадора Альянде темп экономического роста постоянно снижался и приблизился к нулевому показателю. В суровых условиях режима жесткой право-консервативной диктатуры Аугусто Пиночета темп экономического роста составлял 2,5 – 5,5 %. После ухода Пиночета из власти и установления в стране демократии тот же показатель, на протяжении четверти века, обычно выше и понижается на пике экономического кризиса. Подобные факты можно вспомнить на примерах Аргентины, Испании, Португалии, Тайваня, Южной Кореи и др.

Соответственно там, где развивается демократия, развивается и капитализм, при отступлении от демократии замедляется экономическое развитие, при переходе же к демократии оно ускоряется, что определенно указывает на причинно-следственную связь.

Еще один аспект это «Разность Потенциалов», также как в физике ее наличие и в экономике определяет движение и развитие, отсутствие

же предопределяет стагнацию, хотя в отличие от физики, в экономике ее искоренение невозможно.

Нельзя не отметить наличие разных эгалитарно-уравнительных идеи, пока существует разница благосостояния между богатыми и бедными, будут существовать добрые люди желающие искоренить неравенство. Человечество давно наблюдает за несколькими экспериментами подобного толка, примером которых могут послужить Куба и Северная Корея

В демократичном обществе инициатива не ограничена. Бизнес растет не вступлением новых участников в определенный сегмент рынка, не распределением богатства, а созданием новых сегментов рынка, появлением новых продуктов и услуг. Люди становятся богаче не тем что отнимают что-то у других, но созданием чего-то нового для других. Для иллюстрации такого либерального взгляда можно привести слова Уинстона Черчилля – некоторые считают бизнес сворой бешеных собак, которых надо уничтожать (левые), некоторые – коровами, которых надо доить (консерваторы). А на самом деле это локомотив, который ведет общество и страну к процветанию (либералы)

**Ключевые слова.** Вмешательство государства в экономическую деятельность, идеологическая система, либеральная экономика, нелиберальная экономика, авторитарный режим, демократия, темп экономического роста, развитие капитализма, дешевизна местных ресурсов, Чили, Альянде, Пиночета, «Разность Потенциалов», движение, стагнация, эгалитарно-уравнительные идеи, Куба, Северная Корея, инициатива, созданием новых сегментов рынка, Черчилль, бешеные собаки, коровы, локомотив.

**Рецензент** - Профессор Гурам Джолия, Грузинский технический университет

## თემურ თოღუა საქართველოს სახელმწიფო მართვის პროგლემები და პრსპექტივები

სახელმწიფო დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოქალაქეთა ინტერესების დაცვას, ზოგადსაკაცობრიო, ნაციონალური და სოციალური დირექტულებების კონსლიდაციას უზრუნველყოფს. სახელმწიფო თავის ამოცანებს სახელმწიფოებრივი ადმინისტრირების სისტემის მეშვეობით ახორციელებს. სახელმწიფო მართვის პროცესი თანამდებობის პირთა საქმიანობაში ვლინდება და სახელმწიფოს მიერ პრაქტიკულად რეალიზდება. სწორედ, ეს განასხვავებს სახელმწიფო სამსახურს სამოქალაქოსაგან, რომელიც მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ასოციაციათგან წარიმართება.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სახელმწიფო მართვის დინამიზმზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს სამეცნიერო-ტექნიკური და პოლიტიკური პროცესები. თუ XX საუკუნეში ბიუროკრატიის საქმიანობა პროცედურული საშუალებებით, კონტროლირებითა და პოლიტიკური ხეიტრალიტეტის დაცვით შემოიფარგლებოდა, XXI საუკუნის დასაწყისში სახელმწიფო მართვის ვექტორი პროგრამულ საკითხებზეა ორიენტირებული.

კარდინალურად შეიცვალა, ასევე სახელმწიფო მართვის სტილი. თუ გასული საუკუნის დასაწყისში მოხელეები სარისკო ქმედებებს, ინოვაციებს გაურბოდნენ, შეცდომის დაშვების ეშინოდათ და რუტინული საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, დღეს კი სახელმწიფო მოხელეები რისკიან ქმედებებს არ გაურბიან, ისინი მუდმივი ინოვაციებისა და ახალი შესაძლებლობების მიებით არიან დაინტერესებულნი [4, გვ. 37].

სახელმწიფო მართვის მეცნიერებაში რაიმე მყარი სქემები და მოდელები არ შეიძლება იყოს. სახელმწიფო მართვის ფენომენი პერმანენტულ თეორიულ-პრაქტიკულ შესწავლას მოითხოვს, რადგანაც ის მუდმივი ცვლილებების, განახლებისა და განვითარების პროცესში იმყოფება.

საქართველოში სახელმწიფო მართვის მეცნიერებამ ოფიციალური აღიარება უკანასკნელ სანქტი პეტერა.

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ზეობის პერიოდში, სახელმწიფო მართვა, როგორც „პარტიის ხელმძღვანელისა და წარმართველის“ როლის სახით განიხილებოდა. სახელმწიფო მართვის ორგანოების კომპეტენციიდან გამოირიცხებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ელექტრობი, როგორიცაა მიზანსწრაფვა, გადაწყვეტილების მიღება, საზოგადოებრივი განვითარების პროგრამების შემუშავება. სახელმწიფო მართვის ამოცანები ფაქტობრივად პარტიული გადაწყვეტილების რეალიზაციამდე იყო დაყვანილი; სახელმწიფო მართვა, მხოლოდ, ადმასრულებელ-განმქარგულებელ საქმიანობას მოიცავდა. ის მკაფიო ფორმულირებით – „ბრძანება – შესრულების“ სახით გამოიხატებოდა. კრიტიკული შენიშვნები, ალტერნაციული იდეები, შემოქმედებითი ინიციატივები სახელმწიფო ადმინისტრირებაში აკრძალული იყო. სწორედ, ამიტომ, პარტიული ნომენკლატურის ეპოქაში, სახელმწიფო მართვა ბურჟუაზიულ, ცრუ შეცნიერებად განიხილებოდა.

დღეს საქართველოში მიმდინარეობს დემოკრატიული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების ფორმირების პროცესი, ყალიბდება ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები. მუშავდება ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მართვის მექანიზმები. ამ მხრივ ქვეყანაში კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგა. 1997წელს მიღებულ იქნა კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, სადაც განსაზღვრულია სახელმწიფო სამსახურის სტატუსი და ფუნქციები [3]. ქართველმა მკვლევარებმა სახელმწიფო მართვის თეორიის საკითხებს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია მიუძღვნეს [1;2]. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მართვის სისტემის შესახებ მეცნიერებლი კონცეფციები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შემუშავებული, არადა მათ გარეშე, მართვის მთელი რიგი თეორიულ-პარაქტიკული პრობლემები ვერ გადაწყვდება. ასეთ საკითხთა სპექტრი კი სახელმწიფო მართვის მეცნიერების სფეროში საქმიანდ ფართო და მრავალია. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემათაგანია სახელმწიფო მართვის ფორმების, სტრუქტურებისა თუ თრიენტაციის განსაზღვრა, რაც ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. მართალია, ამ საკითხების გადაჭრა ერთობ როგორია, ვინაიდან საქართველოში სახელმწიფო მართვის

მეცნიერება, როგორც აღინიშნა, „ახალგაზრდა“ მეცნიერებაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგადად მაინც უნდა იყოს განსაზღვრული ოუნდაც საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემის ორიენტაციის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემისთვის ორი აღტერნატიული გზა არსებობს: ეროვნული და დასავლური. ეროვნული უნდა ეფუძნებოდეს ისტორიულ გამოცდილებას, ნაციონალურ ტრადიციებს, რაც ძალზე მიმზიდველია, რამეთუ თითოეული პატრიოტისათვის, ქვეყნის წარსული წმინდა. მაგრამ რამდენადაც ჩვენში დარღვეულია საზოგადოებრივი ფორმების პერმანენტულობა, შეუძლებელია მართვის წარსული ფორმების თანამედროვე მართვის მექანიზმებისათვის მორგება; მეორე გზაა დასავლური ქვეყნების მართვის სისტემების გამოცდილების გათვალისწინება, რასაც დადგებით და უარყოფითი მხარე აქვს. დასავლური ქვეყნების სახელმწიფო მართვის მდიდარი ტრადიციების გათვალისწინება და მისი ზოგიერთი ელემენტების დანერგვაც საქართველოს მართვის სისტემაში სასარგებლოა, მაგრამ მათი მთლიანად იმიტირება არაეკვიპური იქნება. ვფიქრობთ, ჩვენი ქვეყნის მართვის სისტემა მაშინ გახდება დინამიური და ეფექტური, თუ დასავლური სამყაროს სახელმწიფო მართვის მიღწევები და საუკეთესო მოდელები ეროვნულ ტრადიციებთან იქნება შესამებული.

სახელმწიფო მართვის სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფედერალური და უნიტარული ადმინისტრირების სისტემების კვლევა-ძიებას. როგორც ირკვევა, თანამედროვე საზოგადოებაში შეინიშნება ფედერალური და უნიტარული მართვის სისტემების კონკრეტურის პროცესი [7, გვ. 64-70]. ვფიქრობთ, საქართველოსთვის ოპტიმალური შეიძლება იყოს სახელმწიფო ადმინისტრირების ფედერალური მოდელი ცენტრალიზებული ტენდენციების შენარჩუნებით, რომელიც ეტაპობრივად უნდა გაძლიერდეს, რათა მართვის მექანიზმი ეფექტური და ქმედუნარიანი გახდეს.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ადმინისტრირების ანალიზით ირკვევა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ეფექტურად იფუნქციონირებენ, მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ ამ სახელმწიფოებში ერთმანეთისაგან გამიჯნულია ქერძო და საჯარო სამართლის, ფედერალური და რეგიონული სამსახურები [9, გვ. 105-112]. ჩვენი აზრით, ეს კონცეფციები უნდა დაერთოს საფუძვლად საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემას.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დომინირებს მოსაზრება სახელმწიფო მართვის, როგორც პოლიტიკური ფენომენის შესახებ. დღეს, დასავლეთის ქეყნებში (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) „ნეიტრალური“ ადმინისტრაცია არ არსებობს. საჯარო სამსახური პოლიტიზირებულია: სახელმწიფო აპარატში მაღალი ოანამდებობები პოლიტიზირებულ მოხელეებს უკავიათ [5, გვ. 19-25; 6, გვ. 18-20].

საჯარო სამსახურის მაღალი ეშელონის მოხელეები, გადაწყვეტილების მიღებისას, გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობენ, რაც სახელმწიფო მართვის საქციალიზაციის მქაეთრი გრადაციითაა განპირობებული; სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად იმოქმედონ მართვის ვიწრო სფეროში. ქართული სახელმწიფო ადმინისტრირების პრაქტიკაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიიჩნიჭოს ექსპერტიზას, დისკრეციულ საქმიანობას და სახელმწიფო პროგრამების დამოუკიდებლად შემუშავებას.

დემოკრატიული ქვეყნების სახელმწიფო სამსახურების მრავალწლიანი გამოცდილება მოწმობს, რომ რიგითი სახელმწიფო მოხელეების პოლიტიკური აქტივობა შეზღუდული უნდა იყოს. მათ ფაქტობრივად პოლიტიკური მოღვაწეობა ექრძალებათ, რათა რიგითი მოხელეები ცალკეული პოლიტიკური პარტიების „ტყვეობაში“ არ აღმოჩნდნენ [8, გვ. 96-99; 5, გვ. 58-62].

უკანასკნელ ხანებში, განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო აპარატის მოდელების ფორმირებისას საინტერესო ტენდენციები შეინიშნება: აშშ-ის სახელმწიფო აპარატში, უმრავლესობას ადმინისტრატორ-საქციალისტები შეადგენენ [7, გვ. 98-99], მაშინ როცა, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში, აღნიშნულ აპარატში ფართო პროფილის ადმინისტრატორები – „ჯენერალისტები“ ჭარბობენ [8, გვ. 52-54; 5, გვ. 17-20]. ორივე მოდელს, თავისი სუსტი და ძლიერი მხარე აქვს. სახელმწიფო აპარატში ჯენერალისტების საქმიანობა მართვის საერთო

კოორდინაციის ამოცანებს ამარტივებს; ფართო პროფილის ადმინისტრატორებს ხელეწიფებათ ექსპერტთა შეხედულებების, მათ მიერ წარმოდგენილი წინადაღებებისა თუ პროექტების ტრანსფორმირება, ისინი პოლიტიკოსებთან აქტიურად თანამშრომლობენ, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს დახმარებას უწევენ. ცხადია, ვიწრო პროფილის სპეციალისტებს მასშტაბური პრობლემების გაანალიზება არ ძალუდ. მაგრამ ჯენერალისტებსაც უძნელდებათ მრავალრიცხოვანი ამოცანების გადაჭრა და ამიტომაცაა, რომ ექსპერტები დიდ დროს კარგავენ, რათა მათ პრობლემური საკითხები მარტივი და გასაგები ფორმის სახით მიაწოდონ. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ეწ. „ინტეგრალური იერარქია“, რომლის დროსაც სპეციალისტები და ჯენერალისტები, მაღალი რანგის ადმინისტრატორის ხელმძღვანელობით ერთობლივად საქმიანობენ. ვფიქრობთ, ეს მოდელი უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სახელმწიფო აპარატის ფორმირებისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასევე საკითხი სახელმწიფო მოხელეთა საკარიერო იერარქიის შესახებ. ევროპულ ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი) სახელმწიფო მოხელთა დაწინაურება გასულ საუკუნეში ეტაპობრივად, სამსახურებრივი სტაჟისა და ასაკიბრივი ცენტის გათვალისწინებით ხდებოდა. მაგრამ თანამედროვე ეპოქაში სამსახურებრივი სტაჟი და ასაკიბრივი ცენტი ძირითად კრიტერიუმებად არ ითვლება. ამჟამად განსაკუთრებული უურადღება მქონევა მოხელეთა პროფესიონალიზმს, პირად ინიციატივას, აქტივობასა და ნოვატორულ თვისებებს. სწორედ ეს კრიტერიუმებია განმსაზღვრელი აშშ-ის საჯარო სამსახურის საკარიერო სისტემისათვის, რომელიც დღეისათვის ოპტიმალურადაა აღიარებული. აშშ-ში სამსახურებრივი იერარქიის საფეხურზე წინსევა ავტომატურად არ ხდება. თანამდებობებზე მოხელეთა დაწინაურებისთვის ძირითად კრიტერიუმებად მიჩნეულია მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სახეობა, შედეგი და ხარისხობრივი მაჩვენებელი [7, გვ. 210-223]. ჩვენი აზრით, ამგვარი კრიტერიუმებით უნდა ხდებოდეს ქართული ადმინისტრირების სისტემაში მოხელეთა შერჩევა-დაწინაურება.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ასევე საჯარო სამსახურის სისტემაზე

კონტროლის საკითხს. თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, სახელმწიფო მართვა საპარლამენტო და იუსტიციის სისტემის კონტროლის გარეშე წარმოუდგენელია, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საპარლამენტო უფლებამოსილებით აღჭურვილი ინსტიტუტები – ომბუდსმენებისა და შუამავლებისა, რომლებიც სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობას სწავლობენ. ასეთი საშუამავლო ინსტანციების ფუნქციონირება ხელს უწყობს საპარლამენტო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კოორდინაციას; ანელებს მათ შორის ურთიერთობათა შესაძლო გამწვავებას.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მართვის თეორიის სფეროში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ჯერ აიღევ, მრავალი სამეცნიერო პრობლემა გადაუქრელი რჩება. ასეთ პრობლემათა სპექტრს განეკუთვნება, მაგალითად, სახელმწიფო მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ელემენტების შერწყმის, იერარქიულ ურთიერთობათა რაციონალობისა თუ ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მეთოდების შემუშავების საკითხები.

სახელმწიფო მართვის ქართული სამეცნიერო სკოლის ფორმირებისა და მისი განვითარებისათვის არსებით მომენტად საჯარო ადმინისტრირების მეცნიერების, წარმოებისა და ბიზნესის მართვის მეცნიერების დაახლოების პროცესი გვესახება. ზოგიერთი დასავლელი მეცნიერის აზრით, სამივე ეს სფერო, სამომავლოდ ერთიან სამეცნიერო სისტემაში უნდა გაერთიანდეს; ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო მართვის მეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელი და სასარგებლოცაა, ასევე სამეცნიერო მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა, საჯარო ლექციების ჩატარება, ტრენინგები. უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სპეციალობებზე, სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სახელმწიფო მართვა ინტენსიურად უნდა ისწავლებოდეს და სასწავლო პროგრამების ერთ-ერთი წამყვანი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. სწორედ ასეთი ხასიათის სამუშაოები ჩატარებს ამერიკლებმა გასული საუკუნის 30-50-იან წლებში და ამ მხრივ ბრწყინვალე წარმატებებსაც მიაღწიეს: სახელმწიფო

მართვის ამერიკული სკოლა მსოფლიო მეცნიერებაში, დღესაც ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს.

დაბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პრაქტიკული მნიშვნელობის გამოკვლევების გამოცემას, ძირითადად უნდა დაფინანსდეს პრაქტიკული რეალური და კონკრეტური მდგრადი განვითარების შემცველი პროგრამები და პროექტები. გვიქრობთ, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ქართული სახელმწიფო მართვის მეცნიერების განვითარებას, რაც ცხადია, მისი წარმატების წინაპირობა გახდება.

### ლიტერატურა

#### References

1. doRonaZe S., saxelmwifo marTvis Teoriis sakiTxebi. Tb., 2007. (Georgian)
2. zardiaSvili d. a., svaniSvili al. CitalaZe ir., sajaro samsaxuri. Tb., 2004. (Georgian)
3. saqarTvelos kanoni sajaro samsaxuris Sesaxeb – saqarTvelos parlamentis uwyebani, #45, 1977. (Georgian)
4. Vasilenko I., Administrativno-gosudarstvennoe upravlenie v stranah zapadan - USA, Velikobritania, Francia, Germania. M., 2001. (Russian)
5. Gosudarstvennaya sluzhba osnovnih kapitalisticheskikh stran. M., 1977. (Russian)
6. Sulemov V. Politicheskie partii I gosudarstvennaya skuzhba. M., 1993. (Russian)
7. American Public Administration: Past, Present, Future, Ed. by F. Mosher. Alabama, 1975.
8. Greenwood J., Wilson D., Public Administration of Britain. Winchester, 1984.
9. Public Administration: by F. Heady. New York, 1966.

### Temur Todua Problems and Prospects of the Government of Georgia

#### Summary

Normally any democratic government ought to defend public interests and be a guarantor of national and social values common to the mankind. The

State should implement this important mission through the system of administration manifested in certain activities of the officials and realized by the Apparatus of the State. This is the very distinction between the State Machine and the public services. The latter is directed by the citizens and their associations.

Dynamism of State management is distinctively influenced by current scientific, technical or political events characteristic, to any highly developed country. All the activities of bureaucracy were circumscribed by means of procedures, monitoring and political neutrality in the 20<sup>th</sup> century while the vector of governance is oriented towards the previously programmed problems in the beginning of the 21<sup>st</sup> one.

Existence of any constant schemes or models in the process of statecraft is impossible because this phenomenon permanently implies proper theoretical and practical studies as it regularly changes, anewals and develops further.

Nowadays formation of democratic, social, economic and political structures is in progress in Georgia. The Government is trying to design appropriate mechanisms of economic, social and political administration. And yet, proper scientific conceptions of the statecrafting process are not worked out. At the same time absence of such conceptions makes it impossible to solve a number of theoretical and practical problems of administering. The area of such problems is rather wide in the sphere of governing. The most important one among them is determination of forms, structures or orientation of governance.

The science of the government has obtained in Georgia an official recognition recently. For system of the government of our country there are two ways - national and western. The national leans against historical experience, national traditions. But at us the continuity of public forms is broken, on it's impossible to take left in the history of the form of government and to apply them today. The second way – Western experience should consider their elements of the government and transfer to our life. However, their blind imitation it's not effective. In many European countries basic criterion for increase of official in a post is business qualities, the personal initiative and innovation. In our opinion, this approach should use in modern Georgian practice of government.

We believe that we should select all the best the western countries taking into account national traditions. In a modern society there is an original convergence of two systems of the government - federal and unitary. We consider that for Georgia an optimum variant model of the state administration with strong centralist tendencies is represented federal. To accelerate development Georgian school of thought of the government it is obviously possible to pull together a science public administration and management science enterprises.

Lately there have been observed quite interesting tendencies in modeling of the State Apparatus in many highly developed countries, for instance, administrator specialists make the majority of the USA government while „Generalists” is wide-range administrators predominate in the UK and France. Each of these models has got its strong and possessive case weak points. The „Generalists” activities simplify the tasks of general coordination in management. They are able to transform experts' viewpoints and projects offered by them. They are actively, co-operating with the politicians and helping the people who ought to make decisions. This is the main reason for forming of so called „integral hierarchy” is when the experts and the „generalists” work together under the guidance of high rank administrators. We suppose that Georgian State machine should be designed according to this very model.

Control of public service system, is exclusively important in highly developed western countries. It is impossible to imagine any kind of governance without a certain control of the Parliament and the proper system of justice in modern democratic societies. The Institutions of ombudsmen and mediators, commissioned by the Parliaments, normally come to know the activities of the State administration and they are merited to be trusted.

It is work pointing that in spite of certain achievements there still remain numbers of unsolved scientific problems in the sphere of governance theory. Here, for instance, belong a problem of combining centralization and decentralization elements in governing, also the problems connected with the rationality of hierachial interactions or the problems of devising the methods of fighting against bureaucracy.

Some western scientists believe that in future these two branches can merge in one science. To accelerate development of Georgian school thought of the government it is necessary and it should be useful there will be textbooks, scientific monographies. In higher educational institutions government courses should read intensively. It is obviously possible to emphasise the practical importance government research, to finance basically those scientific programs which recommendations set as the purpose development practical, offer well-founded projects and programs.

**Key words.** Public Administration, public policy, administrators, generalists, integral hierarchy, national, traditions, federal, centralization, decentralization, Georgia, programs.

**Reviewer** – professor Evgeny Baratashvili, Georgian Technical University.

**Тодуа Темур Тариелович  
Проблемы и перспективы государственного управления Грузии**

**Резюме**

В демократическом обществе государство является основной формой консолидации общечеловеческих, национальных и социальных ценностей и интересов его граждан. Свои задачи государство решает через систему государственного управления. Процесс государственного администрирования фиксируется в деятельности должностных лиц и является практической реализацией целей и воли государства. Это отличает государственную службу от гражданской, которая является средством осуществления целей, интересов и прав граждан и общественных ассоциаций.

В разных странах Запада основное влияние на динамизм государственного управления оказывают научно-технические и политические процессы. Если профессиональная деятельность бюрократии XIX века была направлена на процедурные способы деятельности, подотчетность, подконтрольность, политическую нейтральность, то в начале XXI века государственное управление нацелено на программные методы.

Сегодня в Грузии развиваются демократические процессы, формируются новые политические и экономические системы,

разрабатываются механизмы экономического, социального и политического управления. Однако, многие вопросы, касающиеся формы, структуры и ориентации государственного управления пока еще не изучены.

В Грузии наука государственного управления получила официальное признание недавно. Для системы государственного управления нашей страны существуют две пути - национальной и западной. Национальная система опирается на исторический опыт, национальные традиции. Но у нас нарушена непрерывность общественных форм, поэтому нельзя взять ушедшие в истории формы государственного управления и применить их сегодня. Второй путь – Западный опыт должно учитывать их элементы государственного управления и перенести в нашу жизнь. Однако, их слепое имитирование не эффективно. Во многих европейских странах основным критерием для повышения чиновника в должности является деловые качества, личная инициатива и новаторство. По нашему мнению, этот подход должен пользоваться в современной грузинской практике государственного управления. Полагаем, что мы должны отбирать все самое лучшее западных стран с учетом национальных традиций. В современном обществе идет своеобразная конвергенция двух систем государственного управления - федеральной и унитарной.

Мы считаем, что для Грузии оптимальным вариантом представляется федеральная модель государственного администрирования сильными централистическими тенденциями.

Интересная тенденция проявилась в последнее время при формировании модели аппарата государственных служащих в разных странах: В США в госаппарате достаточно долго преобладали чиновники – специалисты, в то время как в Великобритании и Франции – администраторы – дженералисты. Время показало, что обе модели имеют свои сильные и слабые стороны. Расширенное использование дженералистов упрощают задачу общей координации управления

Дженералисты способные трансформировать мнения экспертов в предложения и проекты, оказывают большую помощь лицам, принимающим решения. Очевидно также, что узкие специалисты не способны анализировать проблемы в широком контексте. В условиях возрастающей специализации управления, дженералисты не справляются с возросшим объемом задач. Именно поэтому было

создана интегральной иерархии, при которой специалисты и дженералисты работают рука об руку под единым руководством высшего чиновника. На наш взгляд, эту модель следует использовать при формировании аппарата государственных служащих в Грузии.

Несмотря на успехи в развитии теории государственного управления, остается еще немало открытых научных проблем. К ним относятся вопросы об оптимальном сочетании централизации и децентрализации в государственном управлении, о рациональной иерархии отношений в системе государственной администрации, об эффективных методах борьбы с бюрократизацией государственной машины и многое другое. Для того чтобы ускорить развитие грузинской научной школы государственного управления представляется возможным сблизить науку публичного администрирования и науку управления предприятиями.

Некоторые западные ученые полагают, что в будущем эти две отрасли могут слиться в одну науку. Для того чтобы ускорить развитие грузинской научной школы государственного управления необходимо издание учебников, научных монографий. В высших учебных заведениях курсы государственного управления должно читать интенсивно. Представляется возможным сделать акцент на практическую значимость исследований вопросов государственного управления, финансировать в основном те научные программы, которые ставят своей целью выработку практических рекомендаций, предлагаю обоснованные проекты и программы.

**Ключевые слова.** Государственное управление, государственная служба, администраторы, дженералист, интегральная иерархия, национальное, традиции, федеральный, централизация, децентрализация, Грузия, программы.

**Рецензент** - Профессор Евгений Бараташвили, Грузинский технический университет

# i s t o r i a

**თენგიზ გრიგოლია, მაია ამირგულაშვილი  
აღმოსავლეთის ბლოკის დეზინტებრაცია და  
„ხაშერდოვანი რეპრესცია“ ეპორიაში**

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებს შორის უთანხმოებამ ევროპის საკითხებში თავი იჩინა პოტსდამის კონფერენციაზე(1945წ. 17 ივლისი—2აგვისტო) კონფერენციის მუშაობა ახალ გეოპოლიტიკურ სიბრტყეში მიმდინარეობდა. საბჭოთა მთავრობა ცდილობდა მეფის რუსეთის ისტორიული კურსი გაეგრძელებინა და ევროპული სახელმწიფოები ექცია საბჭოთა კავშირის სატელიტებად. კონფლიქტის მთავარი მიზეზები გახდა — იდეოლოგიური წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, ასევე ამბიცია, დასავლეთისა და აღმოსავლეთისა რათა მათ ეთამაშათ გადამწყვეტი როლი მომავალი ევროპის პოლიტიკურ მოწყობაში. ამას დაერთო უთანხმოებანი მთავრობის ფორმირების საკითხეში, როგორც ცენტრალურ ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. „რკინის ფარდაშ“, რომელიც ევროპაში XX საუკუნის 40-იან წლებში ჩამოჰშვა აღმოსავლეთი ევროპა გამიჯნა დანარჩენი მსოფლიოსაგან. ორპოლუსიანი მსოფლიოს „ცივი ომის“ საწყისი პერიოდი დასავლეთისა და აღმოსავლეთისათვის (ანუ საბჭოთა კავშირისათვის) ასეთი ქმედებებით ხასიათდებოდა.

საბჭოთა კავშირის ქმედებებმა მთელი სიმწვავით დააყენა დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინაშე საიმედო თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბების საკითხები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განისაზღვრა ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის მთავარი პრინციპები. იგი ასეთი იყო: დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების (დამარცხებული გერმანიის ჩათვლით)ფართო სოლიდარობა მოქმედების ერთიანობა, დასავლეთ ევროპის კოლექტიური სამხედრო თავდაცვა აღმოსავლეთიდან მომავალი შესაძლო

საფრთხისაგან, აშშ-ს ჩართვა ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა წინააღმდეგობა იმ ქარის ძალას იკრევდა, რომელსაც „რეინის ფარდა” უნდა გაერღვია.

ბერლინის ბლოკადამ 1948-1949 წლებში სათავე დაუდო ახალ კონფრონტაციას, რომლის შედეგად მთლიანად ევროპა ორად გაიყო. გამყოფი „რეინის ფარდა” კი ბერლინის კედელი აღმოჩნდა. ბერლინის კრიზისის მიზეზი გახდა დასავლეთ გერმანიაში კონტროლირებადი საოკუპაციო ზონების ჩართვა „მარშალის გეგმაში”, სიტუაცია იმანაც დაძაბა, რომ 1948 წელს ამერიკელებმა და ინგლისელებმა გერმანიაში თავიაპო საოკუპაციო ზონებში დაიწყეს ფულადი რეფორმის გატარება.

საბჭოთა კავშირმა ამის საპასუხოდ დაიწყო ბერლინის დასავლეთი საოკუპაციო ზონების სამხედრო ბლოკადა. სსრ კავშირმა განახორციელა ბერლინის დასავლეთი ნაწილის მიწისზედა კავშირის ყველა საშუალებების სრული შეწყვეტა, რომელიც აუცილებელი იყო ქალაქის დასავლეთი ნაწილის უზრუნველსაყოფად. ინგლისმა და ამერიკამ ყოველივე ამას საპატიო ხიდის ორგანიზებით უპასუხეს. საკუთხის მიწოდება დასავლეთ ბერლინისათვის თვითმფრინავებით ხორციელდებოდა. სტალინმა ამის საპასუხოდ აღმოსავლეთ გერმანიის სოვეტიზაცია დაიწყო. კრემლმა დაამტკიცა გერმანები ნაციის ორად გაყოფის ბარბაროსული გეგმა.

XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოსათვის მსოფლიოს ორ საორიენტაციო ცენტრად გაშინგტონი და მოსკოვი იქცა. ევროპის ორივე ნაწილისათვის ეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამსედრო დაშორიშორებას, უფრო სწორედ დაპირისპირებას მოასწავებდა. მაშინ როდესაც საბჭოთა ელიტის გადაღმა უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და გავლენის სფეროებს აფართოებდა, დასავლეთ ევროპის მთავარ საზრუნავად თავისი უშიშროება იქცა.

1949 წელს როცა სსრ კავშირის მიერ ბერლინის მიდამოები სრულიად გადაიკეტა და პრაღაშიც მოასწორ გადატრიალების მოწყობა, ამერიკის კონტინენტის ორმა სახელმწიფომ საერთო სამხედრო თავდაცვის კავშირი NATO შექმნა. აღნიშნულ კავშირს 1955 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეუერთდა. საბჭოთა ექსპანსიიდან და სოვეტიზაციიდან თავის დაღწევის გზები 1948

წლის თებერვალში დაიწყო ჩეხოსლოვაკიაში. 1948 წელს უნგრეთში კომუნისტებმა ძალაუფლება ხელში აიღეს. ეროვნულ-პატრიოტული ძალები აღმოსავლეთ ევროპაში „მსოფლიო ომის” შემდგომ პერიოდში შეეცადა „საბჭოთა ხელისუფლების” დამხობას. ყოველივე ამისათვის დაიწყო ქმედითი მუშაობა. დასავლეთის სახელმწიფოთა ოფიციალურ წრეებსა და აგენტურას პქონდა მჭიდრო ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპის ეროვნულ-პატრიოტულ, ემიგრანტულ ორგანიზაციებთან. ისინი მათ აძლევდნენ ინსტრუქტებს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ადგილებზე. კრემლი ყოველთვის გამოდიოდა თავის სატელიტ ქვექნებში ლიბერალიზაციის წინააღმდეგ, რომელსაც შეეძლო შეერყია ფუნდამენტი კომუნისტური წყობილებისათვის. ცნობილია, რომ 1956 წლის თებერვალში ხრუშჩოვის მიერ პარტიის XX ყრილობაზე სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა მაპროვოცირებელი გახდა იმ გამოსვლებისა, რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვექნებში მოხდა. აღმოსავლეთ ევროპის პატრიოტული ძალების მოთხოვნები იყო: ერთპარტიული კომუნისტური მმართველობის მოსპობა და მრავალპარტიულობის დაშვება, სიტყვის, პრესის, რწმენის, გაფიცვების, ორგანიზაციების, მიტინგების, დემონსტრაციების თავისუფლების დაშვება. კრემლმა 1956 წლის ივნისში დემოკრატიული მოთხოვნებისათვის სისხლში ჩაახშო პოლინეგის ქალაქ პოზნანის ეროვნულ ძალთა გამოსვლა. 19 ოქტომბერს კრემლმა ტანკები დაძრა ვარშავისაკენ, მაგრამ ისინი მაღე უკან მოტრიალდნენ, რაღაც პოლონეთმა ტანკიკური სვლა გააკეთა. იგი მოსკოვს სოციალიზმის ერთგულებასა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში დარჩენას შეკპირდა.

1956 წლის თებერვალში ხრუშჩოვის „საიდუმლო სიტყვი”, რომელიც მან XX ყრილობაზე წარმოოქავა, უნგრელებს ეგონათ, რომ მათ მიეცათ შანსი რათა ისინი რეფორმებზე გადასულიყვნენ, მაგრამ ხრუშჩოვს ამ სიყალეებ უნგრელებს მძიმე განსაცდელი მოუვლინა.

1956 წლის 23 ოქტომბრიდან დაიწყო ბუდაპეშტში სტუდენტთა მასობრივი გამოსვლები მოთხოვნებით: სიტყვის და პრესის თავისუფლება, მ. რაკოშის და მისი გარემოცვის სასამართლოში მიცემა, იმრე ნადის ხელისუფლებაში დაბრუნება. 24 ოქტომბრის სტუდენტური გამოსვლები

ბუდაპეშტში უკვე სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა. 24 ოქტომბერს ი. ნადი პრემიერ-მინისტრად იქნა დანიშნული. მოსკოვმა თავისი ემისრების მეშვეობით გარიგებას მიაღწია ი. ნადისთან. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ბუდაპეშტიდან უკან დაიხიეს, მაგრამ უნგრელები მტკიცედ მოითხოვდნენ მოსკოვთან ერველგვარი გარიგების შეწყვეტას. მოსკოვის მიმართ მათი მოთხოვნა შემდეგი იყო: მრავალპარტიული სისტემის დამკიდრება, საბჭოთა ჯარების გაყვანა უნგრეთიდან და ვარშავის პარტიიდან დაუყოვნებლივი გამოსვლა.

ამერიკელები, დასავლეთის სხვა სახელმწიფოები ძალზე გასაიდუმლოებულად ეხმარებოდნენ უნგრელებს. აშკარა დახმარებას შეიძლებოდა მოსკოვის გაღიზიანება გამოიწვია და ჯარები შეევანა უნგრეთში. მოსკოვმა უკან მაინც არ დაიხია. მას შემდეგ რაც ოპოზიციამ და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა უნგრეთში მოახერხა რადიოსა და პრესის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. მოსკოვის აშკარა ინტერვენციას ბუდაპეშტის მოსახლეობამ ბრძოლით უპასუხა. კრემლის ასეთ ქმედებას დასავლეთისაგან მწვავე რეაქცია არ მოჰყოლია. სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოების ცნობით ბუდაპეშტის ქუჩებსა თუ მოედნებზე საბჭოთა შეიარაღებული ძალები არაადამიანური სისახტიკით გამოირჩეოდნენ. წყაროების მიხედვით 23 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე ბუდაპეშტში შეტაკების შედეგად დაიღუპა 10 ათასი პატრიოტი. უნგრეთის აჯანყება 10 დღეში იქნა ჩახშობილი. სსრ კავშირის ასეთი სასტიკი ინტერვენციის გამო დასავლეთს არ გაუკეთებია განცხადება. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ 1956 წლის 27 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭოში შეტანილ იქნა მიმართვა „სიტუაცია, შექმნილი უცხოელი სამხედრო ძალების გამო უნგრეთში“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უშიშროების საბჭომ 4 ნოემბერს მიიღო რეზოლუცია, მაშინ როცა ყველაფერი დამთავრდა. დუაიტ ენზენჰაუერის აზრით მაშინ ამერიკლთა და დასავლეთის ნებისმიერ სახელმწიფოს ჩარევას უნგრეთის ამბებში შეიძლება მესამე მსოფლიო ომი მოჰყოლოდა ასე, რომ უნგრელები 1956 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში დასავლეთის დახმარების გარეშე პირდაპირ აღმოჩნდნენ მოსკოვის წინააღმდეგ. კომუნისტური რეჟიმის ლიბერალიზაციის მოთხოვნამ უნგრეთი სისხლის დგრამდე

მიიყვანა. 1989 წლის გაზაფხულზე უნგრეთში შექმნილმა ნაციონალურმა კომისიამ 1956 წლის ტრაგიულ ამბებს პირველად უწოდა სახალხო აჯანყება, ხოლო ი. ნადი „უნგრული განახლების”, „ნაციონალური კომუნიზმის” სულიერ მამად იქნა აღიარებული.

„რეინის ფარდამ” რომელიც ჩამოეშვა ევროპაში აღმოსავლეთ ევროპის წინააღმდეგობის ხმები ჩახეშო. აღმოსავლეთ ევროპა მან დასავლეთისათვის მიუწვდომელი გახადა. მაგრამ აღმოსავლეთ ცენტრალურმა და სამხრეთ ევროპამ ძალა მოიკრიბა. 1948 წელს ბროს ტიტომ კავშირი გაწყვიტა სტალინთან. 1953 წელს მოხდა მდელოვარება აღმოსავლეთ კერძანიაში. 1956 წელ ჯერ პოლონელები, შემდეგ კი უნგრელები შეეცადნენ წინ აღდგომოდნენ კომუნისტურ რეჟიმს. 1948 წელს უკმაყოფილების ტალღა ჩეხოსლოვაკიას გადაედო.

1946 წელს საბჭოთა არმიის შექრამ ჩეხოსლოვაკიაში ბევრი ადამიანის სულიერი დაცემა გამოიწვია და ისინი შოკში ჩააგდო. ადამიანები დაიტვირთნენ თავიანთი შინაური ცხოვრებით. ბევრი გაშორდა პოლიტიკას. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცდილობდა ნაკლები დრო ყოფილიყო თავის სამუშაო ადგილზე. მათ მოელი ენერგია ქალაქებარეთ აგარაკებზე დროის გატარებასა და იქ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართეს. ასე, რომ პარასკევი საღამოდან სტრესის მოსახსნელად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქებარეთ გადიოდა. მაგრამ საბედნიეროდ „პრაღის გაზაფხულის” ყლორტები არ იყო საბჭოთა კავშირის მიერ ბოლომდე განადგურებული. იგი თანდათანობით იწყებდა თავის მაღლა აწევას. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს ყოველგვარი სევდის მოხსნის წყარო ჩეხოსლოვაკიისათვის აღმოჩნდა ამერიკული როკ მუსიკა და ადგილობრივი „ჯგუფი „Plastic papple of universe“ “პლასმასის ადამიანების” სამყარო. ეს სახელწოდება მან მიიღო ფრენკ ზაპის სიმღერის ტექსტის ფრაზის გამო. აღნიშნული ჯგუფი ჩამოყალიბდა პრაღაში საბჭოთა ინტერვენციის განხორციელების ერთი თვის თავზე. ჯგუფმა თავიდანვე ხალხთა მასების დიდი ყურადღება მიიპყრო. მთავრობის რეაქციით ჯგუფს აეკრძალა კონცერტები, მაგრამ ნიჭიერი მუსიკოსები თავიანთ საქმეს იატაკევეშეთში აგრძელებდნენ.

მთავრობის მხრივ როგორც ჯგუფის მოღვაწეობა და მათი მუსიკა აღიქმებოდა, როგორც „ანტისოციალისტური“ და „ასოციალური“. ინტელიგენციისათვის ჯგუფის მოღვაწეობა დისიდენტურ მოღვაწებად ფასდებოდა.

1977 წელს 250 მწერალმა, მასშიავლებელმა და სამართალდამცველმა ხელი მოაწერა თავისებურ მანიფესტს „ქარტია 77“-ს, რომელშიც მთავრობისადმი მთავარი მოწოდება იყო, რომ პატივი ეცავა ადამიანთა უფლებებისადმი ჰელსინკის თათბირის ფარგლებში, რომელსაც სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა 16 თვის უკან მოაწერეს ხელი. 1975 წელს ფინეთის დედაქალაქ-ჰელსინკში „ქარტია 77“-ის მთავარი ლიდერი იყო ვაცლავ ჰაველი, რომელიც მრავალჯერ იყო დაპატიმრებული თავისი დისიდენტური მოღვაწეობის გამო და ციხეში გატარებული ჰქონდა ოთხი წელი.

ჩეხეთსლოვაკიის პოლიტიკურ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რელიგიამაც. ღვთისმსახურები ხალხის შოკიდან გამოსაყანად არ თაკილობდნენ არავითარ სამსახურს რათა ისინი ხალხთან ყოფილიყვნენ, ზოგი მუშაობდა მსახურებად, ზოგი სანტექნიკად, ისინი იატაპქვეშეთში ადამიანთა სულიერ გამხნევებას და ღვისმსახურებას ეწეოდა. ასე რომ ეს ყველაფერი 1989 წლამდე გრძელდებოდა. ჩეხეთსლოვაკიის კომუნისტურმა რეჟიმმა მას ვერაფერი დაუპირისპირა.

დრამატურგისა და ადამიანის უფლებების აქტივისტის ვაცლავ ჰაველის სასამართლო პროცესებში ხელი შეუწყვეს საზოგადოებრივი ოპერზიციის კონსლიდიდაციას ჩეხეთსლოვაკიის დრომოჭმული, ავტორიტალური რეჟიმის წინააღმდეგ. ვაცლავ ჰაველი აღნიშნავდა: „მებორ, ინტელექტუალებო იყავთ აქტიურნი ამ ორი გზიდან ერთის არჩევაში: ან დათანხმდით, რომ რომელიმე პოლიტიკურ თანამდებობაზე მუშაობდეთ ან რომ ძალაუფლებაში მყოფთა სახეების ცხირწინ განუწყვეტლივ გჰჭიროთ სარკე“. ვაცლავ ჰაველის ერთ-ერთი სასამართლო პროცესი ასე დაიწყო:

განსასჯელი: ვაცლავ ჰაველი  
ბრალდება: ძირგამომთხელი საქმიანობა, უცხო ქვეყნისათვის ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდაში ხელშეწყობა,

წაქეზება—წახალისება, უსაფრთხოების ზომათა აღსრულებისათვის ხელშეშლა.

პროცესის ადგილმდებარება: პრაღა, ჩეხოსლოვაკია  
პროცესთა თარიღი: 1977 წლის 18 ოქტომბერი, 1979 წლის 22 ოქტომბერი, 1989 წლის 21 ოქტომბერი.

განაჩენი: დამნაშავე

სასჯელი: ორწელიწადნასევარი პატიმრობა, 12 თვიანი პატიმრობა, 9 თვიანი პატიმრობა.

საბჭოთა სპეცსამსახურები „ქარტიელებს“ მოღვაწეობის საშუალებას არ აძლევდნენ. დასავლეთის პოლიტოლოგების აზრით ცოტაა ქვეყანა რომელიც დაუპყრიათ იმდენჯერ, რამდენჯერაც პოლონეთი. ორ დიდ „მტაცებელს“ — გერმანიასა და რუსეთს — შორის მდებარე ქვეყანამ, უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე დამოუკიდებლად მხოლოდ 33 წელიწადს იარსება და მაინც პოლონეთმა „ცივ ოში“ დიდი განსაცდელი გამოიარა, სოციალისტური სისტემის დანგრევიდან 18 წელიწადში მან გასაოცარ წარმატებებს მიაღწია. სტალინის აზრით პოლონეთში კომუნიზმის შემოღება იგივე იყო, რაც ძროხისათვის უნაგირის დადგმა. პოლონეთს, მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, შეუძლია იამაყოს გასული საუკუნით. პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ჯგუფმა „მუშათა დაცვის კომიტეტმა“ (პოლონურად KOR), რომელიც შეიქმნა საზღვარგარეთ, კერძოდ უკრევაში 1975 წელს. ორგანიზაციის ლიდერი გახდა ადამ მიხეიკი. 1978 წელს აღნიშნული ორგანიზაციის გონივრული ქმედებით შეიქმნა პროფესიონალურების თავისუფალი ორგანიზაცია „სოლიდარობა“.

1980 წელს გლდანსკში დაწყებულმა მუშათა გაფიცებმა აიძულა მთავრობა, რომ „სოლიდარობა“ ეცნო როგორც დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი. „სოლიდარობის“ ლიდერმა ლევ ვალენსამ იგი ერთიან პოლიტიკურ მოძრაობად შეკრა და დაუპირისპირა კომუნისტურ რეჟიმს. „სოლიდარობაში“ რეგისტრაცია 1980 წლის ნოემბერში გაიარა. „სოლიდარობას“ აქტიურად თანაუგრძნობდა რომის პაპი იოანე პავლე II, რომლის პიროვნებაში კრემლი კომუნიზმის დაუძინებელ მტერს ხედავდა.

იოანე პავლე II-ემ ეროვნებით პოლონელმა(კაროლ ვოიტიუდამ) ბევრი გააკეთა „სოლიდარობის“ ასაღორძინებლად.

მოსკოვსა და ვარშავას შორის დაძაბულ პერიოდში 1981 წლის თებერვალში, როდესაც კრიტიკი პოლონეთში ინტერვენციისათვის ემზადებოდა პაპი თავისი ჩვეული დიპლომატით კრემლის უმაღლეს ხელისუფალთ ურჩვდა, რომ მათ პატივი უნდა ეცაო პოლონეთის დამოუკიდებლობისა და „სოლიდარიტეს“ უფლებებისათვის. ყოველივე ეს გახლდათ მინიშნება იმისა, რომ იოანე პავლე II პოლონელ პატრიოტთა მხარეს იქნებოდა. პოლონეთის კრიზისმა გამოცდილება შეიძინა, პოლონელი პატრიოტების მოღვაწეობამ ძირი გამოუთხარა კრმუნისტურ რეჟიმს. პოლონეთმა სწრაფად დაიმკვიდრა ადგილი ერთა ეპროპულ ოჯახში. 1999 წელს პოლონეთი ნატოში შევიდა, 2004 წელს კი ევროკავშირში. პოლონეთის „შინ დაბრუნებას“ მიესალმა მთელი ევროპა.ევროპის წამყვან სახელმწიფოთა აზრი პოლონეთისადმი ირონიულია, ისინი ჩივიან, რომ პოლონეთს სურს ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპასთან და პოლიტიკური – აშშ – თან.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს გაუმართლათ იმაში რომ 1985 წლიდან ხელისუფლებაში მოვიდა ახალი გუნდი მ. გორბაჩოვის მეთაურობით. აღნიშნულმა გუნდმა შეიგნო „ცივი ომის“ უკერსპექტივო პოლიტიკა.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ვითარება დაიძაბა პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და აღმოსავლეთ გერმანიაში. მ. გორბაჩოვი არ წავიდა კონფრონტაციის ძველი გზით. მან საბოლოოდ უარი თქვა „ბრუნევის დოქტრინაზე“. გორბაჩოვმა უარი თქვა თავისი „გავლენის სფეროებზე“. 1989 წლის ივნისში ევროსაბჭოს სხდომაზე გამოსვლისას მან ასეთი განცხადება გააკეთა „საზოგადოებრივ პოლიტიკური წევბა ამა თუ იმ ქვეყანაში იცვლებოდა ადრე და შეიძლება შეცვალოს მომავალში, მაგრამ ეს ცვლილებები წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის საქმეს და მის არჩევნებს. ნებისმიერი ჩარევა საშინაო საქმეებში და ნებისმიერი ცდები შეიზღუდოს სახელმწიფო სუვერენიტეტი-მეგობრულ, მოკავშირე და სხვა ქვეყნებში-დაუშვებელია. დროა არქივს ჩავაბაროთ „ცივი ომის“ დროინდელი პოსტულატები, როდესაც ევროპა განიხილებოდა როგორც კონფრონტაციის არენა, დაყოფილი „გავლენის სფეროებად“. მ. გორბაჩოვი ხედავდა იმ გავლენის სფეროს შენარჩუნება რაც საბჭოთა კავშირს ჰქონდა ევროპაში უკვე აღემატებოდა საბჭოთა იმპერიის შესაძლებლობებს, ამიტომ

წავიდა იგი ლიბერალიზაციის გზით. თუ აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში გარდაქმნის პროცესი თითქმის თანმიმდევრულდად ლოგიკის შესაბამისად მიმდინარეობდა რუმინეთთან დაკავშირებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი ელოდებოდა თავის როგორც და განახლების ქარტებილს. 1989 წელი ყველაზე გრძელი აღმოჩნდა ქვეყნის ისტორიაში. 1989 წლის რევოლუციურ პროცესებს რუმინეთი თდნავ დაგვიანებით, მაგრამ დიდი ენთუზიაზმით შეუერთდა.

რუმინეთში განსაკუთრებით აუტანელი გახდა ნიკოლაი ჩაუშესკუს რეჟიმი, რომლის მმართველობა 1965 წლიდან დაიწყო, რუმინეთში კონსტიტუციის ცვლილებების შედეგად 1974 წელს იგი გახდა რუმინეთის პრეზიდენტი. ხ. ჩაუშესკუს დიქტატორული რეჟიმს მკაცრი და დამთრგუნებელი გამოვლინებები პქონდა. როგორც რუმინეთის ყოფილი პრეზიდენტი იონ ილიესქუ აღნიშნავდა: ჩაუშესკუმ ქვეყანას ჩრდილო-კორეული ჩაგრის რეჟიმი დაუწესა, ეკონომიკაში – ავტარკიული ორიენტაცია, გარესამყაროსთან კი ყოველგვარი კავშირი–სამეცნიერო, კულტურული, ზოგადადამიანური შეწყვიტა.

გარდაქმნის შვიდობიანი პირობების უზრუნველყოფით გამოიხატა „ხავერდოვანი რევოლუცია“ ჩეხეთში. რუმინეთში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სოციალისტური სისტემის შინაგანმა წინააღმდეგობებმა, სოციალურმა დაბაბულობამ ქვეყანაში პიკს მიაღწია. სოციალური დაბაბულობა სოციალურ აფეთქებაში, სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა. დიქტატორული რეჟიმის გამეფებამ რუმინეთი რევოლუციის დაწყებამდე მიიყვანა.

რუმინეთის რევოლუციის განსაკუთრებულობას მისი შინაარსი წარმოადგენდა. რუმინელმა პატრიოტებმა შეადგინეს 10 მეტლისაგან შემდგარი საყოველოაოდ ცნობილი პროგრამა „ეროვნული სისის ფრონტის მიმართვა ქვეყნისადმი“. იგი 1989 წლის 22 დეკემბერს დამით იქნა გამოქვეყნებული. პროგრამაში ჩამოყალიბებული იყო გარდაქმნის მიზნები: დაწყებული პოლიტიკურით დიქტატორული რეჟიმის ყველა ძალოვანი სტრუქტურის დათხოვნა, მთავრობის გადაექნება, მრავალპარტიული დემოკრატიული სისტემის დამყარება, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების დაუყოვნებლივი განხორციელება. რუმინეთის რევოლუცია გაბეჭდულად მოქმედებდა. მან ელვისებურად გადაუარა ტოტალიტარულ

სახელმწიფოს. 1989 წლის 16 დეკემბერს დიქტატურის წინააღმდეგ იფეთქა აჯანყებამ ქვეყნის დასავლეთით მდებარე ქალაქ ტიმიშოარში. 20 დეკემბერს მდელვარებამ მასობრივი ხასიათი მიიღო და არმიის მანიფესტაციებთან დამმობილება დაიწყო. ამან ბიძგი მისცა მასობრივ მდელვარებას ქვეყნაში. ჩაუშესკუს რეეიმს დაუპირისპირდა ქვეყნის აქტიური მოსახლეობის ახალი თაობა. 1989 წლის 22 და 23 დეკემბერს რუმინეთის რევოლუცია თავის პროგრამაში „ეხვევის მიმართვა ქვეყნისადმი“ აკანონებდა რუმინეთის პოლიტიკური სისტემისა და სახელმწიფო წყობილების ძირეულ ცვლილებებს. ქვეყანაში აღმფოთება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ნ. ჩაუშესკუმ 17 დეკემბერს გასცა ბრძანება, რომ შეიარაღებულ ძალებს დაეხვრიტათ დემონსტრაცია ქალაქ ტიმიშოარში.

1989 წლის 22 დეკემბერს, 12 საათსა და 06 წუთზე ბუქარესტში, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახურავიდან აფრინდა ვერტმფრენი, რომელშიც ნიკოლაი ჩაუშესკუ და მისი ცოლი იმყოფებოდნენ. დიქტატორი გაურბოდა საკუთარ ხალხს. ნ. ჩაუშესკუ გასამართლებულ იქნა სამხედრო ტრიბუნალის მიერ და სიკვდილით იქნა დასჯილი ბუქარესტის ახლოს 1989 წლის 25 დეკემბერს.

1989 წელის დეკემბრის გამარჯვება რუმინეთში ტკივილის ფასად იქნა მიღწეული. დაიღვარა სისხლი. ესაა რუმინეთის რევოლუციის თავისებურება. სწორედ ეს ტრაგედია გამოყოფს მას ყოფილი კომუნისტური აღიანსის ქვეყნებში მომხდარი პროცესებისაგან. რუმინეთის რევოლუცია ჰქონდა სახალხო აღმოჩნდა. იგი ეროვნული ხასიათის სოციალური ამოფრქვევა იყო. რუმინეთს „ხავერდოვანი რევოლუციის“ შესაძლებლობანი არ მისცემია, რადგან ჩაუშესკუმ ყველა მოლაპარაკებისა და რეფორმატული ტენდენციების გზა უგუადო.

1989-1990 წელები აღმოსავლეთ ევროპისათვის გარდატეხის წელი გახდა. ზოგიერთი ისტორიკოსი მას „უკიდირესობათა საუკუნედ“ ან „მოკლე საუკუნედ“ ნათლაცს. XX საუკუნის 80-90 წლებში ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას გარდაქმნების ბოძოქარმა ძვრებმა გადაუარა. მას შემდეგ რაც გერმანიამ 1989 წლის 9 ნომბერს ბერლინის კედელში გამშვები ჰუნძი გახსნა, 1989 წელი ისტორიის მოპოვების, ევროპის რევოლუციის წელიწადად იქცა. გარდაიქმნა ევროპის

პოლიტიკური რეგა, შეიცვალა წონასწორობა ევროპაში. ევროპის საერთაშორისო ცხოვრებაში ახალი ტენდენციები და ახალი კონფიგურაცია გამოჩნდა.

1989 წლმა ნიდაბი ახადა კულტურული, რაც ხდებოდა ცენტრალურ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, დაგვანახა სოციალიზმის მიხრწნილი სისტემის ნაგრევები თავისი მოშლილი მქანიზმით. ისტორიულმა კანონზომიერებამ სოციალისტური სისტემა ელვისებურად დაანგრია. ცნობილი პოლიტიკოსი თლვინ ტოფლერისა აღნიშნავდა: „ევროპული სახელმწიფოებრივი სოციალიზმის დრამატული აღსასრული შემთხვევითი არ იყო. სოციალისტური რეჟიმები დაემხო არა შეთქმულების შედეგად, არამედ კაპიტალისტური გარემოცვის გარეგანი ეკონომიკური დაწოლის გამო.“

იგი კლასიკური კონფლიქტია ტოტალიტარულ სახელმწიფოს სასტიკ დამთრგუნველ სისტემაში განსახიერებულ საწარმო ურთიერთობათა და იმ ახალი ტექნოლოგიებით წარმოდგენილ საწარმო საშუალებათა შორის, რომლებმაც განსაკუთრებული დინამიზმი შემატეს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

შემცნებამ 1989 წელს ნათლად წარმოაჩინა სოციალიზმის კატასტროფიული კრიზისის სიღრმე, როგორც ცენტრალურ ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. თავი გამოიაშკარავა იმ უმცირობამ და იმ სუბიექტივიზმა, რომელიც დამახასიათებელი იყო ტოტალიტარული რეჟიმისა და მმართველობის დიქტატორული წესისადმი, აღმოსავლეთ ევროპაში არსებული რეჟიმების სისტემა მისმა არაშედეგიანობამ ჩაახშო.

1989 წელმა ენერგია გამოაცალა ე. წ. სოციალისტურ ბლოკს. ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყნების რევოლუცია წარმოადგენს ევროპის ხალხთა მონაპოვარს. ევროპის „ხავერდოვანმა რევოლუციაში“ რევოლუციის კლასიკური თეორია ახალი ელემენტებით შეავსო.

### ლიტერატურა:

#### References

1. ion iliesku, rumineTi imedis aRorZineba, Tb., 2001. (Georgian)

2. S. malaSxia, konfliqtebis prognozireba, Tb., 2007. (Georgian)
3. k. kacitaZe, geopolitikuri da geostrategiuli transformacia evropaSi, Tb., 2001. (Georgian)
4. ernst-oto Cempli, msoflio politika gardatexis procesSi. (Georgian)
5. Madlen Olbright, Gospozha gossekretar., M., 2004.
6. Maksakovski, Geograficheskia kartina mira, kniga II. M., 2005.
7. Michael J Hogan (ED): The End of the Cold War, London, 1992.

**Tengiz Grigolia, Maia Amirkashvili  
Dezintgration east block and liberal “Velvety revolution” in Europe**

### **Summary**

The last period of Eighteenth and the beginning of 90<sup>th</sup> of twentieth century has become the period of European Revolution. Breaking down the Berlin Wall sated the beginning for the liberal Revolution in Southern, Central and Eastern Europe. In Europe began the period the huge emancipation movement.

Political situation was summed up during the nineteenth in the twentieth century. The liberal revolution of Europe was managed by the whole Europe which filled classical theories of Revolutions with the fresh new elements. Liberal Revolution processes which broke out in Europe from the beginning of 1989 had its own different properties.

Romanian revolution is characterized as the specific one among European liberal revolutions.

Nikolaou Ceausescu and his wife urgently fled from Bucharest on 22nd of December, 1989. Scared and frightened dictator was running from furious mass aggression.

Violent regime in Romania was crashed by force and the dictatorship of Ceausescu ran down.

Romanian revolution was public, indeed. It rose from political and social bases. Everything started in Timisher. Romania had not prepared any possibilities for the mild revolution.

1989-1990 for the Eastern Europe has become the Era of changes. Some masters of history baptized this period as the “Marginal Century” or “Short Century”. In 80-90 years of twentieth century, central and south-eastern Europe has been covered with the era of changes. On the 9<sup>th</sup> of November 1989, when Germany opened the customs block in Berlin Wall, made this year to become the year for European Revolutions. The political map of Europe has transformed. In the life of European International life has popped up the new paths and new configurations.

1989 has revealed everything what was happening in Central and South-eastern European countries, showed the ruins of Socialist System with the damaged mechanism. History damaged Socialist System with one hand. Well known politician Alvin Torler remarked: “Socialism in European countries was not sudden. Socialistic regimes have been abolished not because of betrayals, but because of the economical tension from the Capitalist environment.

Studies have clearly expressed catastrophic depth of crisis which broke out in Central and Eastern European countries in 1989. Also has been revealed the subjectivism, which was appropriate for totalitarian regime and dictatorial law. The rude overcomes of these regimes has killed himself in Eastern Europe.

The year of 1989 has squeezed out the whole energy from Socialistic Block. The revolution of central and South-eastern countries is the gain of people. The “Velvet Revolution” of Europe has filled classical theory of revolution with new elements.

**Key words.** Hungarian refreshment. world of plastic people, Charter 77, transatlantic environment, grey zone, home return of Poland, KOR, solidarity, short century, velvet revolution, associative.

**Reviewer** – professor Vazha Shubitidze, Georgian Technical University.

**Григолия Тенгиз Бондоевич, Амиргулашвили Маия Ушангиевна  
Дезинтеграция восточного блока и «Бархатные революции» в  
Европе**

**Резюме**

Последний период XX века, стали годами революций. Развал Берлинской стены положил начало либеральным революциям в южной, центральной и западной Европе, начался период большого освобождения Европы.

90-ые годы XX века суммировали политические результаты истории Европы. Либеральные революции стали достижением всей Европы. Они заполнили новыми элементами классические теории революций.

Начиная с 1989 года, процессы либеральных революций в Европе, отличились особыми признаками различий.

Румынская революция характеризовалась особым свойством из числа Европейских либеральных революций.

Николау Чаушеску и его жена сбежали из Бухареста 22-го Декабря, 1989 года. Диктатор на пике устранился, чтобы защитится от ярости массы.

Насильственный режим в Румынии насильственно был подавлен и диктатура Чаушеску пала.

Румынская революция имела истинно парадный характер. Она возникла из политических и социальных основ. Всё началось в Тимишиаре. У Румынской революции не было возможностей «Бархатной революций».

1989-1990 г.г. для восточной Европы являются переходными. Некоторые историки называют этот период «коротким веком». В 80-90 г.г. 20 в. центральную и юго-восточную Европу охватила буря перестройки. После того, как в 1989 г. 9 ноября Германия открыла пункт в Берлинской стене, 1989 г. стал периодом европейской революции. Изменилась политическая карта Европы и равновесие. В международной европейской жизни появились новые тенденции и новые конфигурации.

1989 г. снял маску с того, что происходило в центральной и юго-восточных в странах Европы, показал разрушения социалистической системы. Историческая закономерность, как молния разрушило социалистическую систему. Известный историк

О.Тофлет отметил: «Драматический конец европейского государственного социализма не был случайным. Социалистический режим пал под давлением капитализма и внешней экономики». Это классический конфликт в системе тоталитарного государства и между новыми технологическими возможностями, которые вложили особенную динамичность в развитие экономики и социализма.

В 1989 г. стала явно заметна глубина социалистического катастрофического кризиса, как в центральной, так и в странах восточной Европы. Проявили себя также то меньшинство и субъективизм, которые характерны для тоталитарного режима и диктаторского правления, в восточной Европе существующий системный режим погубила его безрезульятатность.

1989 г. опустошил энергию социалистического блока. „Бархатная революция“ Европы дополнила классическую теорию революции новыми элементами.

**Ключевые слова.** Венгерские обновления, пластмассовые люди вселенной, Хартия 77. трансатлантическое пространство, серая зона, возвращение Польши домой, KOR, солидарность, короткий век,. бархатная революция, асоциальный

**Рецензент** - Профессор Важа Шубитидзе, Грузинский технический университет

**თემურ თოლუა, ლია ნებიერიძე  
ბგელი შპეცნების სახელმწიფო მართვის  
ისტორიიდან**

სახელმწიფო უნივერსიტეტის იმპერიუმის არსებობის ხანგრძლივობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სახელმწიფო მართვის სისტემის გამართულობასა და მის სრულყოფილებაზე. ამ მხრივ, ძველი სახელმწიფოები და იმპერიები სათანადო სიმაღლეზე არ იღებენ. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი ჯ. ნეში მართებულად შენიშვნავს, რომ ძველი სახელმწიფოების დაცვმა-დაქვეითების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, მათი ადმინისტრაციული სისტემის გაუმართავობა და არასრულყოფილება იყო. [18, გვ. 23].

მართალია, ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ეპოქის მთელი რიგი სახელმწიფოების მართვის მექანიზმი არაეფექტური, არასტაბილური სახით წარმოგვიდგება, მაგრამ შედარებით უფრო დახვეწილი ჩანს ძველი ეგვიპტის, ბაბილონის, ათენის, სპარსების პოლის-სახელმწიფოების, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიისა და ძველი რომის სახელმწიფო მართვის სიტემები.

### 1. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები

**ეგვიპტე.** ძველი ეგვიპტე აღმოსავლეური დესპოტიისა და თეოკრატიული ფორმის სახელმწიფო იყო. სახელმწიფო აპარატი საკმაოდ რთული სტრუქტურისგან შედგებოდა. სახელმწიფოს მეთაურად ითვლებოდა ფარაონი, რომელიც აბსოლუტური ძალაუფლებით სარგებლობდა. მის ხელში იყო თავმოყრილი საპანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, სამხედრო და სასულიერო ხელისუფლება. ფარაონი გამოსცემდა პანონებს, იგი სათავეში ედგა ქვეყნის სამოსხელეო აპარატს. ფარაონი იყო უმაღლესი ადმინისტრატორი და მთავარსარდალი.

ფარაონის შემდეგ სახელმწიფოში მეორე პირს ვეზირი წარმოადგენდა. იგი იყო სახელმწიფოს უფროსი, ქვეყნის მმართველი, ფარაონის საიდუმლო მრჩეველი. ვეზირის თანამდებობა ფარაონის უახლოეს ნათესავებს ეკავათ. ვეზირის კომპეტენციაში შედიოდა არმიის შეგროვება, ციხესიმაგრეთა მეთვალყურეობა, მეფის მცველი რაზმების ხელმძღვანელობა,

სახნავ-სათესი მიწების განკარგვა, საჩივრების მოსმენა და განაჩენის გამოტანა.

უმაღლესი თანამდებობის პირი იყო მთავარი ხაზინადარი. იგი განაგებდა სახელმწიფოს ბიუჯეტს. ამავე დროს ხაზინადარი ითვლებოდა სახელმწიფო სახაზინოსა და საგანძურის გამგებლად. მთავარ ხაზინადარს ორი ხელქვეითი ხაზინადარი ჰყავდა, რომლებიც სამხედრო საქმებს განაგებდნენ. სასამართლო ორგანოები ეგვიპტეში წარმოდგენილი იყო სამეფო სასამართლოს, ათთა საბჭოს სასამართლოს, ექვსთა პალატისა და სატაძრო სასამართლოს სახით. სამეფო სასამართლოს ფარაონი თავმჯდომარეობდა, ხოლო ექვსთა პალატის სასამართლოს ჯატი. სატაძრო სასამართლოებს თავმჯდომარეობდნენ ქურუმები. მთელი სასამართლო სისტემა კი ფარაონს ექვემდებარებოდა. [13,გვ. 95-101].

სამეფო სახლის სამეურნეო ნაწილი დაყოფილი იყო სხვადასხვა უუნქციების მიხედვით: საჭურჭლე, რომელსაც „თეთრი სახლი ეწოდებოდა,“ ბეღლები, იარაღის არსენალი, ტანსაცმლისა და ზეთეულის საწყობები. თითოეულ მათგანს თავისი მოხელე განაგებდა, სამეფო მოხელეები ფარაონის ან „დიდი სახლის“ ხარჯზე ცხოვრობდნენ. [7, გვ.136-137].

ფარაონი მოხელეებს მიწებს გამოუყოფდა. ამგვარი „მამულების“ ზომები შეესაბამებოდა მოხელის ადგილს იერარქიულ სტრუქტურაში. თეორიულად მოხელის ოჯახს მიწაზე უფლება მინიჭებული ჰქონდა იმ ვადით, სანამ მის უფროსს გარკვეული თანამდებობა ეკავა, მაგრამ ყოველი მოხელე ცდილობდა თანამდებობის მემკვიდრეობით შენარჩუნებას. ანექსირებული ტერიტორიების მართვას, რომელიც ითვალისწინებდა ეგვიპტისათვის ყოველწლიური ხარკის გადახდას, ფარაონის მიერ დანიშნული ადგილობრივი დიდებულები აწარმოებდნენ, მაგრამ ეგვიპტელი მოხელეების მეთვალყურეობით. ეს მოხელეები ატარებდნენ ტიტულს „უცხო ქაჟინის უფროსი.“

ასე რომ, ეგვიპტის სახელმწიფო ერთიან პრინციპს დაქვემდებარებულ მწყობრ მექანიზმად წარმოგვიდგება, ურთელესი იერარქიული პრინციპით გამართეული ბიუროკრატიული აპარატით, სადაც თითოეულ მოხელეს განსაზღვრული უუნქცია ჰქონდა დაკისრებული.

**ბაბილონი.** ბაბილონის სამეფო შუამდინარეთში მდებარეობდა. ის განსაკუთრებულ ძლიერებას პამურაბის მეფობის დროს (ძვ.წ. 1792–1750წ). აღწევს. ბაბილონის სამეფო ტიპიურ ძველაღმოსავლურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. სახელმწიფოს სათავეში იდგა შეუზღუდველი ძალაუფლებით აღწერვილი მეფე. მის ხელში იყრიდა თავს სამხედრო, სასამართლო და რელიგიური საქმეები, თვითონვე განაგებდა სახელმწიფოს სამეურნეო საქმიანობის ძირითად დარღებსაც.

შეფის შემდეგ უმაღლესი თანამდებობის პირი იყო ნუბანდა, რომელიც სასახლის მმართველად ითვლებოდა. ის ხელმძღვანელობდა სარწყავი სისტემის მოწესრიგებას, ამავე დროს მეფის ხაზინადარი, სამეფო კარის გამგებელი, არმიის მთავარსარდალიც იყო. მას, ასევე ადგილობრივი მმართველობაც ექვემდებარებოდა; მეფის ერთ-ერთ მოადგილედ ითვლებოდა ისაკუ, რომელიც ქალაქის მართვას ზედამხედველობდა. ის ასევე ხელმძღვანელობდა მეურნეობას. სამოხელეო აპარატში შედიოდნენ სამეფო კანცელარიის მოსამსახურენი და ქურუმები. გარდა ამისა, ადგილებზე იყვნენ სპეციალური საფინანსო და საპოლიციო დარგის აგენტები, რომლებიც გადასახადის აკრეფის საკითხებს განაგებდნენ, დამხაშავეთა შეპყრობას ახორციელებდნენ. ასევე იყვნენ სამეურნეო სფეროს მუშაკები, სახელმწიფო საწყობების მცველები.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს არმია ასრულებდა. არმიისათვის მუდმივი კონტინგენტის უზრუნველყოფის მიზნით პამურაბიმ გააჩარა კანონი, რომლის მიხედვითაც კრედიტორს არ შეეძლო გირაოში აეყვანა ოჯახის უფროსი მამაკაცი. ბაბილონში არსებობდა მეთაურთა სხვადასხვა კატეგორია – დექტუმი („შემკრები“) და ლუბტუმი („ძლიერი კაცი“), რომლებიც მაღალ სამხედრო წოდებას შეაღენდნენ. მოზრდილი სამხედრო დანაყოფის მეთაური „გაქილ ამურიმ“-ად იწოდებოდა. [14, გვ.48-65].

რაც შეეხება ბაბილონის ადგილობრივი მართვის სისტემას, ის ერთიანი ბაბილონური სახელმწიფოს ფორმირების შემდეგ შეიქმნა. მთელი ქვეყანა დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად. მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებს შეფის მიერ დანიშნული მმართველი – შაქანაქუმი ედგა სათავეში. მცირე სიღიდის ერთეულებს კი მეფის

სპეციალური მოხელე – რაბიანუმი, რომელიც ადგილობრივ სათემო ხელისუფლებასთან (თემის უხუცესთა საბჭო, თემის სახალხო კრება) ერთად ადმინისტრაციულ და სასამართლო საქმეებს განაგებდა.

## 2. ანტიკური ქვეყნები

**ძელი საბერძნეთი.** ძელი საბერძნეთის ისტორია არსებითად პოლის-სახელმწიფოების ისტორიაა. მრავალრიცხვან ბერძნულ პოლის-სახელმწიფოებს შორის გამორჩეული ადგილი საპარტისა და ათენის სახელმწიფოებს ეპავათ.

სპარტა ძვ.წ. IX საუკუნეში სამხრეთ საბერძნეთში, ლაკონიკის ცენტრში წარმოიშვა. სპარტის პოლიტიკური სტრუქტურა და მართვის სისტემა ერთობ უჩვეულო იყო. ის ძელ დროშივე გამოცანად იქცა. ზოგს ის იდეალურ წყობილებად მიაჩნდა, სხვანი კი ანტიუმანურ სახელმწიფოდ მოიაზრებდნენ. ზოგიერთი თანამედროვე მკალევარიც სპარტის სახელმწიფო წყობას იდეალურ მოდელად მიიჩნევს, სხვათა აზრით, კი სპარტა წარმოადგენს „ანომალიას,“ „ისტორიულ კურიოზს“ ძელი საბერძნეთის ისტორიაში. [იხ., დაწვრ., 9, გვ.195-199; 15, გვ.70-85; 16, გვ.205-230]. მართლაც, თუკი ელინური პოლისების დიდი ნაწილი კლასიკური ტიპის პოლისები იყვნენ თავიანთი აკროპოლისებით (ციხესიმაგრები) და ქალაქური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი არრიბუტებით (ვაჭრობა, ხელოსნობა), სპარტა ასეთ ელემენტებს მოკლებული იყო. ის არატიპიური, ხუთი სოფლის გაერთიანებისგან შექმნილი მილიტარისტული ხასიათის სახელმწიფოს წარმოადგენდა. სახელმწიფო მართვის მექანიზმიც სამხედრო ორგანიზაციის შესაბამისად იყო გამართული.

სპარტის სახელმწიფოს სათავეში ორი ბასილევსი (მეფე) იდგა. მეფეები იყვნენ უმაღლესი მთავარსარდლები. ისინი ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ. მეფეების ძალაუფლება რეალური, ომის დროს ხდებოდა. მეფეებს ძირითადად ქურუმთა და მსაჯულთა ფუნქციები რჩებოდა. ისინი შედიოდნენ უხუცესთა საბჭოში, ე.წ. გერუსიაში, რომელიც დიდი უფლებამოსილებით სარგებლობდა. გერუსიაში შედიოდა 60 წელს გადაცილებული 28 სპარტიატი და ორი 30 წელს გადაცილებული მეფე. გერუსია წარმოადგენდა უმაღლეს სასამართლოსა და

სამხედრო საბჭოს. სპარტის სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო იყო სახალხო კრება - აპელა. მის მუშაობაში მონაწილეობის უფლება პქონდა ყველა სრულასაკოვან სპარტიატს, მაგრამ აპელას რეალური როლი სპარტის პოლიტიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელო იყო, ვინაიდან საკანონმდებლო ინიციატივის დაუქმება არ შეეძლო. ხმის მიცემა ხდებოდა ყვირილით. უპირატესობა რჩებოდა იმ მხარეს, რომელიც უფრო ხმაღლდა იყვირებდა. სპარტაში არსებობდა ეფორების კოლგია, რომელიც ხუთი წევრისაგან შედგებოდა. ეფორებს ერთი წლის ვადით ირჩევდნენ. ეფორთა კოლგია კონტროლს უწევდა სახელმწიფოს ფუნქციონირების ყველა მხარეს, კონსტიტუციის დაცვას.

განსხვავებული იყო სპარტის სახელმწიფო პოლიტიკაც: ხელისუფლება ექსპორტ-იმპორტს კრძალავდა. სპარტიატების ხელოსნობა სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. ამით შეოლოდ პერიეკები (ხელოსნები) უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი; სპარტის კანონმდებლის ლიკურგოსის კანონებით იკრძალებოდა ფუფუნების საგნების შექნა, სრულასაკოვან მამაკაცებს საერთო სასადილოში - სისისტიაში უნდა ესადილათ, ერთნაირი ტანსაცმელი უნდა ჩაეცათ. ამით სახელმწიფომ ჩაკლა თავის მოქალაქეებში ყოველგვარი სწრაფვა ინდივიდუალური გამდიდრებისკენ და სპარტელთა ყურადღება კონსოლიდაციასა და მათი სიქველის სულისკვეთებით აღზრდაზე გადაიტანა.ასეთმა პოლიტიკამ სპარტა პიროვნულობის სრულ უგულებელყოფამდე, მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაზე სახელმწიფოს განუსაზღვრელი კონტროლისა და სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირებაზე, მოქალაქეთა მუდმივი მეთვალყურეობის დაწესებამდე მიიყვანა.

დიამეტრულად განსხვავებული იყო ათენის პოლის-სახელმწიფოს პოლიტიკა და მისი მართვის სისტემა. ათენი შეა საბერძნეთში, ატიკაში მდებარეობდა. ის ძვ.წ. VIII საუკუნეში ატიკის ცენტრი ხდება. ანტიკური ტრადიციის თანახმად, თავდაპირველად ათენს მეფები მართავდნენ. ძვ.წ. VIII საუკუნეში სამეფო ხელისუფლებამ არსებობა შეწყვიტა და მეფის ფუნქციები გადავიდა ევპატრიდების (დიდებულების) ხელში, რომლებიც ირჩევდნენ თავიანთი წრიდან თანამდებობის პირებს - არქონტებს. არქონტების რაოდენობა იყო ცხრა. მათ ევალებოდათ აღმასრულებელი ხელისუფლების, სამხედრო და

სასამართლო საქმეების წარმართვა. არქონტების ინსტიტუტი იყო კოლეგიალური. კოლეგიას მეთაურობდა არქონტი-ეპონიმი. მომდევნო საფეხურზე არქონტი-პოლემარქოსი იდგა და სამხედრო საქმეს განაცემდა. არქონტი-ბასილევსის ფუნქციებში საქულტო საკითხები შედიოდა. დანარჩენი ექვსი არქონტი, რომლებსაც თემოთებები ერქვათ საკანონმდებლო ადათების დამცველები იყვნენ. თავდაპირველად არქონტის თანამდებობა მუდმივი იყო, მოგვიანებით ირჩევდნენ ათი წლით, ბოლოს ერთი წლით. საქმეთ ხელისუფლების დაცემის შემდეგ განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღიჭურვა არეპაგი - უხუცესთა საბჭო. ის უმაღლესი მაკონტროლებელი და სასამართლო ორგანო იყო. ათენის პოლის-სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კრება - ეკლესია. თავიდან მისი როლი უმნიშვნელო იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ გადაიქცა.

[17, გვ.25-28].

ათენის სახელმწიფოს დემოკრატიული მართვის სისტემის ფორმირების პროცესი კი სოლონის არქონტობის დროს დაიწყო. ძვ.წ. 594 წელს სოლონი ათენის საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციის სისტემის გარდაქმნების რეალიზაციას შეუდგა. მისი რეფორმები ათენის საზოგადოების თითქმის ყველა მხარეს - ეპონომიკურ, სოციალურ, სამხედრო საქმესა და სახელმწიფო მართვის სფეროებს შეეხო. ეპონომიკურ სფეროში სოლონმა ათენის სამეურნეო ცხოვრება აქტიური გახდა. ატიკის წელით მომარაგება უზრუნველყო. განსაკუთრებული უურადგება დაეთმო ზეთისხილის წარმოებას. კანონით დაშვებულ იქნა ატიკიდან ზეთისხილის ექსპორტი, ხოლო მარცვლეულის გატანა აკრძალა.

ხელოსნობის განვითარების მიზნით, სოლონმა გამოსცა კანონი, რომლის თანახმად შვილი არ იყო ვალდებული მოხუცი მამისთვის ეპატრონა, თუ ის რაიმე ხელობას არ შეასწავლიდა. სოლონის ინიციატივით მოხდა ზომა-წონის ერთეულების უნიფიკაცია. ეგინის ფულადი სისტემის მაგივრად შემოღებული იქნა ეპბეის სისტემა, რომელიც უფრო მოხერხებული და გავრცელებული იყო ეგეოსის სამყაროში. ფულის რეფორმამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ათენის საგაჭრო ოპერაციებს. საქმეწარმეო საქმიანობის წახალისხმებასთან ერთად, სოლონი იბრძოდა უშედეგო

ხარჯების წინააღმდეგ. სპეციალური კანონი მოითხოვდა გარდაცვლილის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას, იკრძალებოდა მდიდრული აკლდამები და სტელები. სოლონის სოციალურ სფეროში გატარებულ რეფორმათა შორის რადიკალური იყო ეწ. სისახრია - „ტეირთის მოხსნა“, რომელიც ვალების გაუქმებას ითვალისწინებდა. კანონით აიკრძალა ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ადამიანის მონად გაყიდვა. კანონის მაღის, ატიკის ფარგლებს გარეთ დავალიანების გამო გაყიდული მოქალაქეები გამოისყიდეს და სამშობლოში დააბრუნეს.

სოლონის გატარებულ სოციალურ რეფორმათა შორის უმნიშვნელოვანებისა ქონებრივი ცენტრის დაწესება ანუ ტიმოკრატიული რეფორმა. რეფორმის თანახმად, ათენის თავისუფალი მოსახლეობა, მეტეკების (უცხოელების) გამოკლებით, ყოველწლიური შემოსავლების სიდიდის მიხედვით, ოთხ სოციალურ ფენად დაიყო. პირველ ფენაში შედიოდნენ პენტაკოსიმედიმნიანები - ხუთასმედიმნიანები, რომელთა წლიური შემოსავალი იყო 500 მედიმნი; მეორე ფენაში - 300 მედიმნიანები, მასში შედიოდნენ მხედრები; მესამეში - 200 მედიმნიანები. აქ ერთიანდებოდნენ ძევებიტები, რომლებიც ჯარში ჰოპლიტების ფალანგას ქმნიდნენ. მეოთხე ფენას შეადგენდნენ 200 მედიმნები ნაკლები შემოსავლის მქონე ოერები (გლეხები). პირველი და მეორე ფენის მოქალაქეებს შეეძლოთ ნებისმიერი თანამდებობის დაკავება. დანარჩენ სოციალურ ფენებს უფლება პქონდათ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. [3, გვ.155-164].

რაც შეეხება ათენის სახელმწიფო მართვის სისტემას, აქ ერთმანეთთან შერწყმული იყო ძველი და სოლონისეული სტრუქტურები. მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კრება, სადაც ათენის უფლება სრულუფლებიანი მოქალაქე ხმის მიცემის თანაბარი უფლებით სარგებლობდა. ქალებს არჩევნებში და საერთოდ, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება არ პქონდათ. სოლონმა დაარსა სახალხო კრების სათათბირო ორგანო - ბულე ანუ საბჭო, რომელიც 400 წევრისგან შედგებოდა. ბულე აგვარებდა მიმდინარე საკითხებს და სახალხო კრების მუშაობის ორგანიზაციას აწესრიგებდა. სოლონის მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენდა პელიკია ანუ ნაფიც მსაჯულთა

სასამართლო, რომელშიც მსაჯულები ყველა ფენის მოქალაქეთაგან იორჩოდნენ. პელიკიას კომპეტენციაში შედიოდა არა მხოლოდ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხების გარჩევა, არამედ ის თანამდებობის პირთა საქმიანობასაც აკონტროლებდა. ათენში არ არსებობდა სახელმწიფო ბრალმდებელი და ადგოპატურა. ბრალდება და დაცვა კერძო ხასიათისა იყო. საფინანსო საქმის მოწესრიგებისათვის შეიქმნა პოლეტებისა და კოლაკრეტების თანამდებობები. პოლიციურ ფუნქციას ახორციელებდა საეციალური კოლეგია, რომელიც 11 კაცისაგან შედგებოდა.

სოლონის რეფორმებმა ათენში ხელი შეუწყო პიროვნეული ინიციატივის, ადამიანის პოლიტიკური აქტივობის მნიშვნელოვან გაზრდას. ყველა მოქალაქე განურჩევლად მისი ქონებრივი მდგომარეობისა, სახელმწიფო მართვაში იყო ჩართული.

სოლონის მიერ დაწყებული დემოკრატიული გარდაქმნები ათენის არქონტმა-კლისთენემ დაასრულა, ხოლო პერიკლეს სტრატეგოსობის დროს ის კულმინაციას აღწევს. კლისთენეს რეფორმებით, შეიზღუდა გვაროვნეული პრივილეგიები. მოედი მოსახლეობა ატიკისა ერთმანეთს შეერია. სოლონის 400-თა საბჭო 500-თა საბჭოთი შეიცვალა; ყველა მოქალაქეს შეეძლო სახალხო კრებაში მონაწილეობის მიღება. გადახალისდა სამხედრო სფეროც. შეიქმნა ათი სტრატეგოსის კოლეგია და მას მიენდო ათენის ჯარის ხელმძღვანელობა. დემოკრატიული წევის დაცვისათვის, კლისთენემ შემოიღო ოსტრაპისმოსი ანუ „ფირფიტების სასამართლო.“ ყოველწლიურად, სახალხო კრების დაწყების წინ ოფიციალურად გამოაცხადებდნენ: არის თუ არა მოქალაქეთა შორის არსებული სახელმწიფო წევისათვის სახიფათო ადამიანი. თუ უმრავლესობის პასუხი დადებითი იქნებოდა, მაშინ კრების მონაწილეებს დაურიგდებოდათ თიხის ფირფიტები, სადაც უნდა დაეწერათ იმ პიროვნების სახელი, რომლის ათენში ყოფნა საფრთხეს უქმნიდა დემოკრატიას. პირს, რომლის სახელს ყველაზე ხშირად მიუთითებდნენ ოსტრაკონზე, ათენიდან 10 წლით ადევებდნენ.

კლისთენეს რეფორმებით შეიქმნა ისონომია (უფლებების გათანაბრება). მოქალაქეთა უფლებები არსებითად გათანაბრდა. თუმცა ეს გათანაბრება აბსოლუტური არ იყო. ათენში

მცხოვრებთა არც თუ უმნიშვნელო ნაწილი ფაქტობრივად სახელმწიფო მართვაში არ მონაწილეობდა. პერიკლეს რეფორმით კი ათენის სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტები და სახელმწიფო აპარატი კიდევ უფრო სრულყოფილი ხდება. პერიკლეს კანონმდებლობით, არქონტის თანამდებობა მესამე ფენისთვის - ძევგიტებისთვისაც მისაწვდომი გახდა; სახელმწიფო მოხელეებისათვის დაწესდა გასამრჯელო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წევრებს, თითოეული სხდომისათვის, დაენიშნათ ხელფასი ორი ობოლის ოდენობით, ჯამაგირი დაენიშნათ, ასევე სამხედრო სამსახურში გაწვეულ დარიბ მოქალაქეებსაც, ხუთასთა საბჭოს წევრებს და იმ პირებს, როლებსაც გარკვეული სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ. თავისუფალი მოსახლეობის დარიბი ნაწილის მიმხრობას ემსახურებოდა ე.წ. თეორიკონი - „თეატრალურ სანახაობათ“ ფული, სპექტაკლზე დასწრებისათვის. პერიკლეს წინადადებით მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმდაც ათენის მოქალაქედ ჩაითვლებოდა ის, ვისი მშობლებიც ათენის მოქალაქენი იყვნენ.

სოლონის, კლისთენესა და პერიკლეს რეფორმებმა გზა გაუკავეს ათენში დემოკრატიული ფასეულობების დამკავიდრებას. შესაბამისად, სპარტისაგან განსხვავებით, მოქალაქეებს პიროვნული ინიციატივის გამოვლენის, ქვეყნის მართვის სფეროში ანალიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევდა.

**ძევლი რომი.** ქალაქი რომი ძვ.წ. 753 წელს დაარსდა. ძვ.წ. VI საუკუნიდან კი რომი მისი ჰეგემონობით შექმნილ სახელმწიფოსაც ეწოდა. ძვ.წ. 510 წლამდე მას მეფეები (Rex) განაგებდნენ. ისინი არსებითად მხედართმთავარნი, უმაღლესი ქურუმები და სასამართლოს თავმჯდომარეები იყვნენ. რომის მეფეების გარეგან ნიშნებს წარმოადგენდა მეწამული მანტია, ოქროს დიადემა, არწივიანი კვერთხი, სპილოს ძვლის სავარძელი და მეფის წინ 12 ლიქტორი წნელის კონაში ჩადგებული ცულებით.

მეფეთა სანაში მართვის სისტემის უმნიშვნელოვანეს ორგანოებს წარმოადგენდა კურიატული კომიციები და სენატი. კურიატული კომიციები იხილავდნენ კანონპროცექტებს და ირჩევდნენ თანამდებობის პირებს, აწესრიგებდნენ ოჯახის წევრების ურთიერთობას. იქვე წარმოებდა მეფის არჩევა და

ომის გამოცხადებაც. კურიატული კომიციების დადგენილებები უნდა დაემტკიცებინა სენატს ( ლათ. *senat*-მოხუცი ), რომელიც თავდაპირველად ასი წევრისგან შედგებოდა, მოგვიანებით ეს რიცხვი სამასამდე გაიზარდა. სენატის წევრები მონაწილეობას იღებდნენ მეფის არჩევნებში და მის მრჩევლებად ითვლებოდნენ. მეფის გარდაცვალების შემთხვევაში ასალი მეფის არჩევამდე სენატის წევრები მონაცვლეობით ახორციელებდნენ უმაღლეს ხელისუფლებას.

ძვ. 510 წელს რომში მეფობა გაუქმდა და რესპუბლიკური წყობა დამყარდა. შესაბამისად შეიცვალა მართვის სისტემაც. რესპუბლიკურ რომში მუდმივი სამოხელეო აპარატი არ არსებობდა. აღმასრულებელ ხელისუფლებას განაგებდნენ არჩეული თანამდებობის პირები - მაგისტრატები. ასეთი მაგისტრატები იყვნენ კონსულები, პრეტორები, ედილები, კვესტორები, რომლებიც ერთი წლით ირჩეოდნენ. რესპუბლიკური რომის მაგისტრატების სისტემა თანდათანობით ყალიბდებოდა. ვარაუდობენ, რომ რესპუბლიკის პირველ წლებში აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში იდგა ერთი პრეტორი, რომლის მოადგილედ კვესტორი ითვლებოდა. ძვ. V საუკუნის შუა ხანებიდან სახელმწიფოს მეთაური ორი კონსული გახდა. მათ სახალხო კრება ერთი წლის ვადით ირჩევდა. კონსულები სენატისა და სახალხო კრების სხდომებს იწვევდნენ. ომიანობის დროს ისინი არმიას მეთაურობდნენ, პრეტორს კი სასამართლო ხელისუფლება გადაეცა. გაიუს იულიუს ცეზარის დროს პრეტორთა რაოდენობა 15-ს ითვლიდა.

უმაღლეს მაგისტრატად ითვლებოდა ორი ცენტორი, რომელთაც ევალებოდათ რომის მოქალაქეთა დანაწილება ქონებრივი ცენტის მიხედვით და სენატორთა სიის შედგენა. ედილებს (ოთხი) ქალაქში წესრიგის დამყარება დაეკისრათ, ხოლო კვესტორები (ოთხი) ხაზინას განაგებდნენ. კესტორებმა ლური კითარების პირობებში ირჩევდნენ დიქტატორს 6 თვის ვადით. ის განსაკუთრებული უფლება-მოვალეობით იყო აღჭურვილი, ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას და ომისა და მშვიდობის საკითხებს წევეტდა. მისი განკარგულება კანონის ძალისა იყო. უმთავრეს მაგისტრატს წარმოადგენდა, ასევე სახალხო ტრიბუნები. რომში 10 სახალხო ტრიბუნი იყო. მათ მაგისტრატების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ვეტოს

უფლება ჰქონდათ. სახალხო ტრიბუნების კომპეტენციაში შედიოდა, ასევე სახალხო კრებაზე კანონპროექტების წარდგენა, ტრიბუტული კომიციების მოწვევა და მაგისტროთა დაპატიმრებაც. რომაული კონსტიტუციით, მაგისტრატურები კოლეგიალური და არანაზღაურებადი ორგანო იყო. მაგისტრატების საქმიანობა საპატიოდ ითვლებოდა. მათ მდიდარი ადამიანების წრიდან ირჩევდნენ. [19, გვ.90-95].

